

ISSN 0868-4587

ეროვნული
ბიბლიოთეკი

(11)

5-12

სამართალი

პრატიტიკა • გეცენერაცია • პუბლიცისტიკა

შ. ქვემა
15/III-95

5-6

1993

IUS

TBILISI GEORGIA

სამართლი

სამართლი-კრატიკული ჟურნალი

№5-6

გეგოდის 1926 წლიდან

1993

მაისი-ივნისი

პრატიკა ● მიცნიარება ● პუბლიცისტიკა

მთავარი რედაქტორი

ზურაბ რატიაძე

სარედაქციო კოლეგია:

ანგელ არსენავილი

(აასუბისახევალი მილანი)

გალა გარევიშვილი

(მთავარი რედაქტორის მოადგილი)

ვლადიმერ გარათავილი

ოთარ ვაშვალიძე

გივი ინჯაირვალი

კონსტანტინე კახელარია

გზია ლევანიშვილი

თავისი ლილუავილი

შალვა ვათელავილი

თევდორე ციცია

ორბერ ცეკვილიძე

დავით სარალიძე

გიორგი ფეხვალიძე

გილია უგრახელიძე

ჯონ ჯალაძე

ჩემი შურნალის დამფუძნებ-
ლები არიან: შურნალ „სამართ-
ლის“ რედაქცია, სამართველოს
რესპუბლიკის იურისტთა კავშირი,
სამართველოს რესპუბლიკის უ-
ნარჩის სასამართლო, სამართვე-
ლოს რესპუბლიკის იუსტი-
ციის სამინისტრო, სამართველოს
რესპუბლიკის პროცესუალის, სა-
მართველოს რესპუბლიკის უნარ-
ჩის საარჩიტრაზო სასამართლო.



მაისი-ივნისი სამართლებრივი

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა
არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომე-
ლთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12
გვერდს, მოვაწოდეთ მისმართით: 380046, თბი-
ლისი, რუსთაველის გამზირი № 30.

ტელ: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.



შურნალი რეგისტრირებულია საქართველოს
რესპუბლიკუს იუსტიციის სამინისტროში. რეგ-
ისტრაციის ნომერია 0830. ინდექსი 76185

ფასი 24 გან.

სამართლი-კრატიკული ჟურნალი
მთავარი რედაქტორი
ზურაბ რატიაძე
მთავარი რედაქტორი
ანგელ არსენავილი
(აასუბისახევალი მილანი)
გალა გარევიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილი)
ვლადიმერ გარათავილი
ოთარ ვაშვალიძე
გივი ინჯაირვალი
კონსტანტინე კახელარია
გზია ლევანიშვილი
თავისი ლილუავილი
შალვა ვათელავილი
თევდორე ციცია
ორბერ ცეკვილიძე
დავით სარალიძე
გიორგი ფეხვალიძე
გილია უგრახელიძე
ჯონ ჯალაძე

ს პ ი ე ბ ე ლ ი

საქართველოს იურისტთა კაცისის მიმართვა

3

დამოუკიდებლი სამართველოს ახალი კონსტიტუცია

ლადო ჭარტურია — აღამინის ძირითადი უფლებები და საქართველოს მომავალი კონსტიტუცია

4

გახაბერ წერეთელი — ძირითად უფლება-მოვალეობათა განზომილებანი

11

პარლამენტის ტრიბუნა

სახელმწიფოებრივი ომშენებლობის წინაშე მდგარი ცოლიტიური პრობლემები და მათი მოგვარების გზები

19

სამართლებრივი ურთიართობაზი

ირმა ხარშილაძე — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სამართლებრივი მდგრმარეობის ზოგიერთი ასპექტი

26

ვალერი გიგილაშვილი — მოქალაქეობის ცნება და საერთაშორისო სამართალი

32

სასამართლო რეცორდი

სასამართლო რეცორდი და კონსტიტუციის ახალი რედაქცია

35

აპოლონ ფალიაშვილი — სასამართლო რეცორმისა და საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები

38

პოლემიკა

ავთანდილ კახნიაშვილი — პრეზუმიცია: უდანაშაულობის თუ არაბრალეულობის?

47

პირველი ნაგიჯები გეცნივრებაზი

ნაზი არონია — სასერელთა სახეები ქველ ქართულ სამართალში

57

კამბულ ფუტკარია — სოლომონ დოდაშვილი და ქართული ჩვეულებითი სამართალი

63

კონტაქტები უცხოელ იურისტებთან

სამული პ. ჰანტიგტონი — დემოკრატიის მესამე ტალღა

69

კონსულტაცია

78

საარბიტრაჟო პრაქტიკა

79

რედაქციის მისამართი: 280046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80

ტელ. 99-02-45, 98-41-50, 99-51-01

გადაეცა წარმოებას 18.05.93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.07.93 წ.,
ფორმატი 70X108¹, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 6,5. შეკვ. 757. ტირაჟი 7500

საქართველოს გუბენალ-განეთების გამომცემის „სამურო განცხადობა“ სტამბა,
გვ. 20009, თბილისი, გ. ძოსტავას 14

საქართველოს იურისტთა კავშირის მიმართვა

საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველისტთა კავშირს,
ფალევიზიდის და რაღიომაუწყებლობის დეპარტამენტს,
გაზეთებისა და უზრუნველყოფის რეგისტრის
თანამშრომელებს

კვირვასო გებობრებო!

49

საქართველოში მიმდინარე პროცესებმა თვალწათლივ დაადასტურეს საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისი, რომ პრესა „მეოთხე ხელისუფლებაა“, თანაც ისეთი ხელისუფლება, რომელიც სიტყვის საშუალებით განსაზღვრავს საზოგადოებრივი აზრის შინაარსსა და მიმართულებას შეუძლია ხელი შეუწყოს ან, პირიქით, დამატებულის საზოგადოების პროგრესი, ამჯერად განზრახ თავს ვიკავებთ იმ განხეთებისა თუ უზრნალების დასახელებისაგან, რომლებიც, ჩვენი შეხედულებით, ამართლებენ ან არ ამართლებენ პრესის ჭეშმარიტ მისიას. თავს ვიკავებთ იმიტომ, რომ ასეთი შეფასება გამოიწვევდა ისედაც დაბაბული ვითარების კიდევ უფრო გამწვავებას. უფრო მეტიც, მიგვაჩნია, რომ თავად პრესამ და ტელე-რადიო მაუწყებლობამ თავი უნდა შეიკავონ ისეთი პუბლიკაციებისა და გადაცემებისაგან, რომლებიც წყალს ასხამენ მტრის წისქვილზე და ისედაც მცირერიცხვან ერში ურთიერთმტრობას აღვივებენ. საგულისხმო და ყურადსალებია ისიც, რომ ასეთი პუბლიკაციები დანაშაულობის კატასტროფული ზრდის ტემპების ერთ-ერთი, არც თუ ისე უმნიშვნელო კატალიზატორია. ხაზგასმით შეგახსნებთ, ამგვარი წერილები თუ გადაცემები ისედაც გაღატაკებული, მოშიმშილე ადამიანების ფიქირურ სტრუქტებს უაღრესად ამძიმებენ და ძალადობითი დანაშაულისაკენ უბიძგებენ. ისეთი სურათი და აზრი იქნება, რომ თავგამოდებული შეჯიბრითა გამართული, თუ ვინ ვის აჯობებს „სენსაციური“, ეთიკის ელემენტარული წესების სრული უგულებელყოფით შედგენილი წერილების გამოქვეყნებაში.

საქართველოს იურისტთა კავშირი დაბეჭითებით თხოვს ტელევიზიისა და განურჩევლად ყველა უზრნალ-გაზეთის მესვეურებსა და მათ შემოქმედებით კორპუსს შეწყვიტონ წარსული და ამჟამინდელი ხელისუფლების ურთიერთდამაპირისპირებელი პუბლიკაციების გამოქვეყნება. ფისკალური და სხვა მოსაზრებების გამო ნუ გადავჩეხავთ ერს უფსკრულში. რასაკვირველია, ჩვენ, ძვირფასო მევიბრებო, ამ მოწოდებით სრულიადაც არ უგულებელყოფთ პრესის თავისუფლების იდეასა და მნიშვნელობას. პირიქით, მიგვაჩნია, რომ იგი ადამიანის თავისუფლების ერთ-ერთი ფორმა და საშუალებაა, მაგრამ განსაკუთრებით დღევანდელი საქართველოს პირობებში პრესის თავისუფლება უნდა წაადგეს არა ერის გათიშვასა და აქედან წარმომდგარ ათასნაირ უბედურებას, არამედ მის კონსოლიდაციას. ნუ შევუქმნით გარეშე ძალებს დამატებით სტიმულს ჩვენი ერის ფიზიკური მოსპობისათვის.

საქართველოს იურისტთა კავშირის პრეზიდიუმი

საქართველოს
მთავრობის
მინისტრი

გიგლი იონიშვილი

ლადო პარტშინია

ადამიანის ძირითადი უფლებები და საქართველოს მოავალი კონსტიტუცია

1776 წელს ვირჯინიაში მიღებულ უფლებათა ბილს პირველ დაწერილი კონსტიტუციად მიიჩნევენ, ხოლო ამერიკას – ამგვარი კონსტიტუციების სამშობლოდ¹. პირველმა ძირითადმა კანონმა იმ დროის სულისკვეთება ასახა, ის ღირებულებანი განამტკიცა, ომელსაც უნდა დამყარებოდა მაშინდელი საზოგადოება. უფრო ზუსტად, ის ღირებულებანი, ომლებიც განსაზღვრავდნენ, ანდა უნდა განესაზღვრათ, ადამიანების დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი და ამ უკანასკნელია უფლება-მოვალეობები ადამიანთა მიმართ. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციამ პირველად განახორციელა კონსტიტუციურ დონეზე სახალხო სუვერენიტეტის იდეა: დააფუძნა კონსტიტუციამდელი ხელისუფლება და უფლებებითა და მოვალეობებით შეზღუდა სახელმწიფო ხელისუფლება².

კონსტიტუცია ნებისმიერი სახელმწიფოს საკონსტიტუციო იერარქიის სათვეში დგას და განსაზღვრავს მთელი სამართლებრივი ოუ საკანონმდებლო სისტემის სულისკვეთებას. იგი სამართლებრივი საფუძველია სახელმწიფოსა და პიროვნების ნორმალური თანაარსებობისთვის. ამ ასპექტით ადამიანის ძირითადი უფლებები დასავლეთის დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოების არსებობის აუცილებელი წინაპირობაა.

დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფო არის სახელმწიფოს სპეციფიური ტიპი, რომელიც სამი ელემენტის – ძირითადი უფლებების, ხელისუფლებათა დანაწილებისა და დემოკრატიის ერთობლიობით განისაზღვრება. მათი ურთიერთობის ბირთვს შეადგენს დემოკრატიული კანონმდებლის ბოჭვა (ეს ტერმინი პირველად იხმარება და ვუიქრობ იგი შემდგომში აუცილებლად დამკვიდრდება ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში) ძირითადი უფლებებით და ამ ბოჭვის სასამართლოსუელი შემოწებებადობა. ამას ემატება კანონმდებლის ბოჭვა სახელმწიფოს მიზნისა და სტრუქტურის განსაზღვრებებით, რომელთავაც უმნიშვნელოვანესია: სამართლებრივი სახელმწიფოებრიობა, დემოკრატია და სოციალური სახელმწიფოებრიობა³.

აქედან გამომდინარე, დასავლეთის კონსტიტუციები დიდ ყურადღებას უთმობენ ძირითად უფლებებს. ამით ხაზი ესმება ადამიანის უპირატესობას სახელმწიფოს წინაშე და სახელმწიფოს მოვალეობას ამ უპირატესობის უზრუნ-

¹ Bleckmann, Staatsrecht II—Die Grundrechte. 3. Aufl. 1989. S. 5

² Starck Christian. Vorrang der Verfassung und Verfassungsgerichtsbarkeit. In: Verfassungsgerichtsharkeit in Westeuropa. Baden-Baden. 1986. S. 22

³ Dreier, Ralf. Konstitutionalismus und Legalismus. Archiv für Rechts- und Sozialphilosophie, Beiheft 40; 1991. S. 85

უფლებების ძაცვის საქმეში. როცა უცხოელი სამართლისმოღვაწები საქართველოს კონსტიტუციაზე მეკითხებოდნენ, პირველ რიგში მათ აინტერესებდათ გვაქვს თუ არა ძარითადი უფლებები და თუ რომელ ჭირითად ჟუფლებებს განამტკიცებს იგი. ძარითადი უფლებები დასავლური დამოკრატიის უდიდესი მონაპოვარია.

როგორც წესი, ძარითადი უფლებები გამოხატავენ იმ ღირებულებებს, რომლებსაც აღიარებს სახელმწიფო და რომლითაც წარმართავს იგი ადამიანებთან თავის ურთიერთობას. ზოგჯერ კონსტიტუციები პირველ მუხლში განამტკიცებენ ამგვარ დებულებას. მაგალითად, გერმანიის ძარითადი კანონის პირველი მუხლი ამბობს: „ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. მისი პატივისცემა და დაცვა ყოველი სახელმწიფო ხელისუფლების მოვალეობაა“. ამ მთავარი ღირებულების განხორციელებას ემსახურება მთელი კონსტიტუცია და პირველ რიგში — ძარითადი უფლებები. ეს უფლებები სავალდებულოა კანონმდებლისთვის, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისთვის. ამით ძარითადი კანონი აწესებს კონსტიტუციურ უფლებათა უშუალოდ მოქმედების პრინციპს. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ მოქალაქეს რომელიც ჩათვლის, რომ დარღვეულია მისი ესა თუ ის კონსტიტუციური უფლება, შეუძლია ამ ნორმაზე მითითებით მიმართოს სასამართლოს. კონსტიტუციური ნორმის ამგვარი პირდაპირი მოქმედების ტრადიციას არ იცნობდა საბჭოთა (მათ შორის ქართველი) სამართალი. ამიტომ ქართველმა კონსტიტუციამდებლებმა უნდა იფიქრონ იმაზე, რომ კონსტიტუციურ ნორმებს პქონდეთ არა დეკლარაციული დებულებების ხასიათი, არამედ უშუალოდ მოქმედი ნორმების მნიშვნელობა. უფრო კონკრეტულად, სასამართლოში მიმართვის საფუძველი შეიძლება იყოს არა მხოლოდ სპეციალური კანონის ნორმა, არამედ კონსტიტუციის ნორმა. ალბათ, მთელი საბჭოთა სამართლის ისტორიაში არ მოიძებნება შემთხვევა, როცა სასამართლომ კონკრეტული საქმე კონსტიტუციურ ნორმაზე მითითებითა და მასზე დაყრდნობით გადაწყვიტა.

ზოგი ქვეყნის კონსტიტუცია არ ჩამოთვლის ძარითად უფლებებს და შემოიფარგლება იმის მითითებით, რომ იგი აღიარებს და იცავს საერთაშორისო სამართლის ნორმებით განმტკიცებულ ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს. ზოგი სახელმწიფო ჩამოთვლის ძარითად უფლებებს, მათ შინაარსს და დამატებით აღიარებს ასევე საერთაშორისო სამართლის პრიმატს. ეს ნიშნავს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ძარითადი უფლებების ცნობასაც. ვფიქრობ ჩვენმა კონსტიტუციამ მეორე ვარიანტი უნდა აირჩიოს. ამით, ჯერ ერთი, ნათელი გახდება, თუ რომელ ძარითად უფლებებს მიიჩნევს სახელმწიფო გადამწყვეტად, მეორე, გაიოღდება ამ ნორმებისთვის უშუალო მოქმედებს ნორმათა ხასიათის მინიჭება.

ძარითადი უფლებების კონსტიტუციური განმტკიცება და მათი უპირველესი წამყვანი ადგილი ძარითად კანონში მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა.

პირველი. საყურადღებოა ამ უფლებათა ნუსხა. ფორმალურად საბჭოთა კონსტიტუციებიც აღიარებდნენ ძარითად უფლებებს, მაგრამ იმდენად დამახინჯებულად, რომ ისინი თითქმის არავის მიუჩნევია ნამდვილ უფლებებად. მაგალითად, რწმენის თავისუფლება გაგებული იყო სინდისის თავისუფლებად, ეს უკანასკნელი კი (რომელიც გულისხმობს, რომ არავინ არ შეიძლება საკუთარი სინდისის წინააღმდეგ იარაღით ხელში საბრძოლველად იქნეს იძულებული) საერთოდ, უცნობი იყო მისთვის ისევე, როგორც უცხო იყო საკუთრების უფლება, აზრის გამოთქმის თავისუფლება და ა. შ.

შეორე. გადამწყვეტია აღიარებულ ძირითად უფლებათა ოეალური უფლებების ხორციელება. მე ვფიქრობ, თუ ქართულ სახელმწიფოს იმედი არა აქვს, რომ იგი უზრუნველყოფს კონსტიტუციაში განმტკიცებულ უფლებებს, საერთოდ, სჯობია უარი ვთქათ მათ ჩაწერაზე ძირითად კანონში. როგორც ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებში სიტყვის გამტეხი კაცი უავტორიტეტო, არასერიოზულ კაცად მიიჩნევა, ასევე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებშიც. ყველა ცდილობს თავი აარიდოს ამგვარ ქვეყნებთან ურთიერთობას. ასეთი იზოლაცია კი საქართველოსთვის დამღუპველია. გარდა ამის, ძირითადი უფლებების დასაცავად საჭიროა ძლიერი სასამართლო ხელისუფლება, რომელიც შეძლებს სახელმწიფო აპარატის მოხელეთა უკანონობისგან მოქალაქეთა დაცვას.

ძირითადი უფლებების ერთ-ერთ არსებით თავისებურებას ის შეადგნს, რომ ისინი სახელმწიფოს წინაშე თავდაცვის უფლებებს წარმოადგენენ⁴. ეს ნიშნავს, რომ თითოეული მოქალაქე უფლებამოსილია მოსთხოვის სახელმწიფოს დარღვეული უფლების აღდგენა. ერთის მხრივ ეს გულისხმობს, რომ კონსტიტუციური უფლებებისა და თავისეუფლებების დაცვა მოქალაქეთა (ანდა ამ უფლებათა სხვა მფლობელების) აქტიურობაზეა დამოკიდებული. მაგრამ, ცხადია, რომ ამგვარი აქტიურობა ვერ არის საიმედო გარანტი, რადგანაც სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეეძლია ერთეულთა დათრგუნვა. ამიტომ ძლიერი სასამართლო ხელისუფლება არის ის ძალა, რომელმაც უნდა შეძლოს მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფა. იგი გულისხმობს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოკიდებულ სასამართლოს. რაიკომის მდივნების ანდა გამგებლების „რეკომენდაციების გათვალისწინებით“ „დაკომპლექტებული“ სასამართლოები ამგვარი მისის აღსახრულებლად ვერ გამოდგებიან. არც გამგებელს, არც სხვა მსგავს თანამდებობის პარს არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეთ მოსამართლის დანიშვნასთან. მოსამართლე დამოუკიდებელი ფიგურაა, რომელიც დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლებას განახორციელებს და ემორჩილება მხოლოდ კანონსა და სამართლს. თუ საქართველოს არსებული ხელისუფლება, სახელმწიფოს ბედზე დაფაქრებული პოლიტიკოსები ამის გაკეთებას ვერ შეძლებენ, მაშინ თავის მოტყუებაა სამართლებრივ სახელმწიფოზე ფაქტი. პოლიტიკოსთა გამონათქვამებში ყოველ მეორე სიტყვად სამართლებრივი სახელმწიფოს ხსენება მხოლოდ დასაცინად აქცევს ამ ცნებას. იგი არაფრით განსხვავდება კომუნიზმის მშენებლობის ჩვენთვის გარგად ცნობილი ლოზუნგისგან.

კონსტიტუციური ძირითადი უფლებების განხორციელებას, როგორც წესი, რამდენიმე საფრთხე ემუქრება. ჯერ ერთი, საზოგადოება და სახელმწიფო არ არიან მზად ამ უფლებათა ხორცებს სხმისთვის. ე. ი. არ არსებობს ობიექტური წინაპირობები მათი რეალიზაციისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს საზოგადოების არასაკმარის კულტურას, რომ დაიცვას საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებული თავისეუფლებები. მაგალითად, თურქეთი ფორმალურად განამტკიცებს თითქმის ყველა ძირითად უფლებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას საყველურობენ, რომ იგი ზშირად არღვევს ამ უფლებებს⁵. ზოგი ქართველი პოლიტიკოსი თურქეთს სანიმუშო ქვეყნად მიიჩნევს, ქვეყნას, რომელსაც მოსახლეობის დაახლოებით 46% წერა-კითხვის უცოდინარი ჰყავს. მეორე, კონსტიტუციამდებული ორგანო თვით ცვლის შშირ-შშირად ამ უფლებებს (აუქმებს ან ავსებს მათ). ჩვეულებრივ, კონსტი-

⁴ Pieroth, Bodo: Grundrechte.—5. Aufl. 1989. S. 21

⁵ Aktuell 93: Das Lexikon der Gegenwart. Harenberg Lexikon-Verlag. 1992. S. 623

ტუციურ ცვლილებას ხმათა 2/3 სჭირდება. ძლიერი დემოკრატიის ქვეყნების პარლამენტებში ხმათა ამ რაოდენობის მოგროვება ძირითადი უფლებების შესაცვლელად მეტად რთულია. მაგალითად, გერმანიაში წელიწადშე მეტია მიმდინარეობს დავა თავშესაფრის კონსტიტუციური უფლების შეცვლის თაობაზე. მაგრამ მაინც ვერ მოხერხდა ბუნდესტაგში ხმათა 2/3-ის მოგროვება. კონსტიტუციური ცვლილებების შეტანის ამგვარი სირთულე მეტყველებს იმაზე, თუ როგორ სცემენ პატივს პოლიტიკური პარტიები სახელმწიფო კონსტიტუციის თითოეულ ნორმას. ამავე დროს, ეს საზოგადოებრივი სტაბილურობის აუცილებელი წინაპირობაცაა.

ძირითადი უფლებების გარანტირებულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ამ უფლებათა პრინციპული შეუცვლელობის აღიარება. ეს ნიშნავს, რომ არც ერთ პარტიას ან პარლამენტს, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვა, არ უნდა შეეძლოს არსებითად შეცვალოს ან გააუქმოს ეს უფლებები. ამის კარგ მაგალითს იძლევა ასევე გერმანიის ძირითადი კანონი, რომლის მე-19 მუხლის თანახმად „არ დაიშვება ძირითადი უფლების არსებითი შეცვლა“. ამგვარი გარანტიები, ვფიქრობ, ჩვენმა კონსტიტუციამაც უნდა განამტკიცოს. კონსტიტუციურ ნორმათა შეუცვლელობის პრინციპი ზოგჯერ არა მხოლოდ ძირითად უფლებებზე, არამედ სხვა ინსტიტუტებზეც ვრცელდება. მაგალითად, საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის 58-ე მუხლის მე-5 აბზაცის თანახმად, არ დაიშვება რესპუბლიკური მმართველობის ფორმის შეცვლა.

კონსტიტუციები ძირითად უფლებათა ორ ჯგუფს განასხვავებენ: ერთია უფლებები, რომლებიც სრულყოფილად არიან ძირითად კანონში ჩამოყალიბებული და არ მოითხოვენ შემდგომ საკანონმდებლო დაზუსტებას. აქ არ ვვრულისხმობ ამ უფლების განხორციელების პროცედურულ რეგლამენტაციას. მეორეა უფლებები, რომელთა შეზღუდვა ან შინაარსის განსაზღვრა დაიშვება სხვა კანონებით, მაგრამ ამის შესახებ უნდა იყოს დათქმული ძირითად კანონში. მაგალითად, კონსტიტუცია განამტკიცებს საკუთრების უფლებას, იქვე უთითებს, რომ „საკუთრების შინაარსისა და ფარგლებს განსაზღვრავს კანონი“, სხვა შემთხვევა: „ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე“. ეს ნიშნავს, რომ ამით ყველაფერი ნათქვამია. არც ერთ კანონს არ შეუძლია მისი შინაარსობრივი შეცვლა, არც ერთ კანონს არა აქვს უფლება, რომ ეს ნორმა გაავრცელოს, მაგალითად, მხოლოდ შავგანანებზე, ან პირიქით, აუკრძალოს მათ.

კონსტიტუციური ცვლილებების გაძნელება თანამედროვე განვითარებული დემოკრატიული საზოგადოებების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, მაგრამ იგი სათავეს იღებს კონსტიტუციური გზის აღრეულ ეტაპზე და დაკავშირებულია კონსტიტუციის პრიმატის აღიარებასთან სხვა კანონებთან მიმართებაში. კონსტიტუცია, როგორც სამართლებრივი საფუძველი მთლიანად კანონმდებლისთვის, ამ უკანასკნელთან შედარებით უფრო სტაბილური უნდა ყოფილოყო, მისი შეცვლა კი უფრო რთული, ვიდრე ჩვეულებრივი კანონისა. მაგალითად, საფრანგეთის 1791 წლის 3 სექტემბრის კონსტიტუცია (თავი VII, მუხლი 1) განამტკიცებდა: „რომ ერს აქვს გაუსხვისებელი უფლება შეცვალოს თავისი კონსტიტუცია, რასაკვირველია იმის გათვალისწინებით, რომ ეს ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება...“ ამგვარი კონსტიტუციური ცვლილება უნდა მოეხდინა სარევიზიო კონგრესს შემდეგი წესის დაცვით: სამ ერთმანეთის მომდევნო კონგრესს ერთხმად უნდა გამოეთქვა სურვილი კონსტიტუციური ცვლილების შესახებ. მოგვიანებით შეცვლილ იქნა ამგვარი უაღრესად რთული პრო-

ცედურა, მაგრამ კონსტიტუციების მნელად შეცვლის პრინციპი კვლავ ძალაში დარჩა. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია საფრანგეთისთვის არა თუ კონსტიტუცია ციური ცვლილება მოეხდინა, არამედ მთლიანად კონსტიტუცია რამდენჯერმე თავიდანვე მიეღო. ცხადია, რომ ეს არ არის მისაბაბი მაგალითი. ამერიკული მოდელის თანახმად კონსტიტუციური ცვლილება მოითხოვს კონგრესის 2/3-ის მხარდაჭერას, თუ შტატების საკანონმდებლო კრებების სამი მეოთხედი ან შტატების კონვენციების სამი მეოთხედი დაუჭერს მას მხარს. თანამედროვე კონსტიტუციები, როგორც წესი, განამტკიცებენ კონსტიტუციური ცვლილებებისთვის კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპს, ანდა რეჟიმენდუმს.

აქ კვლავ წამოიჭრება ფორმალური აღიარებისა და რეალური ცხოვრების ურთიერთმიმართების პრინციპმა. კვალიფიციურ ხმათა უმრავლესობით კონსტიტუციის შეცვლის პრინციპს საბჭოთა კონსტიტუციაც აღიარებდა, მაგრამ მას რეალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში არ უთამაშია დიდი როლი. უფრო მეტიც, ვიხსენებ საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წელს ჩატარებულ ერთერთ სესიას, რომელმაც 12 წუთში შეიტანა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები კონსტიტუციაში. უფრო გვიან, კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ არჩეულმა პარლამენტმა კონსტიტუციის ბლიც-ცვლილებების მთელი კორიანტელი დააყენა. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ამ პარლამენტის მიმართ სხვა სახელმწიფოები და პოლიტიკური ძალები არასიმპათიურად იყვნენ განწყობილი. კონსტიტუციური ნორმების ამგვარი სწრაფი ცვლილებები ადასტურებენ პარლამენტის არასერიოზულობასა და მის მოუმზადებლობას ნამდვილი საპარლამენტო დემოკრატიისთვის.

ჩემი აზრით, საქართველოს მომავალი კონსტიტუცია უნდა იწყებოდეს მოქალაქეთა ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით და ამ მიმართებაში იმ ღირებულებათა აღიარებით, რომლებიც აუცილებელია დირსეული ადამიანური არსებობის უზრუნველყოფად. ეს არ არის მხოლოდ ტექნიკური საკითხი, ამგვარი აღიარება ახალი მსოფლმხედველობის გამოხატულებაა და მისი საფუძველი, უპირველესად კი დასავლურ სამართლებრივ და პოლიტიკურ კულტურაში შებიჯებაა. ისტორიულად საქართველო რომის სამართლის მოქმედების სფეროში მდებარეობდა. ამიტომ ქართულ სამართალს ევროპული სამართლის ისტორიის მკვლევარები ევროპული სამართლის ისტორიის ნაწილად მიიჩნევენ⁷. ამ დებულების ღრმა კვლევა და დასავლეთის სამართლისმცოდნეებისთვის ხელმისაწვდომად გახდომა ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერების უდიდეს მოვალეობად მიმაჩნია.

ძირითად უფლებებთან დაკავშირებით მინდა შევეხო სასამართლო ხელი-სუფლების, კერძოდ კი, კონსტიტუციური სასამართლოს როლს.

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას ხელისუფლებათა დანაწილების საკითხის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება⁸. სასამართლო ხელისუფლების სისტემაში კი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონსტიტუციური სასამართლო. მაგრამ კონსტიტუციური კონტროლის საკითხშიც არსებობს არსებითი განხილვება. მაგალითად, ამერიკის კონსტიტუციის მიზეზით (მუხლი III, სექტ. 2) სასამართლოთა კომპეტენცია ვრცელდება case in law and equity-ზე პირიქით, საფრანგეთში სასამართლოს კომპეტენცია კანონმდებლობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ შეზღუდულია.

⁷ Wieacker, Franz. Voraussetzungen europäischer Rechtskultur. Göttingen, 1985. S. 10

⁸ Zippelius, Reinhold. Allgemeine Staatslehre. 7. Aufl. München. 1980. S. 232

ფრანგული დოგმატიკის თანახმად „განონი საყოველთაო ნების გამოხატულებულია ბაა“. ამიტომ სასამართლოს არ შეუძლია მისი შემოწმება⁹.

განონების სასამართლო შემოწმებადობის და ამით კონსტიტუციის უზენაესობის სასამართლო უზრუნველყოფის სამშობლოდ ასევე ამერიკის შეერთებული შტატები ითვლება. ეს კონცეფცია პირველად აღექსანდრე ჰამოაფალიბა 1788 წელს კონსტიტუციის ირგვლივ არსებული დისკუსიის ფარგლებში. მისი აზრით, „სხვათა შორის სასამართლოთა ამოცანა განონების განმარტებაშიც მდგომარეობს. კონსტიტუცია თავისი არსით არის უუძემდებლური კანონი და მოსამართლებისგან იგი ამგარად უნდა იქნეს დანაჯულიო“¹⁰.

უუძემდებლური კანონის ეს თეორია საფუძველი გახდა ამერიკაში ნორმის პირველი სასამართლო კონტროლისა 1803 წელს. ამერიკული მართლმსაჯულების ამ აღმოჩენამ დანარჩენ მსოფლიოში და განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში, საუკუნეზე მეტი წელი მანძილზე ვერ ჰპოვა აღიარება. 1920 წლიდან ნორმის სასამართლო კონტროლი არსებობს იტალიასა და ავსტრიაში. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კონსტიტუციური მართლმსაჯულება თითქმის საყოველთაოდ დამკიდრდა და დემოკრატიული სახელმწიფოების აუცილებელ ნაწილად იქცა¹¹. თუმცა ზოგმა დემოკრატიულმა ქვეყანამ არ გაიზიარა ეს დებულება. მაგალითად, შვეციამ და ჰოლანდიამ 70-იან წლებში უარი თქვეს ნორმის სასამართლო კონტროლზე.

თავისთავად კონსტიტუციური მართლმსაჯულების აღიარება უდაოდ დიდი მოვლენაა, მაგრამ მის განხორციელებას რამდენიმე აუცილებელი წინაპირობა სჭირდება. კონსტიტუციური მართლმსაჯულება ნიშნავს, უწინარეს კოვლისა, კანონთა კონტროლის შესაძლებლობას. კონტროლი კი ძალაუფლებას ნიშნავს. სასამართლოსათვის ამგვარი ძალაუფლების უზრუნველყოფა პირველი დიდი წინაპირობაა. ნორმის კონტროლის ძალით კონსტიტუციური სასამართლო ხშირად პარლამენტზე მაღლა დგას. რამეთუ მას შეუძლია პარლამენტის მიერ მიღებული კანონების გაუქმება, კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მათი გამოცხადება. ეს ამავე დროს ერთ-ერთი არგუმენტიცაა კონსტიტუციური მართლმსაჯულების წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ შეუძლებელია სასამართლო ხალხის მიერ არჩეულ ორგანოზე მაღლა იდგას. ეს არგუმენტი ზოგჯერ იმდენად სერიოზულია, რომ ზოგი სახელმწიფო, რომელიც კონსტიტუციის პრიმატს აღიარებს, უარს ამბობს კონსტიტუციურ სასამართლო კონტროლზე¹².

მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა კონსტიტუციამ უნდა აირჩიოს კონსტიტუციური სასამართლოს გზა და აი, რატომ:

ჯერ ერთი. საქართველოს არა აქვს თანამედროვე სახელმწიფოებრიობის, კონსტიტუციონალიზმისა და პარლამენტარიზმის ფაქტობრივად არავითარი ტრადიცია. უფრო ზუსტად, საქმარისი ტრადიცია და გამოცდილება იმისათვის, რომ ავტომატურად უზრუნველყოს კონსტიტუციის პრიმატისა და კონსტიტუციისადმი მთელი კანონმდებლობის შესაბამისობა. სპეციალური სასამართლო ორგანოს არსებობა შესაძლებელს გახდიდა, უფრო ზუსტად, ხელს შეუწყობდა ამ შესაბამისობის შემოწმებას.

მეორე. კონსტიტუციური სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების სისტემის მეტად მნიშვნელოვანი რგოლი, ანდა საფეხური, დამატებითი სასამართლო გარანტია იქნება მოქალაქეთა უფლებების დაცვისთვის.

⁹ Starck, S. 28

¹⁰ Stern, Grundideen europäisch-amerikanischer Verfassungsstaatlichkeit, 1984, S. 30

¹¹ Bettermann, Karl August, Der totale Rechtsstaat. Hamburg, 1986. S. 10

¹² Starck, S. 33-35

შესაძე. კონსტიტუციური სასამართლო თავისი როლისა და მდგომარეობის წყალიბით შეიძლება მაგალითი გახდეს იმისთვის, რომ კონსტიტუციის დაცვა მოეთხოვებათ არა მხოლოდ მოქალაქეებს, არამედ თვით საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასაც. ამგვარი ავტორიტეტი კონსტიტუციურმა სასამართლომ თვითონ უნდა დაიმსახუროს.

მეოთხე. ტოტალიტარული რეჟიმის წიაღიდან გამოსულმა სახელმწიფო ობიექტი (გერმანია) ტოტალიტარული სამართლის ინსტიტუტებისა და ნორმების დასაძლევად კონსტიტუციური მართლმსაჯულების გზაც აირჩიეს. საქართველოს სახელმწიფო ობიექტი დამოუკიდებლობა ერთ-ერთი ტოტალიტარული სისტემის წიაღიდან გამოიზარდა. ეს კი დღის წესრიგში აყენებს ბევრი ნორმის თუ დებულების სისწორისა და სამართლიანობის საკითხის შემოწმების აუცილებლობას. უეჭველია, რომ ამ საკითხების გადაწყვეტა მარტოოდენ საკანონმდებლო ორგანოს არ შეუძლია. ყველაზე ოპერატიულ გზას ამ ამოცანის შესრულების საქმეში წარმოადგენს ნორმის კონსტიტუციური კონტროლი.

კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელება და ამით კონსტიტუციის პრიმატის უზრუნველყოფის მეორე მნიშვნელოვანი წინაპირობა მდგომარეობს თვით კონსტიტუციური ნორმების სამართლებრივ კორექტულობასა და მგაფიობაში, რომ ამით საფუძველი შეიქმნას კონსტიტუციური ნორმების სწორი ინტერპრეტაციისათვის და ამ გზით კანონთა შესაბამისობის ზუსტად დადგენისათვის.

კონსტიტუციური პრიმატი ევრო-ამერიკული სამართლის კულტურის უდიდესი მონაპოვარია. მისი აღიარება ქართული სამართლისთვის ნიშნავს მსოფლიო სამართლებრივ კულტურასთან შეირთებასაც. ამ ასპექტითაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია მისი განმტკიცება საქართველოს მომავალ კონსტიტუციაში.

ქაქათერ ფინანსები

ქაქათერ უფლება-მოვალეობას განხორცილებანი*

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია სრულიად ახალი სისტემა იყო იმ პერიოდის მსოფლიო კონსტიტუციურ სამართლში, მაგრამ დღეისათვის, ტრადიციულ სამართლებრივ ურთიერთობათა უმრავლესობა, რომელთა უზოგადესი რეგულირებაც კონსტიტუციის პრეროგატივაა, სხვაგვარი შინაარსით და მოცულობით წარმოსდგება.

კონსტიტუციის მეცხრამეტე მუხლმა, რომელიც სიკვდილით დასჯას აუქმებდა, საყოველთაოდ ცნობილი თვითგასამართლების შემზარავი პრეცედენტები შექმნა. აღნიშნულით სრულიადაც არ გვინდა დავაკნინოთ საქართველოს დამოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური, სოციალური, იურიდიული თუ ჰუმანური ღირებულებანი, მაგრამ უნდა გავიცნობიეროთ, თუ რაოდენ ფრთხილი და სათუთი მიღომაა საჭირო ზოგადად სამართლებრივ და განსაკუთრებით, კონსტიტუციურ ნორმებთან მიმართებაში. ამდენად, მისასალმებელია, რომ მოიძებნა როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი კონსესუსი — შექმნას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია.

კონსტიტუციურ რეგულირებას განხოგადებული ხასიათი აქვს. მისი ძირითადი ამოცანაა დაადგინოს უმთავრესი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ამისათვის გამოიყენოს მცირე რაოდენობის ნორმები, ხოლო შექმნილ ნორმებში ისე ნათლად უნდა აისახოს საზოგადოებრივი ურთიერთობას არსი, რომ ამ ნორმებმა მიმართულება და შესაძლებლობა მისცეს კანონმდებელი ურთიერთობათა შემდგომი რეგლამენტაციისა მოქმედი კანონმდებლობის აქტებში. კონსტიტუცია მოქმედი კანონმდებლობის იურიდიული ბაზაა.

კონსტიტუცია, ერთი მხრივ, ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლებას, ხოლო მეორე მხრივ, ადგენს ხელისუფლების ფუნქციების განხორციელების პროცედურებს. მისი უმნიშვნელოვანესი დანიშნულებაა დაადგინოს იურიდიული საზღვარი როგორც მოქალაქესა და სახელმწიფოს, ისე თვით მოქალაქეებს შორის.

უფლება-მოვალეობები წარმოდგენას გვაძლევს საზოგადოებაში ინდივიდთა შორის „ჩემი“ და „შენის“ თანაფარდობაზე და ამდენად, „რაც სხვისაა — ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია — ჩემი უფლებაა“, ამიტომაც საზოგადოების ქეთილდღეობა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მის წევრთა უფლება-მოვალეობის განსაზღვრისა და სამართლებრივი რეგლამენტაციის გარეშე.

სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმაა, ამდენად იგი განასახიერებს და მოქმედებს საზოგადოების სახელით. ამის შესაბამისად, საზოგადოებასა და პიროვნებას შორის ურთიერთობა ყალიბდება პოლიტიკური ფორმით, ამდენად იგი ეცევა სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის პრიზმაში. მიუხედავად ამისა, ურთიერთობა სახელმწიფოსა და მოქალა-

* საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციისათვის.

ქეს შორის არის მეორადი, ანუ წარმოებული პიროვნებასა და საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთობიდან.

სამართლებრივად, ურთიერთობა და კავშირი სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის, ძირითადად ურთიერთპასუხისმგებლობას ეყრდნობა. სახელმწიფოს ვალიდებულება პიროვნების წინაშე, უწინარესად, ქვეყნის ძირითად კანონში, კონსტიუციაშია გამოხატული. განსხვავებულია მხოლოდ გადმოცემის ფორმები: 1. პირდაპირი ფორმა; 2. კონსტიტუციით აღიარებული ამოცანების ფორმა; 3. სახელმწიფო ორგანოებზე მოვალეობათა დაკისრების ფორმა; 4. სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიების დადგენის გზით.

სახელმწიფოსა და საზოგადოებაში მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისას უნდა დავეყრდნოთ დებულებას — „ადამიანის შვილი, ერთი მხრივ, უფალია, მეორე მხრივ, მოვალე“. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებობენ ისეთი მოვლენები, რომლებთანაც მიმართებაში ადამიანები მხოლოდ მბრძანებლები არიან და ცხოვრების ამ სფეროში საზოგადოებასა და სახელმწიფოს ჩარევის უფლება არა აქვს. საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო შეადგენს ადამიანთა პირადი ინტერესების სამყაროს, რომელშიც ყველაფერი მისი უფლებებითაა განსაზღვრული. მაგრამ, ადამიანს, რომელიც თავისი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კანონით განსაზღვრულ ფარგლებში უხვად იყენებს საზოგადოების წევრთა ერთობლივი შრომით შექმნილ სიკეთეს, ეკისრება განსაზღვრული მოვალეობებიც, ამ მოვალეობათა ერთობლიობა შეადგენს იმ საზოგადოებრივ „ჩვენს“, რომლის შესრულებასაც მოითხოვს სახელმწიფო ადამიანებისაგან, მაგრამ საზოგადოებრივ „ჩვენს“ მიერ, მოქალაქებზე დაკისრებული მოვალეობების დადგენისას, სახელმწიფო უნდა შესძლოს, რომ არ შეიძლაოს პიროვნების ღირსება, მისი ინტერესები და უფლებები. ილია ბრძანებდა: „ადამიანი უფალია თავის საკუთარ საქმეში, თავის ცალკე ინტერესების მოედანზედ. აქ იმას თავისი განცალკევებული საკუთარი „შინა“ აქვს. ეს საკუთარი „შინა“ მისი ხელშეუხებელი კუთვნილებაა და ამიტომაც კერა ადამიანისა პატივცემულია ყველასაგან, ვისაც არ დაუკარგავს გრძნობა ადამიანის ღირსებისა, ვისაც კაცი კაცად სწამს. ამ ცალკე ინტერესების მოედანზე მბრძანებლობს ადამიანის მძლავრი „მე“, რომელსაც, ვიღრე თავის ქრეჭშია, საზოგადოებრივი „ჩვენ“ არამცუ ერჩის რამეს, არამედ თვითონ გუშაგად უდგა, რომ დაუსჯელად არავინ ხელიც არ შეახოს.“

სამართლის უმთავრესი დანიშნულებაა სახელმწიფოსთან მოქალაქეების ურთიერთობის წესების დადგენა, ადამიანთა პირადი უფლებებისა და თავისუფლებების განსაზღვრა. ერთმანეთთან ცხოვრების საჭიროებებით დაკავშირებულ ადამიანთა ერთობლიობა არის საზოგადოება, მაგრამ განცალკევებულად არსებულ ადამიანების პირადი „მე“, ადამიანთა საზოგადოებად ჩამოყალიბებასთან ერთად, მნიშვნელოვნად იზღუდება და იგი უკვე ექვემდებარება საზოგადოების საერთო ინტერესებს. ადამიანი და მისი მოქმედება შეიძლება დავგმოთ თუ იგი ეწინააღმდეგება საზოგადოებას, მის ინტერესებს. რაც შეეხება მისი საქმიანობის არასაზოგადოებრივ სფეროს, ილიას აზრით: „ადამიანი ხელშეუხებელია და მისი მოქმედება და საქმე საკუთრივ მისი განსაკითხავი საგანია“ და არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს ადამიანთა პირადი თავისუფლებებისა და უფლებების განხორციელების საქმეში.

ადამიანთა პირადი სიკეთის დაცვა ხელყოფისაგან თვით ინდივიდს, საზოგადოების წევრს არ შეუძლია. ამისათვის არსებობს სახელმწიფო, რომელიც მოწოდებული უნდა იყოს დარაჯად ედგას ადამიანთა კეთილდღეობას. საზოგა-

დოება, მთავრობა, „სახელმწიფო, — ბრძანებს დიდი ილია, — იმისთანა წეობაა, რომელიც მარტო იმისათვის არის, რომ თვითეულის ადამიანის ფარიცი იყოს და ხმალიც საჭიროებისამებრ. ღრმად რომ ჩაუკვირდეთ თვითონ საზოგადოების არსებობის საგანსა და მიზეზს, დავინახავთ, რომ იგი სხვა არა არის-რა, გარდა იმის, რომ ადამიანის „მე“ თავის ჯეროვანს ადგილას დასვას ისე, რომ მის ცალკე ბედნიერებას, ცალკე ქეთილდღეობას, სიკეთეს არა აპრკოლებდეს-რა, თუ რომ სხვის ბედნიერებას არას ერჩის და არას უშავებს“.

მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლების შემადგენელი ნაწილია მოქალაქეობა, რამდენადაც იგი განსაზღვრავს ურთიერთობის შინაარსს სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის. პიროვნებისათვის მინიჭებული უფლებებისა და დაკისრებული მოვალეობების მოცულობა უშუალოდ გამომდინარეობს მოქალაქერიდან, რამდენადაც სრული მოცულობით უფლებებსა და მოვალეობებს სახელმწიფო მხოლოდ თავისი მოქალაქებისათვის ადგენს.

მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობის პრინციპები განასახიერებენ არსებით ურთიერთობებს სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის, ამ უკანასკნელის ადგილის გათვალისწინებით საზოგადოებაში.

მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია საზოგადო და კერძო ინტერესების შერწყმა, მასზე დაფუძნებული უფლება-მოვალეობათა ერთიანობა. ადამიანის მოღვაწეობის მამოძრავებელ ძალად, მისი განსაზღვრული ქმედების სტიმულად გვევლინებიან ინტერესები, რომლებიც გამოხატავენ საზოგადოებრივი ყოფიერებიდან გამომდინარე ობიექტებს, საჭიროებას. ადამიანის რეალური ინტერესები საფუძვლად უდევს ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობას, მიუხედავად იმისა, თუ ცხოვრების რომელ სფეროში წარმოიშობაან.

უფლება-მოვალეობათა და თავისუფლებათა საყოველთაობის პრინციპის არის მოქალაქის სამართლებრივ მდგომარეობასთან მიმართებაში შემდეგშია — ნებისმიერი მოქალაქე კანონით დადგენილი ასაკის მიღწევისა და შესაბამისი პირობების არსებობისას სარგებლობს თანაბარი ფაქტობრივი შესაძლებლობებით, ჰქონდეს უფლებები და იკისროს მოვალეობები. კონსტიტუციური უფლებებისა და კონსტიტუციური მოვალეობების სუბიექტი შეიძლება იყოს საქართველოს ყველა მოქალაქე კანონით დადგენილი ასაკის მიღწევისა და შესაბამისი პირობების არსებობისას.

კონსტიტუციური უფლება (თავისუფლება) — ეს არის სახელმწიფოს მიერ აღიარებული და კონსტიტუციით დადგენილი შესაძლებლობა ნებისმიერი მოქალაქისათვის, დამოუკიდებლად აირჩიოს ქცევის მართლზომიერი წესი, ისარგებლობს მისთვის მინიჭებული სიკეთით როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად. კანონით დადგენილი შესაძლებლობები ერთ შემთხვევაში იწოდება უფლებად, ხოლო სხვა შემთხვევაში — თავისუფლებად. ამ ორცებას შორის ხშირად არც ისე იოლია განსხვავებული შტრიხების მოძებნა, რადგან ერთი და იგივე სამართლებრივი შესაძლებლობა შეიძლება აღვიქვათ როგორც უფლებად, ისე თავისუფლებად. ამდენად, უფლება და თავისუფლება ადამიანისათვის ქცევის წესის თავისუფალი არჩევის სამართლებრივი შესაძლებლობის მინიჭების ფორმებია. როცა პიროვნების არჩევანი დაკავშირებულია კონკრეტული სოციალური სიკეთის გამოყენებასთან, კანონმდებელი მიმართავს ცნებას — „უფლება“, ხოლო როცა საკითხი ეხება ისეთ სამართლებრივ შესაძლებლობებს, სადაც მიზანშეწონილია ხაზი გასვას ქცევის წესის არჩევის თავისუფლებას, კანონმდებელი მიმართავს „თავისუფლების“ ცნებას. ამის ნათელი

მაგალითია განათლების, შრომის ან დასვენების უფლება და სინდისის ან შემოქმედების თავისუფლება.

ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობანი ხასიათდებიან მრავალი ზოგადი იურიდიული თავისებურებით:

1. ისინი წარმოიშობიან არა ზოგადი სამართალუროთობის, არამედ ქვეყნის მირითადი კანონის საფუძველზე. ამასთან, კონსტიტუციით განისაზღვრება როგორც მათი შინაარსი, ისე მოცულობა;

2. ისინი გამოხატავენ, უპირველეს ყოვლისა, უშუალო ურთიერთობასა და კავშირს სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის;

3. ძირითადი უფლება-მოვალეობანი და თავისუფლებანი უწყვეტობით ხასიათდებიან. ისინი არსებობენ მუდმივად, მიუხედავად მათი რეალიზაციისა, ვიღრე პირი მოცემული ქვეყნის მოქალაქეა. მოქალაქეს არ შეუძლია უარი განაცხადოს არამარტო კონსტიტუციურ მოვალეობებზე, არამედ უფლება-თავისუფლებებზეც. სახელმწიფოს მიერ დადგენილი უფლებების, თავისუფლებისა და მოვალეობების მოცულობა და შინაარსი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ „სახელმწიფოს“ მიერვე გამოცემული ახალი სამართლებრივი აქტებით. სხვა შემთხვევაში პიროვნებას არც მათი უარყოფის უფლება აქვს და არც ახალი უფლება-მოვალეობების შეძენისა. უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეს ძირითადი უფლება-მოვალეობანი ხელშეუვალი და პირველადი სახით ძალაში არიან მათა მრავალგზის განხორციელების შემდეგაც;

4. ძირითადი უფლება-მოვალეობების მოცულობა და შინაარსი ყველა მოქალაქესათვის ცალსახაა, მაშინ როცა სუბიექტური უფლებები და იურიდიული მოვალეობანი კონკრეტულ სამართალუროთობაში სხვადასხვაგვარია როგორც თავისი შინაარსით, ისე მოცულობით;

5. ძირითადი უფლება-მოვალეობანი განხორციელებას უპირატესად კონკრეტული სამართლუროთობის წარმოშობისას პირვებენ, ე. ი. როცა წარმოიშობიან ახალი სუბიექტური უფლებები და იურიდიული მოვალეობები, ისინი თავის მხრივ, აკონკრეტებენ შესაბამის კონსტიტუციურ უფლება-მოვალეობათა შინაარსს.

უფლება-მოვალეობათა დეკლარირება, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი მიღწევა და შესაბამება კიდეც საზოგადოებრივი განვითარების დონეს, მაგრამ არცთუ ნაკლებ საყურადღებოა მათი რეალიზაციის რეალური შესაძლებლობანი. სწორედ ამ მიზნით უზრუნველყო ისინი კანონმდებელმა მრავალი გარანტიის შექმნით.

გარანტიების ძირითადი დანიშნულებაა, უზრუნველყოს რაც შეიძლება კათილსამედო გარემო, რათა მოქალაქეის კანონით დადგენილი სამართლებრივი სტატუსი ცალკეული პიროვნების იურიდიულ და რაც მთავარია, ფაქტობრივ მდგომარეობად იქცეს. ამდენად, გარანტიები წარმოგვიდგება იმ დამაკავშირებელ როლად, რომელიც იძლევა მოქალაქეის სამართლებრივ სტატუსში კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობიდან რეალურად განხორციელებად მდგომარეობაში გადასვლის საშუალებას.

მოქალაქეისათვის ძირითად უფლება-მოვალეობათა გარანტირება ნიშნავს—უზრუნველყო მათი ფლობა, გამოყენება და დაცვა ხელყოფისაგან.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო თავისი არსებობის მანძილზე, ყოველთვის უზრუნველყოფდა მოქალაქეისათვის დაკისრებული მოვალეობის აქტიურ შესრულებას პასუხისმგებლობის დაწესებით და აქედან გამომდინარე, იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით პირებისადმი, ვინც თავს არიდებს და კისრებული მოვალეობების შესრულებას.

ფართო გაგებით „გარანტიის“ ცნება მოიცავს იმ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ერთობლიობას, რომლებიც მიმართული არიან თავისუფლებათა და უფლება-მოგაღეობათა პარაქტიკული რეალიზაციისაკენ, უფლებათა და ორგვეისა და შესაძლო არასრული ან შეუსაბამო განხორციელების პირობებისა და მიზანების აღმოფხვრისაკენ. აღნიშნული ფაქტორები უფლება-მოგაღეობათა რეალიზაციის პროცესში წარმოგვიდებიან როგორც პირობები, საშუალებები, ხერხები და მეთოდები. აქედან მომდინარეობს მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებული დებულება, რომ გარანტიას აიგივებენ იმ პირობებთან, ხერხებთან, მეთოდებთან და საშუალებებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ცალკეული მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების ფაქტორივ რეალიზაციასა და ყოველმხრივ დაცვას.

კონსტიტუციურ უფლება-მოგაღეობათა იურიდიული გარანტიები მრავალრიცხოვნია და მრავალსახეობრივი თავისი არსით. მაგრამ ყველა მათგანს აერთიანებს ერთი ძირითადი შტრიჩი, ისინი გამოხატული და დადგენილი არიან მოქმედი კანონმდებლობის ნორმებში, რამდენადაც აკონკრეტებენ და სსნიან ძირითად უფლება-მოგაღეობებსა და თავისუფლებებს, აღვენენ მათი განხორციელების წესს.

იურიდიულ გარანტიებზე საუბრისას აუცილებელია მკვეთრად განვასხვავოთ პირობები და საშუალებები. პირობა — ეს არის პოლიტიკურ-სამართლებრივი რეჟიმი, ვითარება, რომელშიც ხორციელდება ძირითადი უფლება-თავისუფლებანი და სრულდება მოგაღეობები. საშუალება (ხერხი და მეთოდი) — ეს არის სამართლებრივი მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც მოქალაქე ან სახელმწიფო უზრუნველყოფებს ამა თუ იმ უფლების რეალიზაციას, აღდგენას ან დაცვას.

კონსტიტუციონალიზმის პრინციპების შესაბამისად ყველა მოქალაქისათვის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭება და მათი შემდგომში დამოუკიდებლად რეალიზაციის რეალურობა პირდაპირ და უშუალო კავშირშია მოქალაქის მატერიალურ სტატუსთან, უფრო, ზუსტად, მის მფლობელობაში არსებული საკუთრების მოცულობის, რაოდენობისა და ხარისხის კატეგორიასთან. ამდენად აქვს მინიჭებული უფლება, განახორციელოს მისი შესაძლებლობები როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ სფეროში. ამ პროცესში სახელმწიფო ერევა მხოლოდ იძლენად, რამდენადაც იგი თავისი იმულების ინსტიტუტით უზრუნველყოფს იმ სივრცის გარე იურიდიულ პირობებს, რომლის ჩარჩოებშიც მოღვაწეობს პიროვნება.

სახელმწიფო, ერთი მხრივ, იჭრება სამოქალაქო საზოგადოების მოღვაწეობის ყველა სფეროში, ხოლო მეორე მხრივ, ახორციელებს რიგ სოციალურ ფუნქციებს, რაც უქმნის გარკვეულ, თუმცა შეზღუდულ შესაძლებლობებს პიროვნებას, მიაღწიოს თავისი კერძო ინტერესების განხორციელებას სახელმწიფოს მეშვეობით.

საზოგადოება ატომისტურია თავისი ხასიათით, რამეთუ მისი შემადგენელი თითოეული პიროვნება დამოუკიდებელია სხვა პიროვნებებთან მიმართებაში.

პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის შესაძლო ურთიერთობათა კონკრიტული შემადგენლობა უბირველეს ყოვლისა განისაზღვრება იმ უფლებებითა და მოვალეობებით, რომელთა ერთობლიობაც მოქალაქის სამართლებრივ სტატუსს გვაძლევს.

ცივილიზაციული ქვეყნების დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობა იცნობს მოქალაქის სამართალსუბიექტობის მოცულობის დადგენის ორ მეთოდს — პოზიტიურს (ნების დართვის გზით) და ნეგატიურს (აკრძალვით). პოზიტიურს ადგილი აქვს მაშინ, როცა კონსტიტუცია და სახელმწიფო სამართლის სხვა

წყაროები ადგენენ თუ რისი უფლება აქვს მოქალაქეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში, ხოლო ნეგატიური მეთოდი დამტრალურად საწინააღმდეგო ხასიათისაა — სახელმწიფო სამართლის ნორმები ადგენენ მხოლოდ მას თუ რისი უფლება არა აქვს მოქალაქეს.

ამერიკელ მეცნიერ იურისტთა უმრავლესობა უფლებებსა და თავისუფლებებს ყოფენ პირველხარისხოვნად (არსებითი) და მეორეხარისხოვნად (ნაკლებად არსებითი).


დასავლეთ გერმანელი მეცნიერი ი. მაუნცი გვთავაზობს უფლებებისა და თავისუფლებების დაყოფას ორ ჯგუფად: მოქალაქეს ძირითადი უფლებები და ადამიანის ძირითადი უფლებები. უფლებათა მეორე ჯგუფის ძირითადი განსხვავება პირველისაგან არის ის რომ, მასში მოცემული უფლებები არა პოზიტიური, არამედ ბუნებრივი ხასიათისაა, რის გამოც, მათი ერთობლიობა განახილება როგორც ზესახელმწიფოებრივი დადგენილება, რომელიც ადამიანს ნაიომები აქვს ღვთისაგან და არა სახელმწიფოს ან სამართლისაგან. „ბონის იდეური მოწყობის“ არგუმენტაციისას, რომელშიც უფლებები დაყოფილია სახელმწიფო ებრივ და ზესახელმწიფოებრივ უფლებებად, თ. მაუნცი წერს: „ძირითადი უწლებები არ იქმნება სახელმწიფოს მიერ, არ საჭიროებს ცნობას, არ შეიძლება შეიზღუდოს ან ლიკიდირებულ იქნას. ისინი დამახასიათებელია ინდივიდისათვის, როგორც ასეთის. ისინი იცავენ თავისუფლებას როგორც უკანონო, ისე კანონიერი სახელმწიფო იძულებისაგან“.

ჩვენი აზრით, გამართლებულია ძირითად უფლება-თავისუფლებათა სამ ჯგუფად დაყოფა, იმ ურთიერთობათა ხასიათის მიხედვით, რომლებიც წარმოაშობა სახელმწიფოსა და ინდივიდს ან თვით ინდივიდებს შორის. პირველი ჯგუფი მოიცავს იმ ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს, რომლითაც აღჭურვილია პიროვნება, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრი. მეორე ჯგუფში მოცემულია პიროვნება, როგორც პოლიტიკური ერთობის წევრი, აღჭურვილი განსაზღვრული პოლიტიკური უფლებებითა და თავისუფლებებით, ხოლო მესამე აერთიანებს იმ პირად უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც გააჩნია პიროვნებას, როგორც ფიზიკურ პირს. მიუხედავად იმისა, რომ ეს დაყოფა ამომწურავი არ არის, მეტნაკლებად საშუალებას გვაძლევს, გარკვეული დაჯგუფების შემდეგ მოქალაქეს ძირითადი უფლებები და თავისუფლებები მათი ხასიათისა და მიზანსწრაფვის მიხედვით გავანაბლიზოთ.

კონსტიტუციური უფლება-მოვალეობანი თავისი განხორციელების ხასიათის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: პირველი ჯგუფი მოიცავს იმ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც კონკრეტულ სამართალურთიერთობაში პოვებებს რეალიზებას (შრომის უფლება, დასვენების უფლება, მატერიალური უზრუნველყოფის უფლება), ხოლო მეორე ჯგუფში ერთიანდება ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც წარმოაშობან არა სამართალურთიერთობის პირობებში, არამედ მათი დარღვევა წარმოაშობს კონკრეტულ სამართალურთიერთობას (პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა, სინდისის თავისუფლება, მოქალაქეთა პირადი ცხოვრების, მომწერის, სატელეგფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოების უფლება).

კონსტიტუციური თავისუფლებანი და უფლება-მოვალეობანი თავისი განხორციელების ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს ინდივიდუალურად განხორციელებადი და პირთა ჯგუფის მიერ განხორციელებადი.

კონსტიტუციურ ნორმებში კანონმდებელი, როგორც წესი, მოქალაქეს ასაკით გამოწვეულ თავისებურებებს არ ითვალისწინებს, არადა მიზანშეწონილი იქნებოდა სახელმწიფოს, კანონმდებლის მეშვეობით, ახალგაზრდობა განსაკუთ-



რებული ზრუნვის საგნად ექცია, იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ახალგაზრდობა ერთს ძლიერებისა და ქვეყნის პროგრესის წყარო.

ჩვენი აზრით, კონსტიტუციური ნორმა შეიძლება ჩამოყალიბდეს დამატებითი გარანტის სახით:

„საქართველოს რესპუბლიკის ახალგაზრდა მოქალაქეებზე ზრუნვა სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა. რესპუბლიკის კანონმდებლობა აღგენს ახალგაზრდობის უფლება-მოვალეობათა შედავათთან სამართლებრივ რეჟიმს“. აღნიშნული აზრის გამოთქმას გვაიძულებს ის, რომ ერთი შეხედვით, საქართველოს ახალგაზრდა მოქალაქისათვის პოლიტიკურ უფლებათა რეალიზაცია უზრუნველყოფილია, მაგრამ კანონმდებელი იქვე აწესებს რიგ ასაკობრივ შეზღუდვებს — არჩევის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წევრი 23 წლიან ასაკობრივ ცენტს უნდა აქმაყოფილებდეს.

საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით „საქორწინო ასაკად მამაკაცებისათვის დაწესებულია 17 წელი, ქალებისათვის 16 წელი“. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-11 მუხლი, რომელიც მოქალაქეთა ქმედუნარიანობის პირობებს აღგენს, მე-2 ნაწილში განმარტავს: „იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით დაშვებულია ქორწინება თვრამეტი წლის ასაკამდე, პირი, რომელიც თვრამეტი წლისა ჯერ არ გამხდარა სრულ ქმედუნარიანობას მოიპოვებს დაქორწინების დღიდან“.

კანონმდებლობაში ამ საკმაოდ დიდ ნაკლს ერთი მარტივი მაგალითიც ნათელყოფს: 16-17 წლის ქალ-ვაჟისაგან შექმნილი ოჯახის წევრები სარგებლობენ სრული სამოქალაქო ქმედუნარიანობით, მაგრამ იზღუდებან ძირითად პოლიტიკურ უფლებებში. ცივილიზებული ქვეყნების კანონმდებლობისათვის ეს პარადოქსია, ჩვენში კი — ფაქტი. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სახელმწიფოს მხრივ ახალგაზრდობისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების კლასიკური მაგალითი.

რადგან კანონით დაწესებულია ქორწინება ქალებისათვის 16, ხოლო ვაჟებისათვის — 17 წლიდან, სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, დაქორწინების მომენტიდან ისინი სრული ქმედუნარიანობით სარგებლობენ, ე. ი. მათ გააჩნიათ უნარი თავისი მოქმედებით შეიძინონ სამოქალაქო უფლებები და იკისრონ სამოქალაქო ვალდებულებანი. როგორც ვხედავთ, მათ გააჩნიათ სამოქალაქო უფლებაუნარიანობა და სარგებლობენ სრული ქმედუნარიანობითაც. მაშინ ისმის კითხვა, რატომ ზღუდავს მათ კანონმდებელი პოლიტიკურ უფლებებში?

ჩვენი აზრით, პოლიტიკურ სფეროში მოქალაქის სამართლუბიექტობას შეადგენს ორი ძირითადი კომპონენტი — პოლიტიკური უფლებაუნარიანობა და პოლიტიკური ქმედუნარიანობა.

მოქალაქის პოლიტიკური უფლებაუნარიანობა — ეს არის პირის უნარი იყოს სახელმწიფო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი, ე. ი. პირს აქვს უნარი პერნებს სახელმწიფო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები. საბოლოოდ პოლიტიკური უფლებაუნარიანობა არის იმ შესაძლებლობათა ერთობლიობა, რომელსაც სახელმწიფო თავის მოქალაქეს ანიჭებს. პოლიტიკური უფლებაუნარიანობა წარმოიშობა საქართველოს მოქალაქის დაბადებისას ან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღებისას.

პოლიტიკური ქმედუნარიანობა არის ამ შესაძლებლობათა რეალიზაცია განსაზღვრული გარემოებების დადგომისას.

ამრიგად, პოლიტიკური ქმედუნარიანობა არის მოქალაქის უნარი თავისი მოქმედებით გამოიწვიოს კონსტიტუციური სამართლის ნორმებით გაფულების წინებული შედეგები.

უკაქტიბრივად საქართველოს X XI საუკუნის კონსტიტუციაზე მუშაობისას, რაღა თქმა უნდა, გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლის სულისკვეთება და ძირითადი პრინციპები, მაგრამ შესაბამისობაში უნდა იყოს თანამედროვეობასთან.

იმ პერიოდის საკონსტიტუციო კომისიას (პავლე საყვარელიძის თავმჯდო-მარეობით) განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად მოქალაქეთა უფლება-თა-ვისუფლებების აღიარება და მათთვის სათანადო გარანტიების შექმნა მიუჩნევია. ამასთან, შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ დღეისათვის გაუმართლებელია მოქალაქის უფლება-თავისუფლებათა განაწილება ორ სხვადასხვა თავში (თავი 3 და 13). ეს უფრო ორგანიზაციულ-ტექნიკურ ხარვეზთა კატეგორიას განეკუთვნება.

ჩვენი აზრით, ახალ კონსტიტუციაში მოქალაქის უფლება-თავისუფლებანი და მოვალეობანი აუცილებლად ერთ თავში უნდა იყოს გაერთიანებული. აქ მხოლოდ ძირითად უფლება-მოვალეობებზე იქნება ღაბარაკი კონსტიტუციური ნორმებისათვის დამახსიათებელი უზოგადესი ფორმით.

კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავებისას უცილობლად უნდა იქნას გათვალისწინებული პროცესუალური ნორმების გამოხმირვა 1921 წლის კონსტიტუციის იმ თავებიდან რომელიც მოქალაქის ძირითად უფლება-თავისუფლებებს ადგენენ.

ადამიანის უფლება-მოვალეობათა სამართლებრივ ინსტიტუტს საერთაშორისო კონსტიტუციონალიზმა იმდენად კომპაქტური სახე მისცა, რომ ერთი შეხედვით, სტანდარტულადც კი გამოიყურება, მაგრამ არ უნდა დავივრწყოთ, რომ ყოველ ერს სამართლის ავტონომიური ისტორია აქვს და ამიტომ სხვა ქვეყნების სამართლებრივი ნორმების გათვისებამ, თუნდაც ზოგადსაკაცობრიო პრინციპების მიღებამ, არ უნდა დაასუსტოს ეროვნულ ნიაღაზე აღმოცენებული და ისტორიულად ჩამოყალიბებული მართლებენება. მაგალითად, ქართული სამართლებრივი აზროვნება სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა შორის უმნიშვნელოვანებს — შორის უფლებას არამარტო უფლებად, არამედ მოვალეობადაც აღიქვამდა. საყურადღებოა პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ — „უკეთუ ვისე არა ჰერქავს საქმის გაკეთება და შრომა, უფლება არა აქვს, რომ ლუკა პური ჭამის“—ო. თუ გვისურს, კონსტიტუცია მკვდრადშობილ სამართლებრივ აქტად არ იქცეს და სიცოცხლისუნარიანი იყოს, უნდა ვეცადოთ. რომ მასში სათანადოდ აისახოს ეროვნული ჩვევები და ტრადიციები.

ჩვენი აზრით, კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ქალის, დედის ფენომენი იმ ფილოსოფიური სიღრმით უნდა იქნას წარმოსახული, როგორც მას ტრადიციით ეკადრება. უნდა გავითვალისწინოთ ოჯახის ღირსების განსაკუთრებული ადგილიც ქართულ ცნობიერებაში, ქორწინების ფორმების აღიარებაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქართული კანონმდებლის შხრივ.

მოქალაქის ძირითადი კონსტიტუციური უფლებები უნდა იქცნენ რეალურად განხორციელებად უფლებად და არა დეკლარაციებად ან კეთილ სურვილებად. ერთი ადამიანის უფლებას შესაბამისად თანხვდება აქტიური ან პასიური მოვალეობა სხვა მოქალაქეებისა, ხოლო სახელმწიფო კი ყოველთვის უნდა აღვევთ კველა იმ სამართლებრივ ურთიერთობაში, რომლებიც დადგენილია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლება-მოვალეობებით.



სახელმწიფო პრეზიდენტის კოდიციკური პრეზიდენტი და მთი მოვარების გვერდი*

საქართველო მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის მდგომარეობაშია. მნელია დავასახელოთ სფერო, სადაც ვითარებას ძეგლ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი შეიძლება ეწოდოს. ქვეყანაში მიმდინარე ომი არსებულ პრობლემებს განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოაჩენს. ფალასაჩინოა როგორც სამთავრობო, ასევე საპარლამენტო კრიზისი. მიზეზები უმრავია. წარმოდგენილ მოხსენებაში ჩვენ მხოლოდ ძირითად მომენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას, ვისაც მდგრადი მომენტებზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, საფუძველთა საუძვლებელი.

სანაც პარლამენტში არსებულ უმთავრეს პრობლემებს შევეხებით, აღვნიშნავთ, რაოდენ უხერხულიც არ უნდა იყოს ამ თემაზე საუბარი, არაორგანიზებულობას – დასწრების პრობლემას, ეთიკის ნორმების სისტემატურ დარღვევას. ჩვენი აზრით, ეს პრობლემები, უპასუხისმგებლობის ცალკეულ გამოვლინებებთან ერთად, გამოწვეულია ელემენტარული სამუშაო პირობების არქონით, რეგლამენტის დაუხვეწაობით, საინფორმაციო სამსახურის გაუმართავი მუშაობით – ინფორმაციის დეფიციტით.

პარლამენტის სერიოზული პრობლემა და ნაკლია, ის, რომ იგი თითქმის ვერ ასრულებს თავის პირდაპირ დანიშნულებას – ვერ ახერხებს რეფორმის, და საერთოდ, სახელმწიფო ბრძოლის სამართლებრივი ბაზით უზრუნველყოფას, რაც, თავის მხრივ, ქმნის დესტრუქციულ ფონს პოლიტიკური არასტაბილურობისა და საომარი მოქმედების პირობებში.

პარლამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა ძირეულ გარდაქმნას საჭიროებს. ის, რომ პარლამენტი გადატვირთვით მუშაობს, სულ არ ნიშნავს მის ეფექტურობას, პირიქით – ჩვენი გადატვირთვა პარლამენტის შრომის დაბალი ორგანიზაციის შედეგია.

აუცილებლობა მოითხოვს თვითკრიტიკულად შევაფასოთ ჩვენს მიერ გაწეული საქმიანობა. დაბალი შრომის ნაყოფიერების ერთი პირველი და ძირითადი მიზეზია იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით არასრულყოფილი „დროებითი რეგლამენტი“. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, სახალხო ფრონტისა და პარლამენტის იურიდიული კომისიები ამუშავებენ და უახლოეს ხანებში თქვენს განსახილვებულ შემოიტანენ ახალ რეგლამენტს. ვიმედოვნებთ, რომ განვლილი მუშაობის გამოცდილების საფუძველზე ყოველმხრივ დახვეწილი „მუდმივი რეგლამენტი“ დიდ დახმარებას გაუწევს პარლამენტს შრომის ნაყოფიერების ხარისხის გაზრდაში.

მეორე და უმნიშვნელოვანესი მიზეზი მუშაობის ნაკლოვანებებისა არის ის, რომ პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობა არ ატარებს გეგმიურ ხასიათს. არადა, ახლა, როცა ახალ სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ, განსაკუთრებული ყურადღება, უწინარეს ყოვლისა, სწორედ კანონშემოქმედებითი პროცესის გეგმიური წარმართვისათვის უნდა მივვექცია.

მოგახსენებთ ჩვენს მოსაზრებას პარლამენტის საქმიანობის დაგეგმვის მექანიზმთან დაკავშირებით:

* მოხსენება წაკითხულია ფრაქცია „ეროვნული დემოკრატის“ სახელით დეპუტატ ვანო ხეხუნაშვილის მიერ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე.

ყველა კომისიამ უნდა ჩამოაყალიბოს შესამუშავებელი განონპროექტების ნუსხა. მინისტრთა კაბინეტმა, თავის მხრივ, წარმოადგინოს მთავრობის საგანონმდებლო წინადადებების ჩამონათვალი, მისი მუშაობის ინტერესებიდან გამომდინარე რიგითობის გათვალისწინებით. სპიკერის აპარატმა პრიორიტეტებისა და შესამუშავებელი საკანონმდებლო პაკეტების თანმიმდევრობის განსაზღვრით, მთავრობასთან ერთობლივი განხილვის შემდეგ, მათი კოორდინირებულ გარიანტი უნდა წარმოადგინოს კოლეგიის სამსჯავროზე, რომელიც ამ ვარა ანტს დაამტკიცებს, როგორც პარლამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცერამას მოწვევის მთელი პერიოდისათვის. იგივე უნდა დაეღის საფუძვლად სესიების სამუშაო გეგმებს. ასეთმა შიდგომამ ერთვარად უნდა მოაწესრიგო პარლაენტის სხდომების დღის წესრიგის ფორმირების საკითხიც.

უნდა დაზუსტდეს და ჩამოყალიბდეს პარლამენტის კოლეგიის დებულება რათა ეს რგოლი იქცეს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა პოზიციების წინასწარ შეჯერების, კომისიათა მუშაობის კოორდინირების ამაღლების და კონსტრუქციული კანონშემოქმედებითი მოღვაწეობის ორგანიზაციული ხელშეწყობის ქმიდით მექანიზმად.

მხოლოდ აღნიშნული და ბევრი სხვა ორგანიზაციული საკითხის მოგვარების გზით პარლამენტში შეიძლება შევქმნათ ნორმალური, თანმიმდევრულ კანონშემოქმედებითი რიტმი და დავამკვიდროთ სრულფასოვანი საქმიანობის ატმოსფერო.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სრულფოვისათვის აუცილებელია საყოველთაოდ მიღებული ნორმებისა და ცნებების საპარლამენტო საქმიანობაში დანერგვა, აპონიებული მექანიზმების მაქსიმალურად ჩართვა. ნონ სენისია, რომ ჩვენში ჯერაც არ ჩამოყალიბებულა უმრავლესობა და უმცირესობა ამ ცნებებში ნაცულისხმევი შინაარსის კლასიკური, პოლიტიკური გაგებით დღევანდელი მთავრობის კურსის მხარდამჭერი და მისდამი ოპოზიციურად განწყობილი ძალების დახასიათება უმრავლესობად და უმცირესობად წმინდა პირობით შინაარსს ატარებს, ზღვარი ამ ორ სუბიექტს შორის დაუღენერილი და აქედან გამომდინარე ბალანსი არასტაბილურია, ძალზედ ალბათური და ხელოვნურია. აქ გადამწყვეტი როლს სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტის თავმჯდომარე, არა თუ ვერ ახერხებს საპარლამენტო უმრავლესობის ერთიანი გუნდის ჩამოყალიბებას და ამ პროცესში ლიდერ-ორგანიზატორის როლის თამაშს, იგი ინერტულობას იჩენს იფიციალური კურსის მხარდამჭერი საპარლამენტო ფრაქციების კოორდინირების საქმეში. ამის გამო ეს ფრაქციები (თუნდაც ინტერფრაქციული ბლოკის სახით) არაორგანიზებულ სიმრავლეს წარმოადგენენ. აქვე ძალიან მტკიცნეულად ჩნდება პასუხისმგებლობის მომენტი. უმრავლესობის ფაქტობრივი ჩამოყალიბებლობა საპარლამენტო ცხოვრებაში ქმნის პასუხისმგებლობის დეფიციტს.

პასუხისმგებლობითა და შესაძლებლობებით, მოვალეობებითა და უფლებებით აღჭურვილი უმრავლესობის ჩამოყალიბების აუცილებლობა იმითაცაა განპირობებული, რომ იგი უნდა გახდეს გარანტი მთავრობის დაკომპლექტების ჯანსაღი პრინციპის დამკვიდრებისა — თანამოაზრეთა ერთიანი გუნდის ჩამოყალიბებისა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია:

1. დაიწყოს კონსულტაციები შიდასაპარლამენტო კონსტრუქციული უმრავლესობის ფორმირებისათვის. აღნიშნულ პროცესს უშუალოდ პარლამენტის თავმჯდომარემ უნდა უხელმძღვანელოს.

2. დაიწყოს კონსულტაციები საპარლამენტო ოპოზიციასთან ამ უკანასწერებისთვის სათანადო გარანტიების მიცემით (რეგლამენტის მეშვეობით), რაც მშენებლები, მნიშვნელოვნად შეანელებს არსებულ და მოსალოდნელ კონფრონტაციას.

3. უმრავლესობამ უნდა წარმოადგინოს პარლამენტის მუშაობის გრძელვა-ჯიანი პროგრამის პროექტი — სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საფუძვლებით, რაც უფრო გააზრებულს, გეგმაზომიერს და ეფექტიანს გახდის, კოლეგიის, კომისიების და მთლიანად, პარლამენტის საკანონმდებლო-რეფორმა-ტორულ მოღვაწეობას.

თუკი სახელმწიფოს მეთაური უმრავლესობის ფორმირების საქმეში არ გა-დადგამს შემჩვედრ ნაბიჯებს, არ გააქტიურებს თანამშრომლობას, საუბარი რაიმე საპარლამენტო უმრავლესობაზე აზრს კარგავს და ჩვენ თავს შევიგავებთ მასში მონაწილეობისაგან. ამ შემთხვევაში ჩვენ ვიმოქმედებთ ფრაქციის გასაძლიერებლად, როგორც რიცხობრივად, ასევე პოლიტიკურად, და შევეცდებით მაქსიმალურად გავატაროთ ჩვენი დამოუკიდებელი პოლიტიკა.

ჩვენ ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ საპარლამენტო უმრავლესობის შექმნის აუცილებლობა მთავრობის, მინისტრთა კაბინეტის ერთიანი გუნდის ჩამოყალიბებითაცაა განპირობებული. ასეთი პრინციპით ჩამოყალიბებული მთავრობა პასუხისმგებელი იქნება მის მიერ გატარებულ კურსზე. ამოქმედდება ურთიერთპასუხისმგებლობის მექანიზმი: ამომრჩეველი — პარლამენტი — საპარლამენტო უმრავლესობა — მთავრობა. დღეს კი ჩვენ სახეზე გგაქვს ჭრელი პოლიტიკური სპექტრის მქონე და ხელოვნურად დაბალნისებული ძალებისაგან შემდგარი პარლამენტის პირმში — აღმასრულებელი ხელისუფლება, პირობითად მინისტრთა კაბინეტი, რომელიც მოძველებულ სტრუქტურებზეა დაფუძნებული.

თავიდანვე აღნიშნავდით, რომ ჩვენთვის მიუღებელია პოლიტიკურ ძალთა დაბალნისების მიზნით ოპოზიციურად განწყობილი პარტიებისა და ფრაქციებისათვის მინისტრის პორტფელებისა და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობების შეთავსების ხშირი პრაქტიკა, რაც, თავი რომ დავანებოთ საღ აზრს, არაბუნებრივი, არაორმალური და პოლიტიკური სამყაროსათვის უპრეცენდენტოა. ეს პრაქტიკა ათავამებს ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალებს, შლის ზღვარს უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, არ იძლევა ერთიანი პოლიტიკური კურსის შექმნისა და გატარების საშუალებას. ასეთი მიღვომის შედეგად წინ წამოწეულია პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მოკლებული დარგობრივი სპეციალისტები. მკვიდრდება და ვითარდება აზრი, რომ თითქოს მინისტრთა კაბინეტი და სამინისტროები სხვა არაფერია თუ არა სამეურნეო ინსტიტუტები. ჩვენ უნდა აღვუდგეთ წინ წარსულიდან მომდინარე ამ მახინჯ მიღვომას და ზემოთ აღნიშნული სუბიექტები საზოგადოების ცნობიერებაში უნდა დავამკიდროთ როგორც უპირველესად პოლიტიკური ინსტიტუტები და თითოეულ მათგანს პროფესიონალი პოლიტიკოსი ჩაფულებოთ სათავეში. ეს გაზრდის ხელმძღვანელთა პირად პასუხისმგებლობას და ხელს შეუწყობს ჩამოყალიბდეს მთავრობაში პარლამენტის წინაშე ერთიანი პოლიტიკური პასუხისმგებლობის დამკიდებულება. ამგვარი პასუხისმგებლობის გარეშე შეუძლებელია მომავალშიც პარლამენტსა და მთავრობას შორის ჯანსაღი თანამშრომლობის განვითარება.

ბუნებრივია, რომ როდესაც არ არსებობს თანამოაზრეთაგან შემდგარი და პასუხისმგებლობით აღჭურვილი ერთიანი გუნდი, შეუძლებელია ერთიანი სამოქმედო პროგრამის შექმნა და მისი რეალიზება. მართალია, არსებობს ასეთი დანიშნულების დოკუმენტი, მაგრამ იყი ორი მიზეზის გამო ვერ ასრულებს თავის მისიას. ჯერ ერთი, მის მიმართ არსებობს სერიოზული შენიშვნები და მეორეც, იყი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ არ არის გააზრებული

როგორც მოქმედებისათვის აუცილებელი, სავალდებულო დებულება და ჭუნებრივია არ ხორციელდება ცხოვრებაში. დოკუმენტს ეწოდება: „საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა“.

ამ დოკუმენტთან დაკავშირებით თავს უფლებას მივცემთ ჩვენს შენიშვნებთან ერთად შემოგთავაზოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ზოგიერთი დასკვნა („საქართველოს რესპუბლიკა“ 15.05.93 წ.). მისიამ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის პოზიცია, დოკუმენტის მიხედვით, ექსპანსიური, საფინანსო პოლიტიკის მიმართ არ არის ქმედითი და ერთადერთ გამოსავლად მიიჩნია ხელმისაწვდომ დონემდე ხარჯების შემცირება, (ისინი არ დაეთანხმები მოსაზრებას, რომ „მინიმალური მოთხოვნების დონეზე“ ხარჯები არ შეიძლება შემცირდეს). მათ უარყოფითად შეაფასეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, აღნიშნეს, რომ ეროვნული ბანკი არ უნდა ეცადოს ზეგავლენა მოახდინოს რესურსების განაწილებაზე მაკროეკონომიკურ დონეზე. მოითხოვს უფრო რადიკალური სტრუქტურული რეფორმები, ეკონომიკური პროცესების მართვიში სახელმწიფოს როლის მკვეთრი შემცირება, საჭირო ღონისძიებების და მათი შესრულების ვადების დაკონკრეტება, პრივატიზების დაჩქარება.

ეკონომიკური ურთიერთობების მაკროეკონომიკური რეგულირების პარალელურად უნდა იქნას შემუშავებული და რეალიზებული ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს მიკროეკონომიკური პროცესების განვითარებას. ყოველგვარი მაკროეკონომიკური მეთოდი შეიძლება ეფექტიანი აღმოჩნდეს მხოლოდ მაშინ, თუ გამოცოცხლებულია და ეფექტურიანად მუშაობს მიკროეკონომიკა. საბაზრო ურთიერთობა, რომლისკენაც ამჟამად საქართველო მიისწავლის, ყალბდება პირველ რიგში მიკროეკონომიკურ დონეზე, იქ არსებული მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ინტენსიური გამოყენების საფუძველზე. ამიტომ მაკროეკონომიკურ დონეზე რეგულირების მთელი აზრი და დანიშნულება მიკროეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების პირობების შექმნას უნდა ემსახურებოდეს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამის მთავარ ნაკლად ნაკლებკორექტულობა და მისი მიკროეკონომიკური რეგულირების პრობლემებიდან მოწყვეტა უნდა ჩაითვალოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს დოკუმენტი, სრულყოფილიც რომ ყოფილიყო, მინისტრთა კაბინეტის დამოკიდებულება მისდამი, სიტყვასა და საქმეს შორის არსებული შეუსაბამოები, გადაულახავ წინააღმდეგობებად არის აღმართული მისი ცხოვრებაში გატარებისათვის. ხშირია, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება დებულობს მართლაცა ამ პროგრამის შესაბამის დადგენილებებს (მაგ., სახელმწიფო საჭიროებისთვის დაკვეთების, ინდივიდუალური დაგეგმვის და სხვა), მაგრამ მათ არ (ან ვერ) ახორციელებს, არის საპირის ხასიათის შემთხვევებიც. განსაკუთრებით საგრძნობია ეს საბაზო-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებაში. თითქოს არც ერთ საპროგრამო მოთხოვნა ამ მიმართულებით საქართველოში არ ხორციელდება. ეს კი თავიდანვე გამორიცხავს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის შესაძლებლობებს.

! სტრატეგიული თვალსაზრისით საბიუჯეტო-საფინანსო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება უახლოეს პერიოდში ეკონომიკის სტაბილიზაციაა. კრიზისის დაძლევის ღონისძიებათა განხორციელება, ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვანი შემცირება ფინანსური რესურსების გამოყენების მკვეთრი ამაღლება უნდა იყოს. პირველ რიგში მთავრობამ უნდა შეიმუშაოს ბიუჯეტის კონცეფცია და განახორციელოს ღონისძიებათა სისტემა რეალური ბიუჯეტის შედ-

გენის მიმართულებით. უნდა განისაზღვროს უდავოდ საჭირო გარდაუვალი ხარჯები და რეალურად მოსალოდნებლი შემოსავლები (მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილე მოითხოვს კომპრომისს, ბიუჯეტის ხარჯვა მთავრობის მიერ ყოველთვის აღემატება მათთვის გამოყოფილ ლიმიტს, ამის საშუალებას ხშირად მათ ბიუჯეტის ძალზე მსხვილი მუხლები აძლევს. რას ემყარება ამ დროს ფინანსთა სამინისტრო? ალბათ იმას, რომ მისთვის სასურველია, მსხვილი, ბუნდოვანი და დაუკონკრეტებელი მუხლების არსებობით შეასრულოს „კეთილი ძიას“ როლი საბიუჯეტო დავალებების შესრულების დროს. შეუძლებელია ეკონომიკური ფუნდამენტის შენება იმ ბიუჯეტის პირობებში, რომელიც ჩვენ გვქონდა და როგორის წარმოდგენასაც აპირებს მომავალში ფინანსთა სამინისტრო (დეფიციტი 80%-ზე მეტი). შეიგა ერთობლივი პროდუქტი ნაკლებია ვიდრე ბიუჯეტი). დღევანდელ ვითარებაში (2 კვარტალის დასასრულს) კი საქართველოს ეკონომიკის დაფინანსება ბიუჯეტის არარსებობის გამო ფაქტობრივად უკანონოა. ჩვენი (პარლამენტის) ვალია მკაცრი კონტროლი გავუწიოთ საბიუჯეტო პოლიტიკას და განვსაზღვროთ ბიუჯეტის დეფიციტის დასაშვები ზღვარი.

ბიუჯეტის საკითხს კიდევ უფრო ამძაფრებს უცხოელ ექსპერტთა დასკვნები იმის შესახებ, რომ ასეთი დეფიციტის პირობებში დასავლეთი საქართველო-სათვის კრედიტებს არ გასცემს და შესაბამისად ინვესტიციების იმედი ნუ გვექნება.

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის კონფლიქტი მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მთავრობის ასეთ პოლიტიკას, შესაბამისობას სიტყვას და საქმეს შორის. მაგრამ ესეც არ გამოდგება გამართლებულ არგუმენტად. თუ აფხაზეთის კონფლიქტი ისეთი მასშტაბებით ეხება ჩვენს ეკონომიკას, რომ მისი რეფორმაც შეუძლებელია, მაშინ მთავრობამ უნდა დასაბუთოს ეს, გვერდზე გადადოს ზემოთ დასახელებული უპერსექტივო პროგრამა და შეიმუშავოს დღეისათვის უცილებელი ღონისძიებების პაკეტი, რომელიც ომის პირობებში ღირსეულად წარმოჩენასთან ერთად ჩვენს სახელმწიფოს ნიადაგს მოუმზადებს მომავალში რეფორმების წარმატებით ჩატარებისათვის.

ერთიანი სახელმწიფო-სამთავრობო პროგრამის არარსებობამ დაღი დასვა ცალკეულ სამინისტროთა საქმიანობას. მაგალითისათვის მოვიყვანო ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ სტრუქტურას, როგორიცაა საგარეო სამინისტრო. მის საქმიანობაში ნაკლებად ივრმნობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ საკითხებზე მუშაობა: არ არსებობს კონცეპტუალურ-ანალიტიკური განყოფილება. (ან ასეთი ფუნქციის მატარებელი სტრუქტურა), რის გამოც ფუნქციების დიდი ნაწილი დაყანილია ოპერატიულ-ტექნიკურ საქმიანობამდე. იგი თავის დონეზე ნაკლებ ინიციატივას იჩენს, არ მონაწილეობს უმნიშვნელოვანებს საერთაშორისო ფორუმებში. ფუნქციათა ასეთმა არასწორმა გაგებამ, ბუნებრივია, მოგვცა არასწორი საკადრო პოლიტიკა ამ მიმართულებით. გაუგებარია დიპლომატიურ კორპუსებში, სხვადასხვა მოლაპარაკებებსა თუ საერთაშორისო ფორუმებში კადრებისა და წარმომადგენლების დაკომპლექტების პრინციპები, ხშირად ამ პირთა უფლებამოსილებანი.

როგორც ვხედავთ, უმაღლეს ეშელონებში შექმნილი სიტუაცია საგარეო მძიმეა: საკანონმდებლო ვაკუუმი, სამთავრობო პროგრამის უქონლობა, ბიუჯეტის არარსებობა. ასეთ პირობებში ყოველთვის სარგებლობდა და სარგებლობს აპარატი ვველა დონეზე: დაწყებული სამინისტროების აპარატიდან და დამთავრული მინისტრთა კაბინეტის აპარატით. ისინი ნაყოფიერ ნიადაგს შენიან გარკვეული პოლიტიკური ძალებისა და ეკონომიკური კორუმპირებული ძალე-

ბის შერწყმისა და ფინანსურ-პოლიტიკური ოლიგარქიების ჩამოყალიბებისათვის. ამავე დროს, მინისტრთა კაბინეტის აპარატი ძალზე ხშირად ძევდი ანერციით სცილდება თავის უფლებამოსილებას და ღებულობს თავის კომპეტენციის ფარგლებს გაცილებულ დაღგენილებებსა და დებულებებს. ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, აღნიშვნის ღირსია ის, რომ საპარლამენტო კომისიები აშვარად პასიურობენ და მათი კონტროლის მექანიზმები აშვარად არაქმედითუნარიანია. უნდა აღვნიშნოთ, რომ თუკი ჩვენთვის მიუღებელია მინისტრთა კაბინეტი-მინისტრი, ასევე მიუღებელია სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ამორფულობა, ინერტულობა, ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გაურკვევლობა. ჩვენი აზრით, სანამ ქვეყანაში ომია და ახალი მინისტრთა კაბინეტის ფორმირების ვადები გაურკვევლია, სახელმწიფოს მეთაურის აპარატმა უნდა შეასრულოს პოლიტიკური კორდინატორის ფუნქცია აღმასრულებელსა და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის.

ხშირად რაციონალურისაგან ძალზე შორსაა მმართველობითი სტრუქტურა და რიცხობრიობა: ადგილი აქვს მთელი რიგი საქმიანობის პარალელზებს (მეცნიერებათა აკადემია და მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტი, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტი და ვაჭრობის და მატერიალური რესურსების სამინისტრო და სხვა). ეს სტრუქტურები სასწრაფოდ გადასახედი და შესაცვლელია.

პოლიტიკურ და ეკონომიკურ ღრმა კრიზისს ქმნის ხელისუფლების დეფიციტი არ მარტო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოში, არამედ პერიფერიებშიც. შიდაპოლიტიკური ფაქტორებიდან აღბათ არცერთი არ არის ისეთი ფეთქებადსაშიში, როგორც ადგილობრივი მმართველობის სისტემა. მიუხედავად ხელისუფლების მიერ უკანასკნელ პერიოდში გატარებული რიგი ღონისძიებებისა, ადგილობრივი მმართველობის სფეროში (სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურის შექმნა; სახელმწიფოს მმართველობის ახალი სტრუქტურის – მერიის ჩამოყალიბება ქუთაისში, ფოთში, რუსთავში; საკადრო ცვლილებები თბილისის მერიაში და ამ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფუნქციონირება) ვერ უზრუნველყოფს სათანადო შიდაპოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევას. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მეთაურისათვის ამ კუთხით უფლებამოსილების გაზრდამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა და დღის წესრიგში თავად მის მიერ დაისკვა ადგილობრივი არჩევნების რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში ჩატარების საკითხი. რა გვაძლევს ამის თქმის უფლებას? ა) რაიონებში ხელისუფლების ქმედითუნარიანი წარმომადგენლობითი ადგილობრივი ორგანოების არარსებობა, რაც ერთი მხრივ, გამორიცხავს მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობას საზოგადოებრივი მმართველობის პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, იწვევს რაიონში არსებული პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების იზოლაციის დათრგუნვას და მათ აუცილებელ დაპირისპირებას სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან; ბ) ერთგვარი პოლიტიკურ-სამართლებრივი ეკლექტიზმი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შექმნის დროს, რომელიც ვერ ასახავს რაიონში რეალურად არსებულ ძალთა თანაფარდობას, რის გამოც ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების პირობებში ხშირად თვითონ გამოდის მაღასტაბილიზებელის როლში.

ჩვენი აზრით, რეფორმა ამ კუთხით უნდა წარიმართოს ისე, რომ აღვიღებზე შეიქმნას ძლიერი მმართველობითი ორგანოები, მტკიცე ხელისუფლების, სახელმწიფო აღმშენებლობისა და რეფორმების წარმატებით ჩატარების გარანტი. ამავე დროს, ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს გარანტიები (მე-

ქანიზმები) მათი საქმიანობის მაქსიმალური კონტროლისა (ადმინისტრაციები).

რა არის ზემოთ აღნიშნული პრობლემების მიზეზი, რა უშლის ხელში რეფორმისა განიზაციულ-მმართველობითი თვალსაზრისით რეფორმის განხორციელება? უპირველეს ყოვლისა ის, რომ პარლამენტისა და მთავრობას შორის არ არის შეთანხმება (ორგანული კავშირი) სახელმწიფო ბაზის შექმნისა და მისი განხორციელების საქმეში. დიდ როლს თამაშობს თვითონ მთავრობის დამოკიდებულება რეფორმებისადმი და მისი ინერტულობა საკანონმდებლო საქმიანობაში. გარდა იმისა, რომ მინისტრთა კაბინეტის მიერ შემოტანილი კანონპროექტები ძალზედ უსუსურია და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მათი საკანონმდებლო ინიციატივის უფლება მარტო ამ კანონპროექტების შემოტანითა და მათი ბედის ანაბარად დატოვებით არ უნდა ამოიწურებოდეს. დღევანდელი აღმასრულებელი ხელისუფლება რეფორმისტული რომ იყოს, სტაბილიზაციისა და რეფორმების შესახებ მათ მიერ შემოტავაზებული დოკუმენტები მისთვის ნამდვილად ერთიანი სამოქმედო პროგრამა რომ ყოფილიყო, მაშინ ბუნებრივია საჭირო აღარ იქნებოდა რეფორმების შტაბის შექმნა, ხოლო თუკი მის არსებობას რაიმე გამართლება აქვს, მაშინ მისი დღევანდელი სტატუსი აშკარად არასაკმარისია ცხოვრებაში რეალური ღონისძიებების გატარებისათვის. ამიტომ ხსნებული შტაბი უნდა გაუქმდეს. მაგრამ აუცილებელია არსებობდეს სტრუქტურა – ქვეყანაში რეფორმების რეალურად წარმმართველი და მის მიმდინარეობაზე პასუხისმგებელი. სასურველია, რომ ეს იყოს თვითონ მთავრობა პრემიერის ან უშუალოდ სახელმწიფოს მეთაურის (და არა ფიქცია ჯონის გადასატეხად, როგორც ეხლანდელი რეფორმების შესახებ) ხელმძღვანელობით. ზოგადი სქემა ასეთია: საპარლამენტო უმრავლესობა თავისი პოლიტიკური პრინციპებითა და პროგრამით, საკანონმდებლო გრძელვადიანი სამუშაო გეგმით; ამ უმრავლესობის მიერ ჩამოყალიბებული მისი პოლიტიკური პროგრამის მხარდამჭერი რეფორმისტული მთავრობა; ერთიანი გუნდი. ამ სქემაში რა თქმა უნდა დიდი და მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კონსტრუქციულ-საპარლამენტო უმცირესობას. ხოლო თუ უფრო მიზანშეწონილად რეფორმების შტაბის ცალკე არსებობას მიიჩნევს პარლამენტი და მთავრობა, მაშინ მისი რეალური სტატუსი უნდა გაიზარდოს და გადაწყვეტილებები სავალდებულო უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციის ნებისმიერ დონეზე. მისი საქმიანობის კონტროლს განახორციელებს სახელმწიფოს მეთაური.

დაბოლოს, კითვალისწინებთ რა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების სიმწვავეს, მიგვაჩნია, რომ ვერანაირი ერთჯერადი აქტი ჩვენს ქვეყანას ამ ღრმა და გაჭიანურებული კრიზისიდან ვერ გამოიყვანს (თუნდაც მთავრობის გადაღვიმა ან ახალი საპარლამენტო არჩევნები). ამიტომ საჭიროა ყოველდღიური, პერმანენტული, მეთოდური მუშაობა, რათა:

1. გაუმჯობესდეს პარლამენტის მუშაობა, ჩამოყალიბდეს უმრავლესობა და უმცირესობა, განვითარდეს მათი კანონშემოქმედებითი საქმიანობა კონსტრუქციულ

ნიაღავზე;

2. უმრავლესობამ დააკომპლექტოს მთავრობა;

3. შემუშავდეს ერთობლივი პოლიტიკა რეფორმებისა;

4. გარდაიქმნას მინისტრთა კაბინეტის აპარატი, დამუშავდეს მისი და სახელმწიფოს მეთაურის აპარატის დებულებები ორგანიზაციული სრულყოფის მიმართულებით.

0102 ხანშილაძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სამართლებრივი მდგრადარაობის ზოგიერთი ასპექტი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მინისტრთა კაბინეტი ეწოდება, თუმცა მის შემადგენლობაში მინისტრებთან ერთად შედიან სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეები და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის სამართლებრივი მდგრადარაობა განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 22 დეკემბრის კანონით „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“¹.

საქართველოს რესპუბლიკის ამჟამინდელი მინისტრთა კაბინეტის სამართლებრივი მდგრადარაობა განსხვავებულია იმ მინისტრთა კაბინეტის სამართლებრივი მდგრადარაობისაგან, რომელიც დადგენილია დემოკრატიული საქართველოს 1921 წლის 21 ოქტომბრის კონსტიტუციით. ამ კონსტიტუციის 67-ე და 68-ე მუხლებით საქართველოს მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით, „ხოლო მთავრობის დანარჩენ წევრებს – მინისტრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ“².

მაშასადამე, დემოკრატიული საქართველოს მთავრობის შემადგენლობას მთლიანად აკომბლექტებდა მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც უფლებამოსილია „თუ საჭიროა გამოსცვალოს ცალკე მინისტრი ან გარდამნას მთელი კაბინეტი“ (მუხ. 73). დღეს პრემიერ-მინისტრს ამის უფლება არა აქვს. ეს უფლება გააჩნია სახელმწიფოს მეთაურს, ისიც მხოლოდ პარლამენტის დასტურით. კერძოდ, დასახელებული კანონით მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელს – ანუ პრემიერ-მინისტრს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის წარდგენით ნიშნავს საქართველოს პარლამენტი, ხოლო პრემიერ-მინისტრის მოადგილებსა და მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებს პრემიერ-მინისტრის წარდგენით ნიშნავს სახელმწიფოს მეთაური და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მეთაური ფაქტობრივად აკომბლექტებს საქართველოს მთავრობას, იგი მაინც არ ხელმძღვანელობს მას, თუმცა საქართველოს კანონში სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ (მე-17 მუხლის

1 იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 30 დეკემბერი.

2 იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებულა (1918-1921 წწ.), საზოგადოება „ცოლანა“, თბ., 1990, გვ. 468.

შე-5 პუნქტში) ჩაწერილია, რომ სახელმწიფოს მეთაური მეთაურობს საქართველოს მმართველობის ორგანოთა სისტემას³.

| საქართველოს სახელმწიფოს მეთაური რომ არ არის მმართველობის ცენტრალური ორგანოების მეთაური, იქიდანაც ჩანს, რომ იგი არ ხელმძღვანელობს მინისტრთა კაბინეტის სხდომებს, არ აუქმებს და არც აჩერებს მინისტრთა კაბინეტის აქტებს, არ შეუძლია მის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა და სხვა.

ამასთან დაგავშირებით საინტერესო მოსაზრებებს გამოიქვამს პროფ. ვალერი ლორია. მისი აზრით ქვეყანაში შეიძლება არსებობდეს მონოცეფალური მმართველობა, როდესაც სახელმწიფოს მეთაური ხელმძღვანელობს მმართველობის მოელ სისტემას როგორც სამართლებრივი ზემოქმედების სახით, ისე ამ სისტემის შეცვლის თვალსაზრისითაც, ხოლო ბიცეფალურია მმართველობა, როდესაც სახელმწიფოს მეთაური ვერ ჩაერევა მთავრობის მუშაობაში, მასში ვერც ცვლილებებს შეიტანს და ა.შ.⁴.

საქართველოს სინამდვილეში სახელმწიფო მმართველობა არა თუ ბიცეფალურია, არამედ საერთოდ არაპრეზიდენტულია, სახელმწიფოს მეთაური არ სარგებლობს განსაკუთრებული უფლებამოსილებით მმართველობის ქვემდგომი როგორების მიმართ. კიდევ მეტაც, სახელმწიფოს მეთაურს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით შეუძლია მთავრობის ესა თუ ის წევრი დანიშნოს (გარდა პრემიერ-მინისტრისა) და სულაც არ წარუდგინოს პარლამენტს მისი კანდიდატურა დასამტკიცებლად ან პარლამენტისაგან დაუმტკიცებელი მინისტრი დატოვოს თავის თანამდებობაზე, რას გამოც ასეთი მინისტრი მაინც ვევლა უფლებით ისარგებლებს, გარდა პარლამენტში სათათბირო ხმის მიცემის უფლებით მონაწილეობისა და ხელშეუხებლობისა. მაგრამ სახელმწიფოს დღევანდელი მეთაური ამას არ აკეთებს და ყველა შემთხვევაში, როდესაც პარლამენტი არ ამტკიცებს მთავრობის ამა თუ იმ წევრს, სახელმწიფოს მეთაური მას დაუყოვნებლივ ცვლის, რაც სახელმწიფო მმართველობის სტაბილურობას არ უწყობს ხელს.

აღმასრულებელი ხელისუფლების თავისებურება იმაშია, რომ იგი საჭიროებს ერთიან ხელმძღვანელობას, ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას მმართველობის მთელი სისტემის მუშაობისათვის. სხვაგვარად აღმასრულებელი ხელისუფლება იქსაქება და საკანონმდებლო ხელისუფლების დანამატად იქცევა.

მართალია, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კანონში პირველსავე მუხლში ჩაწერილია, რომ მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციას მიკუთხნებულ საკითხებში ჩარევა დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, მაგრამ ჩარევის კანონით გათვალისწინებული შემთხვევა იმდენად სერიოზულია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებლობას ჩრდილი ეფინება. მხედველობაში გვაქვს საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 18 დეკემბრის კანონი „საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ“, რომლის მე-13 მუხლში ჩაწერილია, რომ თანამდებობის პირს, „რომელიც არ შეასრულებს კომისიის მოთხოვნას, კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამ პირის ხელმძღვანელისა თუ ზემდგომი ორგანოს მიერ შეიძლება დაედოს დისციპლინური საჯელი თანამდებობიდან დათხოვნამდეც კი“⁵.

³ იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 10 ნოემბერი.

⁴ იხ. ვ. ა. ლორია, საქართველოს რესპუბლიკის აღმინისტრაციული სამართალი, სახელმძღვანელო, თსუ, 1993, გვ. 120-121 (ხელნაწერი).

⁵ იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 12 იანვარი.

აქ აშკარად ჩანს მუდმივი კომისიების ჩარევა თანამდებობის პირების მუშაობაში, ვინაიდან მათი მოთხოვნა პირის დასჯის შესახებ გარღვეულის უდა შესრულდეს, თორემ თუ პირი დასასჯელია, ამას ზემდგომი თანამდებობის პირი შეასრულებდა კომისიის მოთხოვნის გარეშეც. აქ სწორედ ისეთი შემთხვევებია, როდესაც ზემდგომი თანამდებობის პირი არ თვლის საჭიროდ ქვემდგომი თანამდებობის პირის დასჯას, მაგრამ მუდმივი კომისია მაინც მოთხოვს ამას და მიაღწევს კიდეც, ვინაიდან დაუსჯელი ჯიუტი ზემდგომი თანამდებობის პირიც ვერ დარჩება. ეს წესი კი ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს ქვეყანაში, რომლის შესახებაც ჩაწერილია საქართველოს 1992 წლის 6 ნოემბრის კანონში „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ (მუხ. შე-3).

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონიერების, საჯაროობის, კოლეგიურობის პრინციპებით. ეს პრინციპები მეტად მნიშვნელოვანი პრინციპებია, რომლებიც უზრუნველყოფენ მმართველობის უძალესი ორგანოს მუშაობის დემოკრატიულ ხასიათს.

აღნიშნული პრინციპებიდან ჩვენ შეეჩერდებით კოლეგიურობის პრინციპზე, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს მინისტრთა კაბინეტის შესახებ დასახელებულ კანონს.

კოლეგიურობის პრინციპი საქართველოს მთავრობის მუშაობაში სხვა ფორმებთან ერთად ვლინდება მმართველობის აქტების მიღებაში.

როგორც „საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლშია აღნიშნული, საქართველოს მთავრობა რესპუბლიკის კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების, სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს დადგენილებებს, ხოლო პრემიერ-მინისტრი განკარგულებებს. ამავე კანონის 30-ე მუხლის თანახმად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომელთაც ნორმატიული ხასიათი აქვს, გამოიცემა დადგენილების სახით, ხოლო გადაწყვეტილებანი ოპერატიულ ან სხვა მიმღინარე საკითხებზე გამოიცემა პრემიერ-მინისტრის განკარგულების სახით. კანონის 26-ე მუხლი მიუთითებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება მინისტრთა კაბინეტის წევრთა ხმების უმრავლესობით, ხმების გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია პრემიერ-მინისტრის ხმა.

კოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტი გამოსცემს გადაწყვეტილებებს დადგენილებებისა და განკარგულებების სახით კოლეგიალურად, ვინაიდან კანონში არ საღ. არის მითითება იმის შესახებ, რომ განკარგულება მიიღება ერთპიროვნულად. მაშასა-დამე, საქართველოს მინისტრთა კაბინეტი კოლეგიალურად მუშაობს და განკარგულებაც და დადგენილებაც კოლეგიულურად მიიღება, რომელთაც ზელს აწერს მხოლოდ პრემიერ-მინისტრი (ორთავე აქტს).

მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების მიღების წესში საქართველოს კანონმდებლობით განსხვავება არ არის, განსხვავებულია შხოლოდ მათი შინაარსი: დადგენილება ნორმატიული აქტია, ხოლო განკარგულება ინდივიდუალურია ოპერატიულ ან სხვა მიმღინარე საკითხებზე.

მთავრობის აქტების მიღების ასეთი კოლეგიალური წესი კიდევ უფრო მეტ კოლეგიალურობას ანიჭებს მინისტრთა კაბინეტის მუშაობას საქართველოში. ეს არის კოლეგიალურობის გამოვლინების უძალესი ფორმა სახელმწიფო მმართველობაში, როდესაც საკითხების ერთობლივად განხილვას, კოლეგიურად საკითხების გადაწყვეტას დიდი როლი ენიჭება.

მრავალი ქვეყნის განონმდებლობითაც გათვალისწინებულია საკითხების კოლეგიალური განხილვა მთავრობის წევრთა სხდომაზე, მაგრამ არსად პრატის გათვალისწინებული ერთპიროვნული მმართველობის აქტის მიღება კოლეგიალური წესით. ზოგიერთ ქვეყანაში პრეზიდენტს შეუძლია ერთპიროვნულად გამოსცეს დეპრეტი თუ ორდონანისი მთავრობის სახელით რაც მთავრობის სხდომაზე წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ ხდება.

ეს გამოწვეულია იმით, რომ საზღვარგარეთის დემორატიულ ქვეყნებში შემოღებულია ინდივიდუალური პასუხისმგებლობა როგორც პრემიერ-მინისტრისა, ისე ცალკეული მინისტრებისა, რომლებიც პასუხს არ აგებენ პრემიერ-მინისტრისა და მთელი მთავრობის მუშაობისათვის. ამიტომ აქ მინისტრთა კაბინეტის სხდომას რეკომენდაციული ხასიათი აქვს. იგი რჩევას აძლევს პრემიერ-მინისტრს, თუმცა ზოგიერთი დადგენილება კენჭისყრით მიღება.

საქართველოში ერთგარად შეცვლილია ეს წესი. სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ საქართველოს 1992 წლის 6 ნოემბრის კანონის 23-ე მუხლის თანახმად საქართველოს მინისტრთა კაბინეტი პასუხისმგებელია პარლამენტისა და სახელმწიფოს მეთაურის წინაშე და თავისი საქმიანობის შესახებ წელიწადში ორჯერ მაინც ან პარლამენტის მოთხოვნით ანგარიშს აბარებს პარლამენტს.

მართალია, ეს დებულება არ არის განმეორებული კანონში საქართველოს რეპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ, მაგრამ ამ უკანასკნელის მე-2 მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტი საქმიანობას წარმართავს „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მაშასადამე, კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი ამ კანონშიც იგულისხმება.

ვფიქრობთ, სწორედ კოლექტიური პასუხისმგებლობის გამოა გათვალისწინებული მინისტრთა კაბინეტის აქტების კოლეგიალური მიღების წესი. პრემიერ-მინისტრის ხელმოწერა ამ აქტებზე მხოლოდ გამოხატავს კოლექტიური აზრის დასტურს და მინისტრთა კაბინეტის სხდომის გარეშე პრემიერ-მინისტრს უფლება არა აქვს გამოსცეს ერთპიროვნული აქტი.

აქედან გამომდინარე ჩვენ უზუსტობად მიგვაჩნია „საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შესახებ“¹ კანონის 28-ე მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ პრემიერ-მინისტრი „წახალისებს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წევრებს, მინისტრთა კაბინეტის სხვა საქეუწყებო ორგანოთა თანამდებობის პირებს, დაადებს მათ დისციპლინურ სასჯელებს“ (ხაზგასმა ჩვენია).

კერძო, კოლეგიალური მუშაობისა და კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპითან გამომდინარე, პრემიერ-მინისტრს არ უნდა ჰქონდეს უფლება დასაჯოს მთავრობის წევრები.

მეორეც, მთავრობის წევრებს არც ნიშნავს და არც ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი, ხოლო საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი, რომელიც საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში შედის, პრემიერ-მინისტრის „ტოლფასოვანი“, იურიდიულად მისი თანასწორი თანამდებობის პირია, ვინაიდან ამ სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პარლამენტი, ისევე როგორც პრემიერ-მინისტრს. ამიტომ სრულიად არალოგიკურია საქართველოს ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრს მიენჭოს უფლება დასაჯოს მთავრობის წევრები.

დაბოლოს, საერთოდ უხერხულია მთავრობის წევრების დასჯაზე მითითება კანონში, ვინაიდან მთავრობის წევრები მაღალი რანგის პირებია და მათი გათანაბრება რომელიმე სამმართველოს უფროსთან ან განყოფილების გამგე-

თან არ შეიძლება. მით უმეტეს, რომ მათ კანონით გარანტირებული აქვთ შეუხებლობის უფლება (იხ. „მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ კანონის მუხ.).

თუ მინისტრი ან მთავრობის სხვა წევრი არ იმსახურებს მხარდაჭერას, მას შეიძლება უნდობლობა გამოუცხადოს და შეიცვალოს, ხოლო თუ იგი სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადის, რაც დისციპლინური პასუხისმგებლობის საზღვრებს სცილდება, მაშინ ამ საქმეში უნდა ჩაერიოს სასამართლო და საგამოძიებო ორგანოები.

„საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ კანონში კიდევ ერთი აქტის შესახებ არის მითითებული. ესაა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებები, ალბათ, საოქმო დადგენილებების სახით.

კანონის 27-ე მუხლის თანახმად სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მუდმივი ორგანოს სახით მოქმედებს მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შედიან პრემიერ-მინისტრი და მისი მოადგილები, ხოლო მინისტრთა კაბინეტს შეუძლია პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეიცვანოს მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრები.

საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის წესი ნასესხებია ძველი კანონ-მდებლობიდან, მაგრამ ეს წესი მეტად სერიოზული აღმოჩნდა ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილისათვის. აღნიშნული კანონის თანახმად საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმი ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს დეპარტამენტებისა და მათთან გათანაბრებულ სახელმწიფო კორპორაციათა, მინისტრთა კაბინეტის სხვა საქვეუწყებო ორგანოთა ხელმძღვანელებს და მათ მოადგილებს, ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრთა კაბინეტის აპარატის საქმეთა მმართველს და ამ აპარატის ძირითად ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებს, მოითხოვს ანგარიშებს ყველა მინისტრის, კომიტეტის თავ-ჯდომარისა და საქვეუწყებო ორგანოს ხელმძღვანელისაგან და სხვ.

როგორც ვხედავთ, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის /პრეზიდიუმს საკმაოდ დიდი უფლებები აქვს. იგი, მართალია, ვერ ცვლის მინისტრთა კაბინეტს, მაგრამ ასრულებს მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმიანობას.

ამასთან დაკავშირებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ლიტერატურაში გამოთქმულია არა ერთი მოსაზრება მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის საბჭოთლებრივი მდგომარეობის შესახებ. ზოგი ავტორი მთავრობის პრეზიდიუმს მიიჩნევდა მცირე მინისტრთა საბჭოდ, სხვები კი წინააღმდეგი იყვნენ ამ მოსაზრებისა. მოსკოველი მეცნიერი ი. შ. მუკსინოვი პირდაპირ მიუთითებდა, რომ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს არ უნდა ჰქონდეს უფლება გამოსცეს აქტები მინისტრთა საბჭოს სახელით და საგალდებულოდ იქცეს ისინი ქვემდგომი ორგანოებისათვის⁶.

საბჭოთა ხელისუფლების პრეზიდში მთავრობასთან იქმნებოდა პრეზიდიუმი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხებისა და სახელმწიფო მართვის სხვა საკითხების გადასაწყვეტად (იხ. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მუხ. 126). პრაქტიკში ეს დებულება ~~სრულიად~~ გაუგებარი იყო და იწვევდა მთავრობის შეცვლას მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმით. ამ უკანასკნელის დადგენილებები ეგზავნებოდათ ქვემდგომ უწყებებს და ორგანიზაციებს, რომლებსაც პასუხს თხოვდნენ მათი შეუსრულებლობისათვის.

⁶ И. Ш. Муксинов, Совет Министров Союзной Республики, издательство «Юридическая литература», 1969 г.

შემდეგში ძინისტრთა საბჭოში ეს რგოლი გაუქმდა და მთავრობა უშუალოდ წყვეტდა ყველა საკითხს, რაც მისი ქვემდებარე იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის მართლაც აუცილებელია მთავრობაში ჩამოყალიბდეს რაღაც რგოლი, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობის ნორმალურ მუშაობას. კერძოდ, მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმს უნდა ევალებოდეს მინისტრთა კაბინეტის სხდომისათვის მასალების მომზადება, დადგენილებების პრეზიდიუმის შედგენა და სხვა.

რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის საკონტროლო ფუნქციებს და მით უმეტეს მმართველობის ორგანოების შექმნას და მათში თანამდებობის პირთა დანიშვნას, ეს საკითხი მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს, ხოლო პრეზიდიუმი უნდა ამზადებდეს საკითხს მთავრობაში განსახილველად.

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის თანახმად საქართველოს მთავრობის სხდომები მოიწვევა საჭიროების მიხედვით, მაგრამ სამ თვეში ერთხელ მაინც. აქედან გამომდინარე, მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმს დიდი ღოდინი არ დასჭირდება მომზადებული მასალების გასატანად მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე.

ასეთი მოთხოვნა უკავშირდება კოლეგიალობის სპრინციპსაც საქართველოს მთავრობის მუშაობაში. რაგო საქართველოს მინისტრთა კაბინეტი კოლეგიალურად წყვეტს თავისი კომპეტენციის ყველა საკითხს და თვით პრემიერ-მინისტრის აქტიც კი კოლეგიალურად მიიღება მთავრობის სხდომაზე, არამიზანშეწონილია მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმმა გამოსცეს აქტები, რომელთაც ნორმატიული ხასიათი ან სხვა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ პრემიერ-მინისტრის მოადგილების უფლებრივ სტატუსზე. აღნიშნული კანონმდებლობით ამ პირებს რაიმე აქტების გამოცემის უფლება თითქოს არა აქვთ, ვინაიდან არსად კანონში არაა ნათქვამი თუ რა აქტის გამოცემა შეუძლია პრემიერ-მინისტრის მოადგილეს.

პრეზიდენტული მმართველობის დროს საქართველოში პრემიერ-მინისტრის მოადგილე გამოსცემდა მითითებებს, რომელთაც სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდათ.

დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილეები, მოვალეობათა განაწილების შესაბამისად, კოორდინაციას უწევენ და აკონტროლებენ სამინისტროთა, კომიტეტების, მინისტრთა კაბინეტის სხვა საქვეუწყებო ორგანოთა მუშაობას, აძლევენ ოპერატიულ მითითებებს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა და პრემიერ-მინისტრის განკარგულებათა შესრულების უზრუნველყოფად და მათი საქმიანობის სხვა საკითხებზე. ისინი წინასწარ განიხილავენ საქართველოს მინისტრთა კაბინეტში შესატან წინადადებებს, დადგენლებათა და განკარგულებათა პროექტებს (კანონის მუხ. 29-ე).

როგორც ვხედავთ, პრემიერ-მინისტრის მოადგილეებს საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმიანობა ეკისრებათ. ბუნებრივია, მათ უნდა შეეძლოთ მმართველობის რომელიმე აქტის გამოცემა, თუკი მინისტრი გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, პრემიერ-მინისტრის მოადგილე რაღაც განსხვავებულ აქტს უნდა გამოსცემდეს. ასეთ აქტებს შეიძლება კვლავ მითითებები ეწოდოს.

მმართველობის ყველა აქტის სახელწილება პირობითია, მთავრია მათი შინაარსი და იურიდიული ბუნება. ამიტომ პრემიერ-მინისტრის მოადგილის აქტს მითითება დაერქმევა თუ სხვა სახელი, არსებით მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია გამოიკვეთოს მისი სამართლებრივი ბუნება სხვა აქტებისაგან განსხვავებით.



მოქალაქეობის ცნება და სართულის მიმღები

მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა ყოველი სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა, რადგანაც ეს საკითხი შინასახელმწიფობრივ კომპატენციაში ერთ-ერთი ძირითადთაგანია. რასაკვირველია მოსახლეობის ყველა კატეგორიის უფლება-მოვალეობათა შინაარსი და მოცულობა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური წყობის ხასიათთან, სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონესთან.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის მოწესრიგების პრობლემა შინასახელმწიფობრივი სამართლის კომპეტენციაში შედის, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის პრაქტიკამ შეიძუშავა მოელი რიგი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიებს ეხებიან. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედ სახელმწიფოთა ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობანი ისე მჭიდროდაა დაკავშირებული მოსახლეობასთან, რომ დღეს შეუძლებელია ზოგიერთი საკითხის ცალმხრივად გადაწყვეტა.

მოქალაქეობა სახელმწიფობრივი მოვლენაა. იგი გულისხმობს სახელმწიფოსთან ფიზიკური პირის სამართლებრივ კავშირს, რომელიც:

- ა) წესდება მოცემული სახელმწიფოს მიერ;
- ბ) ხასიათდება მხარეთა ურთიერთობის სიმტკიცით;
- გ) შეიცავს სახელმწიფოსა და პირის უფლებებსა და მოვალეობებს.

ამ ურთიერთობის სიმტკიცე გამოიჩატება იმაში, რომ მოქალაქე ინარჩუნებს კავშირს თავის სახელმწიფოს მიერ — კონსტიტუციით, სპეციალური კანონებით და სხვა.

მოქალაქეობის შეძენის რამდენიმე წესი არსებობს:

I. საერთო წესი:

1. დაბადება;
2. ნატურალიზაცია;
- III. გამონაკლისი შემთხვევები:
1. ტერიტორიული ცელილებები;
2. რეპატრიაცია;
3. ოპტაცია.

მოქალაქეობის შეძენის ჩვეულებრივ წესად „დაბადების პრინციპი“ არსებობს. სახელმწიფოთა უმრავლესობა „სისხლის უფლებას“ იყენებს, ე. ი. ახალშობილს, რომელ სახელმწიფოს ტერიტორიაზეც უნდა იყოს შიბილი, მოქალაქეობა ენიჭება მისი მშობლების მოქალაქეობის გათვალისწინებით (ამ პრინციპს ეყრდნობა ავსტრიის, ნორვეგიის, ფინეთის, გერმანიის კანონმდებლობა). გამოიყენება „ნიადაგის პრინციპი“ — ახალშობილს მოქალაქეობა მიენიჭება დაბადე-

ბის ადგილის მიხედვით, მიუხედავად შშობლების მოქალაქეობისა. მაგალითად ბრაზილიის ტერიტორიაზე შობილი ბავშვი იძენს ბრაზილიის მოქალაქეობას, მიუხედავად მისი შშობლების მოქალაქეობისა. ამავე დროს, საზღვარგარეთ მყოფი ბრაზილიელების მიერ შობილი ბავშვი ბრაზილიისათვის უცხოელია.

რიგი ქვეყნებისა (აშშ, ინგლისი, ინდოეთი) ორივე პრინციპს ხმარობს.

მოქალაქეობის შეძენის მეორე საშუალებას ნატურალიზაცია წარმოადგენს, ე. ი. ფიზიკური პირისათვის მოქალაქეობის მინიჭება მოცემულ სახელმწიფოს კომეტეტნტური ორგანოების მიერ ამ პირის პირადი თხოვნისა ან თანხმობის საუმჯობელოზე.

ამგვარად, ნატურალიზაცია მჭიდროდაა დაკავშირებული ფიზიკური პირის ნების გამომუდაგნებასთან და მოქალაქეობის შეცვლის ძირითადი საშუალებაა.

ნატურალიზაციისათვის საჭირო ცნებები განისაზღვრება თვით სახელმწიფოს მიერ. ძირითადი მოთხოვნები შემდეგია:

1. მოცემულ სახელმწიფოში ცხოვრების გარკვეული ვადა;
2. სახელმწიფოს ორგანოებში ან მის შეიარაღებულ ძალებში სამსახური;
3. ენის ცოდნა;
4. ადგილობრივ მოქალაქესთან დაქორწინება;
5. სახელმწიფოსათვის სამსახურის გაწევა.

ნატურალიზაციისათვის სახელმწიფოები ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნას აყენებენ. მაგალითად, აშშ-ში შემოღებულია შემდეგი წესები:

1. წინასწარი განცხადება, რისოვისაც განმცხადებელს უნდა შეუსრულდეს 18 წელი;
2. ორწლიანი საგამოცდო ვადა;
3. საბოლოო განცხადება, რისოვისაც განმცხადებელი უნდა ა) ცხოვრობდეს აშშ-ში არანაკლებ ხუთი წელი; ბ) იცოდეს ინგლისური ენა; გ) მიეკუთვნებოდეს ევროპულ, აფრიკულ ან დასავლეთ ნახევარსფეროს ერთ-ერთ რასას;
4. განმცხადებელმა უნდა აღნიშნოს, რომ იგი აპირებს აშშ-ში საბოლოოდ დაბინავებას.

საფრანგეთის კანონმდებლობა ბინადრობის ხუთწლიანი ცენზის გარდა მოითხოვს „კარგ ყოფაქცევასა და საარსებო სახსრების არსებობას“.

ინგლისში ნატურალიზაციისათვის საჭიროა „კარგი ხელის“ მქონეს რეპუტაცია.

ნატურალიზაციის საბოლოო გაფორმება ეკისრება სახელმწიფო ხელისუფლების (ინგლისი) ან სასამართლო (აშშ) ორგანოებს.

ნატურალიზაციისაგან განასხვავებენ ოპტაციასა და ტრანსფერტს, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ტერიტორიულ ცვლილებებთან. ოპტაციის დროს ერთი სახელმწიფოს მფლობელობიდან მეორე სახელმწიფოს მფლობელობაში გარდამავალ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირს ენიჭება უფლება თვითონ აირჩიოს ორი მოქალაქეობიდან ერთ-ერთი იმ პირობით, რომ ახალი მოქალაქეობის არჩევის შემთხვევაში იგი უნდა დასახლდეს იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეობაც მან აირჩია.

ტრანსფერტი ნიშნავს მოქალაქეობის ავტომატურ შეცვლას პირის ნება-სურვილის გაუთვალისწინებლად. ამ შემთხვევაში პირის ბედი განუყოფელია გადასაცემი ტერიტორიისაგან.

ოპტაციის ან ტრანსფერტის გაფორმება, ნატურალიზაციისაგან განსხვავებით, ხდება უფრო იოლად, ხელშეკრულების ან სპეციალური კანონის საფუძვლზე.

შედარებით იშვიათად გვხვდება ე. წ. რეინტეგრაცია და მოქალაქეობის ბო-

ძება. რეინტეგრაციის დროს საზღვარგარეთ მცხოვრები პირები ბრუნვებიან თავის ქვეყანაში, რომლის მოქალაქები ისინი ოდესლაც იყვნენ. როგორც წესი, ამ შემთხვევაში მოქალაქეობის შეძენის გააღვილებული წესი მოქმედებს.

უცხოელთათვის მოქალაქეობის ბოძების შემთხვევები იშვიათი მოვლენაა. ამ წესებმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დამდეგს მოიკიდა ფეხი. გვხვდება იგა დღესაც გამოჩენილი აღამიანისათვის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების სახით.

მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევები თრ ძირითად ჯგუფად შეიძლება დავყოთ. პირველს მიეკუთვნება ყველა ის შემთხვევა, რომელიც ნატურალიზაციასთან, ოპტაციასა და ქორწინებასთან არის დაკავშირებული. მეორე ჯგუფს კი მიეკუთვნება შემთხვევები, როდესაც მოქალაქეობა ჩამორთმევა კომპეტენტური ორგანოების მიერ. ასეთ ორგანოებად სასამართლო ან სათანადო ხელისუფლების ორგანო გვევლინება. ეს აქტი დასჯის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს.

სხვადასხვა სახელმწიფოში მოქალაქეობის შეძენისა და დაკარგვის განსხვავებული წესების არსებობის შედეგად გვხვდება პირები, რომელთაც ერთის ნაცვლად ორი მოქალაქეობა (ბიტაპრიზმი) გააჩნიათ.

ჩვენ უკვე ვიცით, რა მიზეზები განაპირობებენ ასეთ მოვლენას, მაგალითად ბავშვი დაიბადა ქვეყანაში, სადაც მოქმედებს „ნიადაგის პრინციპი“ (მაგ. ჩილე), ხოლო მისი მშობლების ქვეყანაში ბატონობს „სისხლის პრინციპი“ (მაგ. საფრანგეთი). ამჯერად შევეხებით ამ მოვლენის იურიდიულ შედეგებს, რადგანაც ბიპატრიზმის დროს ორივე სახელმწიფო კონკრეტულ პირს თავის მოქალაქედ თვლის, ყოველი მათვანი უფლებამოსილია მისთხოვოს პირს გარკვეული მოვალეობის შესრულება (მაგალითად, სამხედრო სამსახური).

არ არსებობს ბიპატრიზმის მომწესრიგებელი რაიმე ერთიანი სამართლებრივი ნორმა, მაგრამ სახელმწიფოთა პრაქტიკამ მაინც შექმნა გარკვეული წესი-ყოველი ბიპატრიდი, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებელია იმ სახელმწიფოს წინაშე, სადაც ის იმყოფება, ცხოვრობს. მესამე სახელმწიფოში ყოვნის დროს მოქალაქეობის საკითხი დამოკიდებულია ამ მესამე სახელმწიფოს არჩევაზე. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მე-3 მუხლის თანახმად ბიპატრიდი ითვლება იმ სახელმწიფოს მოქალაქედ, „სადაც ის სარგებლობდა თავისი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით“. იგივე პრინციპი შეტანილია დებულებაში საერთაშორისო სამართლის კომისიის შესახებ. ეს ე.წ. „ეფექტური მოქალაქეობის“ კრიტერიუმი შეიძლება საერთაშორისო სამართლის საყოველთაო ნორმად ჩაითვალოს.

მაგრამ სახელმწიფოები მაინც ცდილობენ უფრო კონკრეტულად გადაწყვიტონ ბიპატრიზმის პრობლემა, რისთვისაც სულ უფრო ხშირად მიმართავენ ორმხრივ შეთანხმებებს.

მოქალაქეობის უქონლობა (აპატრიზმი) წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც პირი კარგავს ძველ მოქალაქეობას, ხოლო ახალს არ იძენს. მაგალითად, აშშ-ში მყოფმა უცხოელმა უარი განაცხადა თავისი ქვეყნის მოქალაქეობაზე, მაგრამ ადგილობრივი სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღებისათვის ჯერ კიდევ ხუთი წელია საჭირო. ბუნებრივია, ამ პერიოდის განმავლობაში იგი მოქალაქეობის არმქონე პირად ჩაითვლება. ეს ვადა შეიძლება უფრო გადიდებეს, თუ აშშ-ის ხელისუფლება საერთოდ უარს იტყვის ნატურალიზაციის უფლების მინიჭებაზე.

აპატრიდები შეზღუდული არიან თავიანთ უფლებებში და უფლება არა აქვთ მიმართონ რომელიმე სახელმწიფოს დიპლომატიური დაცვისათვის.

სასამართლო რეფორმი და კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავება ცოტაოდენი ხნის წინ ჯერ კიდევ განუსაზღვრელი დროის პერსპექტივიდ აღიქმებოდა. დღეს უკვე აშკარა განდა, რომ პირისპირ კიმყოფებით მათი რეალური განხორციელების ზღურბლობა.

თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით და რა სტადიაზე იმყოფება შესაბამისი გზების მიერა, ეს კარგად უწყის დანოტერებულება მკითხველმა. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხნის გასტანს ან რით დაგვირგვინდება ეს უაღრესად როტული და საპასუხისმგებლო პროცესი. მაგრამ ერთი რომ ცხადია: იგი უნდა წარიმართოს როგორც საკუთრივ ქართული, ისე უცხოური და, უფრო უართოდ — ზოგადსაკაცობრივ გამოცდილების შაქსიმალური გათვალისწინებოთ. სხვანაირად თვით კველაზე უფრო რაღიკლური და, თუ გნებავთ, პროგრესული რეფორმაც კი, შესაძლოა, იმთავითვე შეკრდადშიბილი ან არასიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდეს.

ამ თვალთანედვით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბებული ტენდენციები, რომელებმაც ყველაზე მეტად საერთაშორისო კონფერენციათა რეზოლუციებსა თუ რეკომენდაციებში პარკების გამოხატულება.

ჩვენი უზრუნველის დღევანდებულ ნომერში მკითხველს ვთავაზობთ 1991 წლის ნოემბერ-დეკემბერში იტალიის ქალაქ სირაკუზაში გამართულ ერთ-ერთი ასეთი კონფერენციის რეკომენდაციებს, რომელთა მხედველობაში მიღება უთუთ საინტერესო და სასარგებლო იქნება კონსტიტუციური და სასამართლო რეფორმის მესამეურთათვის.

სასამართლო რეფორმი

და კონსტიტუციის ახალი რედაქცია

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა

საერთაშორისო კონფერენცია — „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპა-სა და საბჭოთა კავშირში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებისას აღამიანის უფლებათა დაცვის შესახებ“ — საზეიმოდ აცხადებს თავის ერთგულებას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპისადმი (იხ. გაეროს VII კონფერენცია; ვენა, 26 აგვისტო) 6 სექტემბერი, 1985 წ. და გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 40/146, 13 დეკემბერი, 1985 წ.) და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ქმედითი განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი პრინციპებისადმი (მიღებული ECOSOC-ის მიერ, 1989 წლის 24 მაისის რეზოლუციით 1989 (60) და გაეროს მიერ). კონფერენცია აცხადებს, რომ კველა ეს უნივერსალური პრინციპი, რომელიც ეხება მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას, სამართლებრივი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია და აღამიანთა უფლებების უზრუნველყოფას ემსახურება.

მას შემდეგ, რაც ამ თემაზე განიხილეს ძირითადი და ნაციონალური მოხსენებები, კონფერენცია იმას დაემყარა, რომ საჭიროა გადაისინჯოს საკანონმდებლო და კონსტიტუციური წყობა როგორც ცენტრალურ და აღმოსავლეთ

ევროპის ქვეყნებში, ისე საბჭოთა კავშირში, რათა შეიქმნას ხელისუფლების დემოკრატიული სტრუქტურები ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად. მართლმსაჯულების რეფორმები, რომლებიც უკვე დაწყო გარკვეულ ქვეყნებში, ანდა, მომზადების სტადიაშია სხვა ქვეყანაში, ამ ფუნდამენტური ცვლილებების შემადგენელი ნაწილია. კანონმდებლობა, რომელიც უკვე მიღებულია, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას იმ ზომით, რაც შეესაბამება და ზოგან აღემატება კიდეც საერთაშორისო ნორმების მოთხოვნებს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ჯერ კიდევ ვერ აღწევს ამ დონეს და საჭაროებს შემდგომ განვითარებას. სხვა კანონმდებლობანი უნდა შეესაბამებოდნენ გაეროს დეკლარაციების უნივერსალურ პრინციპებს.

საამისოდ კონფერენციას მიაჩნია, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი რეკომენდაციები:

1. მართლესაჯულების განხორციელების გარანტიების შესახებ

ა) მოსამართლენი უნდა დაინიშნონ ან არჩეული იქნენ განუსაზღვრელი ვადით ან საპენსიო ასაკამდე და მათი გადაყენება უნდა შეიძლებოდეს. მხოლოდ სამსახურებრივი უუნარობისა ან შეუცერებელი საქციელის გამო. ყველა შემთხვევაში ეს უნდა მოხდეს იურიდიული, დისციპილინური ან კვაზი-იურიდიული პროცედურით, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ დაცვას ყველა მოქალაქისათვის მინიჭებული თანაბარი უფლებით;

ბ) მოსამართლეთა დაწევებითი და შემდგომი კვალიფიკაციის ამაღლება (წვრთნა) უნდა უმჯობესდებოდეს სისტემატურად, რეგულარულად და საფუძვლიანად, ისე, რომ შეძლონ მათ წინაშე წამოჭრილი ახალი ამოცანების შესრულება.

გ) მათი პროფესიის მომწესრიგებული ეთიკური წესების შესაბამისად, მოსამართლეები პასუხს აგებენ თავიანთი პროფესიული შეცდომებისა ან ისეთი ქცევისათვის, რომლებიც შეუთავსებელია მოსამართლის დანიშნულებასთან. პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს მხოლოდ იმ პროცედურის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს პატივისცემას კანონის ზოგადი პრინციპებისადმი (განსაკუთრებით — პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპისადმი). ამრიგად, არ შეიძლება ბრალდება ან დისციპილინურ პასუხისებაში მიცემა მოსამართლეებისა, რომლებიც მსახურობდნენ კომუნისტური რეჟიმის დროს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჩადენილია სისხლისამართლებრივი ან დისციპილინური დარღვევები, რომლებიც განსაზღვრულია კანონით, სამართლის პრინციპების შესაბამისად.

საკითხი იმის თაობაზე, თუ რომელ მოსამართლეს შეუძლია თავისი ფუნქციების შესრულების გაგრძელება, გადაწყდება მხოლოდ ამ პრინციპებისა და ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავს პროფესიულ უნარ-ჩვევებს და მორალურ სტანდარტებს, რასაც მართლმსაჯულება მოითხოვს.

ამ კონტექსტში კონფერენცია აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს განსაკუთრებული მოთხოვნები მართლმსაჯულების სფეროში საქმიანობისათვის და ეს მოთხოვნები უფრო მკაცრია, ვიდრე ჩვეულებრივ, საზოგადოებრივ სფეროში;

დ) მართლმსაჯულების ფუნქციასთან დაკავშირებით მოსამართლეთა საქმიანობაში პოლიტიკური ან აღმინისტრაციული ორგანოების ყველანაირი —

პირდაპირი ან არაპირდაპირი ჩარევა (საქმეების განაწილების, კონკრეტული საქმისაგან მოსამართლის ჩამოშორების, აღმინისტრაციული წესით აცილებული მოსამართლის მუშაობისათვის საჭირო აღმინისტრაციული დახმარების შეწყვეტის ან შესუსტების ჩათვლით) აკრძალულია, რადგან ასეთი ქმედება ზღუდავს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას. თუ მართლმსაჯულების სწორი განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება იუსტიციის სამინისტროს, მართლმსაჯულების უფლება უნდა მიეცეს, ამ მიმართებით მიიღოს ქმედითი მონაწილეობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას პატივისცემა მოსამართლეთა და-მოუკიდებლობის პრინციპისადმი. ეს რეკომენდაცია არ უნდა იყოს გაგებული, როგორც იუსტიციის სამინისტროს და სასამართლოს თავმჯდომარის აღმინისტრაციულ უფლებათა შეზღუდვა, როდესაც ისინი მართლმსაჯულების სწორი ორგანიზაციის მისაღწევად გამოიყენება;

ე) რეკომენდებულია, რომ მოსამართლეთათვის კანონით გარანტირებულ გასამრჯელოში აისახოს მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელობა სამართლებრივ სახელმწიფოში, რაც წვლილს შეიტანს მაღალი კვალიფიკაციის მოსამართლეთა მოზიდვაში, ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ დამკვიდრებასა და ინტეგრაციას მართლმსაჯულების სფეროში;

ვ) თუ სახელმწიფო საჭირო სახსრებს არ აძნდებს მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში, შტატებისა თუ შენობების შესანახად განკუთვნილი ან სხვადასხვა ხარჯის დასაფარავად, ეს მნიშვნელოვნად უტეხს სახელს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას.

ამ მხრივ საჭიროა მართლმსაჯულების წარმომადგენელთა მონაწილეობა ბიუჯეტის შედგენასა და მათ განკარგულებაში მყოფი ფონდების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

2. მოსამართლის როლის შესახებ

ა) საყოველთაო გამოცდილება მოწმობს, რომ მოსამართლის მონაწილეობა ჯერ კიდევ პროცესის მომამზადებელ სტადიაზე საჭიროა, როგორც ინდივიდის უფლებებისა და თავისუფლების განხორციელებისათვის ყოველი აქტივობის გარანტი. ისეთ დროს, როდესაც საქმე ეხება თავისუფლების აღგვთას, მოსამართლემ პირადად უნდა მოუსმინოს დაინტერესებულ პიროვნებას და უნდა ჰქონდეს იმის უფლებამოსილება, რომ მოითხოვოს მისი გათავისუფლება, ან გადაწყვიტოს მისი პატიმონის პირობები;

ბ) ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანია, რომ შემოღებულ იქნას შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის მთელ პროცესში და მხედველობაში იქნას მიღებული ამ სფეროში დაკანონებული სხვადასხვა სისტემის ყველანაირი გამოცდილება;

გ) სწორი და სამართლიანი სასამართლო პროცესი გულისხმობს, რომ მასში მონაწილე პირთა როლი ნათლად არის დიფერენცირებული; არ არის რეკომენდებული რომ მოსამართლის ფუნქციები წინასწარი ძიებისას სასამართლოში ერთმა პირმა შეითავსოს.

3. სასამართლოს სტრუქტურისა და არაპირვესიონალთა მონაცილეობის შესახებ სასამართლო პროცესში

ა) კონფერენციის მონაწილეთა უმეტესობა რეკომენდაციას არ უწევს ნაზიც მსაჯულთა სისტემას. თუკი შემოღებული იქნება ნაფიც მსაჯულთა სისტემა, მაშინ ანგარიში უნდა გაეწიოს სოციალურ და სამართლებრივ კონტექსტს

და მრავალ ფაქტორს, რომლებიც ასეთ ინსტიტუტს ახლავს ზოგადად ჰისტორიის სამართლის პროცესში;

ბ) არაპროფესიონალ პირთა მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება ემსახურებოდეს მნიშვნელოვან მიზანს მართლმსაჯულების სისტემაში. ის პრაქტიკული სიმძლეები, რომლებმაც თავი იჩინა ზოგიერთ ქეყანაში არაპროფესიონალ მსაჯულთა მოწვევისას, არ არის საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ საერთოდ შეიზღუდოს ნაფიც მსაჯულთა სისტემა და ხელადებით გამოყენებულ იქნას მხოლოდ პროფესიონალ მოსამართლეთა სისტემა.

4. საერთაშორისო გასტაბის შესახებ

ა) კონფერენცია მოუწოდებს, რომ ძირითადი პრინციპების ქმედითი გამოყენების პროცედურათა მე-6 მუხლით სარგებლობისას, წევრმა ქვეყნებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უნდა მიაწოდონ ყველა სახის ინფორმაცია ზუსტლიანი ანგარიშის შესაღენად, რაც გათვალისწინებულია მე-7 მუხლით და შეეხება მართლმსაჯულების დამოუკიდებლობაში მიღწეულ პროგრესს;

ბ) კონფერენციას ასევე მიზანშეწონილად მიაჩინა, რომ გენერალურ სამდივნოში ჩამოყალიბდეს სპეციალური სამსახური, რომლის მიზანიც იქნება კონტროლის განხორციელება წევრი ქვეყნების ძიერ მიღებულ მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის სხვადასხვა მეთოდსა და საშუალებაზე, რათა ისინა შეესაბამებოდნენ ზოგად პრინციპებს, ხოლო ამ სამსახურის დასკვნები ქვეყნებიდებოდეს ყოველწლიურად;

გ) დაბოლოს, კონფერენცია დაბეჭითებით მოითხოვს, რომ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდეს ზემოაღნიშნული საერთაშორისო საშუალებანი.

აპოლონ ფალიაზვილი

სასამართლო რევორმისა და საკროხესო კანონების დასკვნების საკუთრების საქმი

5. მოქმედი საპროცესო კანონით ძირითადად სწორად და დემოკრატიულ საწყისებზე არის აგებული სასამართლოში სისხლის საქმის განხილვის საკითხები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცალკეული ნორმები საჭიროებს სრულყოფას.

საქართველოს რესპუბლიკის საპროცესო კოდექსის შესაბამისად სასამართლოში საბრალდებო დასკვნას აქვეყნებს სასამართლო, რაც არ შეესაბამება სასამართლის ფუნქციას. საბრალდებო დასკვნა არის გამოძიების დოკუმენტი, იგი ბრალს დებს განსაჯელს, ამიტომ საბრალდებო დასკვნა სასამართლოში უნდა გამოაქვეყნოს ბრალდების მხარეებ - პროკურორმა და თუ იგი არ ესწრება პროცესს, მისი სახელით მას წაიკითხავს სასამართლო სხდომის მდივანი.

პროცესუალურ ლიტერატურაში დაყენებულია წინადადება, რომ სასამართლოში გამოქვეყნდეს საბრალდებო დასკვნა არა მთლიანად, არამედ მხოლოდ მისი სარეზოლუციო ნაწილი. თუ მისი მთლიანი გამოქვეყნების შესახებ შუამდგომლობს პროცესის რომელიმე მონაწილე, მაშინ იგი უნდა გამოქვეყნდეს მთლია-

* დასახული. დასაწყისი იხილეთ ურნალ „სამართლის“ № 3-4.

სად. ასეთი წინადადება დაყენებულია რუსეთის ფედერაციის კოდექსის პროცესუალური ექტში (მუხლი 488-ე და 299-ე).

თითქოს ასეთ წინადადებას აქვს გარკვეული მნიშვნელობა პროცესუალური დროის ეკონომიის თვალსაზრისით, მაგრამ იგი გარკვეულად ზღუდავს სასამართლოში საქმის განხილვის ერთ-ერთ ძირითად — საჯაროობის პრინციპს ჯერ ერთი, პროცესის ყველა მონაწილეს არ წაუკითხავს საბრალებო დასკვნა. უფრო მეტიც, ჯერჯერობით ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ამ პროცესუალურ დოკუმენტს არ ეცნობიან მსაჯულებიც კ. გარდა აღნიშნულისა, იმას უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ სასამართლო დარბაზში მყოფ საზოგადოებას (მათ შორის განსასჯელის ოჯახის წევრები, მისი ნათესავები) აინტერესებს, თუ რა მტკიცებულებებით მტკიცდება განსასჯელის ბრალეულობა.

აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საბრალდებო დასკვნა სასამართლოში გამოქვეყნდეს მთლიანად. ამას მოითხოვს საჯაროობის პრინციპი, განსასჯელის, პროცესის სხვა მონაწილეთა და სასამართლოში დამსწრე საზოგადოების ინტერესები.

დღესდღეობით მიუღებლად მიგვაჩნია ზოგიერთი ავტორის (მაგ., გ. ტიმოფეენკო) მოსაზრება, რომ თუ განსასჯელი ნაწილობრივ ან მთლიანად ცნობს თავს დამასაშავედ, შეიზღუდოს სასამართლო გამომიება, სასამართლო კამათი და გამოტანილ იყოს განაჩენი.

ასეთი წესი არსებობს, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ მისი გადმოტანა ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში ჯერჯერობით მიუღებელია, რადგან ეს გამოიწვევს გამოძიების პროცესში (და სასამართლოშიც) ბრალდების აღიარების ყველა საშუალებებითა და გზებით მიღებას, გამოძიების ცალმხრივობას ჭეშმარიტების დაგდენის საზიანოდ.

პროცესუალურ ლიტერატურაში დასმულია საკითხი, რომ სასამართლოში მოწმემ დაკითხვის წინ გააკეთოს განცხადება (დადოს ფიცი), რომ იგი მისცემს მხოლოდ მართალ ჩვენებას და ილაპარაკებს სიმართლეს (იხ. რუსეთის ფედერაციის საპროცესო კოდექსის პროექტის 491-ე მუხლი). მიგვაჩნია, რომ ასეთი ფიცის დადება უნდა დაევალოს არა მხოლოდ მოწმეს, არამედ ყველა იმ პროცესის მონაწილეს, ვინც იძლევა ჩვენებას ან დასკვნას (დაზარალებული, სპეციალისტი, სამოქალაქო მოსარჩევე, სამოქალაქო მოპასუხე, ექსპერტი).

მოქმედ საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით უფრო დაწვრილებით უნდა იყოს რეგლამენტირებული ისეთი სასამართლო მოქმედებათა ჩატარება, როგორიცაა: საგამოიძიებო ექსპერიმენტი, ამოცნობა, ნიმუშების მიღება შედარებით გამოკვლევის ჩასატარებლად.

უფრო დემოკრატიული უნდა გახდეს სასამართლო კამათი. ახალმა საპროცესო კოდექსმა უნდა დაუშვას ყველა შემთხვევაში სასამართლო კამათში დაზარალებულის და განსასჯელის მონაწილეობის მიღება. ის ფაქტი, რომ მოქმედი კანონმდებლობით დაზარალებული მონაწილეობას ღებულობს სასამართლო კამათში მხოლოდ კერძო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებზე, განსასჯელი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას არა ჰყავს დამცველი, ზღუდავს პროცესის ამ მონაწილეთა პროცესუალურ უფლებებს და არათანაბარ პირობებში აყენებს მათ სასამართლო კამათში მონაწილე სხვა პირებთან შედარებით. თუ ერთ განსასჯელს ჰყავს ორი დამცველი, სასამართლო კამათში მონაწილეობის უფლება უნდა მიენიჭოს ორივე დამცველს.

სასამართლო კამათში მონაწილე პირს ასევე უნდა მიენიჭოს უფლება სათათბირო ოთახში გასვლამდე სასამართლოს მიაწოდოს თავისი წერილობით,

შოსაზრება საქმის ბედის შესახებ, რომელიც არ ატარებს სასამართლოსათვის საკულტურო ხასიათს.

საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონით ძირითადად სრულყოფილად არის რეგლამენტირებული განაჩენის გამოტანის საკითხი, მაგრამ, ამავე დროს, საჭიროა ახალმა კანონმდებლობამ გაითვალისწინოს და შეავსოს ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ახასიათებს მოქმედ საპროცესო კოდექსს.

განაჩენი არის მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესუალური დოკუმენტი, ამიტომ იგი უნდა იყოს არა მხოლოდ კანონიერი და დასაბუთებული (მუხლი 303-ე), არამედ ამავე დროს მოტივირებული და სამართლიანი. განაჩენის ეს ბოლო ორი მოთხოვნა უნდა აისახოს ახალ საპროცესო კოდექსში.

მოქმედო საპროცესო კანონი საერთოდ არ არევულირებს საკითხს, თუ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო იმ შემთხვევაში, როდესაც განაჩენის დადგნის დროს ყველა მოსამართლე მივა სხვადასხვა მოსაზრებამდე განსასჯელის ბრალეულობის, დანაშაულის კვალიფიკაციის, სასჯელის სახისა და ზომის საკითხებზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარში გამოთქმულია მოსაზრებას, რომ თუ მოსამართლე და მსაჯულები გამოიქვამენ სხვადასხვა მოსაზრებას, ასეთ შემთხვევაში მოსამართლე უნდა მიემზროს ერთ-ერთ მსაჯულს და ამით შექმნას ხმის უმრავლესობა და გამოიტანოს განაჩენი. ასეთი მოსაზრება მიგვაჩნია არასწორად. გაუგებარია თუ რატომ უნდა უღალატოს იურიდიული განათლების მქონე პროფესიულმა მოსამართლემ თავის მოსაზრებას, მის შინაგან რწმენას და მიემზროს ერთ-ერთი მსაჯულის მოსაზრებას ხმის უმრავლესობის შექმნის ფორმალური მოტივით.

რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ორივე პროექტი (მუხლი 510-ე და მუხლი 328-ე) ამ საკითხის გადაწყვეტის დროს გამომდინარეობს განსასჯელის პროცესუალური მდგომარეობის გაუმჯობესების პრინციპიდან. კერძოდ, თუ განაჩენის გამოტანის დროს ერთი მოსამართლე მოითხოვს გამართლებას, ხოლო მეორე და მესამე გამამტყუნებელ განაჩენის გამოტანას, მაგრამ მათ შორისაც არის უთანხმოება დანაშაულის კვალიფიკაციის და სასჯელის ზომის საკითხზე, ამ შემთხვევაში ის მოსამართლე, რომელიც მოითხოვს გამართლებას, უნდა მიემზროს იმ მოსამართლის მოსაზრებას, რომელიც მოითხოვს უფრო მსუბუქი ხასიათის კვალიფიკაციას და სასჯელის ზომას და ამის მიხედვით გამოტანილ იქნეს შესაბამისი განაჩენი.

ჩვენ არ გავიზიარებთ ასეთ მოსაზრებას. მივგაჩნია, რომ მოსამართლე, რომელიც მოითხოვს მსჯავრდებულის გამართლებას, რჩება უმცირესობაში და ივე არ უნდა მიემზროს იმ მოსამართლეებს, რომლებიც მოითხოვნ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას. ხმის უმრავლესობის მიღწევის მიზნით მოსამართლე, რომელიც მოითხოვს უფრო მკაცრ კვალიფიკაციას, სასჯელის სახესა და ზომას, უნდა მიემზროს იმ მოსამართლეს, რომელიც მივიდა დასკვნამდე უფრო მსუბუქი სახის კვალიფიკაციის, სასჯელის სახისა და ზომის გამოეცების შესახებ და ამით შექმნას ხმათა უმრავლესობა განაჩენის დასაღვენად. ამ მოსამართლეთა პოზიციები უფრო ახლოა, რაღაც ორივე მოითხოვს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.

იმ შემთხვევაში თუ სამივე მოსამართლე მივიდა დასკვნამდე, რომ გამოტანილ უნდა იყოს გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ მათ შორის აზრთა სხვადასხვაობაც წარმოიშვა კვალიფიკაციის, სასჯელის სახისა და ზომის საკითხზე,

ამ შემთხვევაშიც საკითხი უნდა გადაწყვდეს განსასჯელის სასარგებლოდ, ეს ქი ის მოსამართლე, რომელიც მოითხოვს დანაშაულის დაკვალიფიცირებას უჯრო მძიმე ხასიათის მუხლით (ან მუხლის ნაწილით) ან უფრო მკაცრ სასჯელს, მისა ხმა უნდა შეუერთდეს იმ მოსამართლის მოსაზრებას, რომელიც განსასჯელის სასარგებლოდ მსჯელობს.

6. გარკვეულ სრულყოფასა და დახვეწას მოითხოვს სისტემის სამართლის საქმის განხილვა საკასაციო წესით, სადაც მოწმდება განაჩენის კანონიერება, დასაბუთებულობა და აგრეთვე მისი სამართლიანობა.

მოქმედი საპროცესო კანონი არ ითვალისწინებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრებას საკასაციო წესით. იქმნება ისეთი ვითარება, რომ თუ საქმეს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო ან ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო იგი ექვემდებარება საკასაციო გასაჩივრებას, ხოლო თუ იმავე საქმეს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, იგი უკვე აღარ ექვემდებარება საკასაციო გასაჩივრებას. მომავალ საპროცესო კოდექსში უნდა გაითვალისწინოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრება და ეს საჩივარი უნდა განიხილოს სასამართლო კოლეგიამ სამი მოსამართლის შემადგენლობით.

საკასაციო წესით გასაჩივრების უნდა მიენიჭოს აგრეთვე საზოგადოებრივ ბრალმდებელს და საზოგადოებრივ დამცველს. ეს პირები არიან პროცესის სუბიექტები, მონაწილეობენ საქმის განხილვაში, სასამართლო კამათის დროს გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას საქმის ირგვლივ და თუ მათ მიაჩნიათ, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი ან უსამართლო ისინი უფლებამოსილი უნდა იყვნენ გასაჩივრონ სასამართლოს განაჩენი. პროცესუალურ ლიტერატურაში ასევე დასმულია საკითხი, რომ განაჩენის გასაჩივრების უფლება მიენიჭოს იმ პირებსაც ვინც არ არის პროცესის მონაწილე, მაგრამ მათ ინტერესებს ეხება განაჩენი (ახლო ნათესავები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები). მიგვჩნია, რომ ამ პირებს არ უნდა მიენიჭოს განაჩენის გასაჩივრების უფლება, თუ ისინი არ მონაწილეობენ საქმეში, როგორც კანონიერი ან შრომითი კოლექტივის წარმომადგენლები.

სახელმწიფო ბრალმდებელს უნდა შეუნარჩუნდეს უფლება განაჩენის გაპროტესტებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩვენ ჩავაყენებთ არათანაბარ პირობებში პროცესის სხვა მონაწილეებთან შედარებით. პროკურორს არა აქვს უფლება რეგისტრაცია არ მოახდინოს სასამართლოს მიერ გამოტანილ უკანონო, დაუსაბუთებელ და უსამართლო განაჩენზე. ამ მომენტისათვის სასამართლომ უკვე დაამთავრა თავისი უფნეციის განხორციელება — არსებითად გადაწყვიტა სისტემის სამართლის საქმე, ამიტომ პროკურორის პროტესტი არ შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო ფუნქციებში ჩარევად ან სასამართლოზე ზედამხედველობის განხორციელებად.

ამავე დროს, არასწორად მიგვაჩნია კანონის ის მოთხოვნა, რომ ზემდგომ პროკურორის უფლება აქვს მოხსნას ქვემდგომი პროკურორის საკასაციო პროტეტი. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა წარმოადგენს პროტესტის შემტან პროკურორის შინაგან რწმენაზე ზემოქმედებას და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მას პროცესის სხვა სუბიექტებთან შედარებით, რომელთა საჩივრის მოხსნის უფლება არავის არა აქვს.

საქართველოს მომავალ საპროცესო კოდექსით უნდა გაფართოვდეს იმ პირთა წერე, ვინც უნდა მონაწილეობდეს საკასაციო წესით საქმის განხილვის დროს. თუ მომავალ საპროცესო კოდექსით დაკანონდება საზოგადოებრივი დამცველისა

და საზოგადოებრივი ბრალმდებელის უფლება განაჩენის გასაჩივრებაზე მათ უნდა მიენიჭოთ აგრეთვე უფლება მონაწილეობა მიიღონ საკასაციო წესით საქმის განხილვაში. მსჯავრდებული, რომელიც პატიმრობაშია და სურვეილს გამოთქვამს საკასაციო წესით საქმის განხილვაში მონაწილეობის შესახებ იგი ყველა შემთხვევაში უნდა იყოს წარმოდგენილი საკასაციო სასამართლოში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ვაყენებთ არათანაბარ მდგომარეობაში იმ მსჯავრდებულთან, რომელიც არ არის პატიმრობაში. ამ უკანასკნელს ყველა შემთხვევაში უფლება აქვს დაესწროს საქმის განხილვას საკასაციო სასამართლოში.¹¹

მომავალმა საპროცესო კოდექსმა უნდა გაითვალისწინოს აგრეთვე დამცველის სავალდებულო მონაწილეობა საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დროს, როდესაც მისი მონაწილეობა კანონით არის სავალდებულო პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ბოლო წლებში სადაოდ გახდა ისეთი მყარად დადგენილი დებულება, რომ საკასაციო და საზედამხედველო წესით საქმის განხილვის დროს დაუშვებელია მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესება (უარესობისაკენ შემობრუნება). მაგალითად, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების პროცედურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მომზადებული „საფუძვლები“ (მუხლი 60) მიუთითებს, რომ სასამართლოს უფლება აქვს გააძლიეროს სასჯელი, გამოიყენოს კანონი უფრო მძიმე დანაშაულისათვის, როდესაც ამ საფუძვლით შემოტანილია პროკურორის პროტესტი. ასეთივე მოსაზრებაა გამოთქმული სხვა ავტორების მიერაც (ა. ბოიკოვი, ი. დემიდოვი, ნ. მალკოვი). აღნიშნული წინადაღება მიუღებელია, რადგან პროცესის ამ სტადიებზე არ ხდება საქმის არსებითი განხილვა, მტკიცებულებათა მიღება, სასამართლო მოქმედებათა ჩატარება, მოწმდება მხოლოდ განაჩენის კანონიერება და დასაბუთებულობა. უარესობისაკენ შემობრუნება უზღდული მსჯავრდებულს დაცის უფლებას და ამავე დროს სასამართლოს ანიჭებს მისთვის მიუღებელ – ბრალდების ფუნქციას (ვ. სუკალო, ვ. ვოსკრესენსკი).

სასურველია, რომ ახალმა საპროცესო კოდექსმა გააფართოვოს საკასაციო და საზედამხედველო წესით საქმის განხილვის დროს განაჩენის გაუქმების და შეცვლის საფუძვლები სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევისათვის. ამ საფუძვლებს, რომელიც ჩამოთვლილია სსკ 355-ე მუხლის, სასურველია დაემატოს შემდეგი, როდესაც: საბრალდებო დასკვნა არ იყო დამტკიცებული პროკურორის მიერ; გამოძიების დამთავრების დროს ბრალდებულს არ გააცნეს საქმის მასალები; განსასჯელს არ მიეცა დაცითი სიტყვის უფლება ან საბოლოო სიტყვა; ბრალდებული არ იყო სამართლში მიცემული კანონით დადგენილი წესის თანახმად. ასეთი მოსაზრება გამოთქმულია სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მიერ რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექტში (მუხლი 542-ე) და ჩვენ მას ვეთანხმებით.

სასურველი იქნებოდა აგრეთვე ახალმა კანონმა გაითვალისწინოს საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დროს სასამართლო სხდომის ოქმის შედენა.

7. საკასაციო წესით საქმის განხილვას ახასიათებს ისეთი თვისებები რომორცაა არა საქმის არსებითი განხილვა, არამედ განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება საქმეში არსებული და დამატებით წარმოდგენალი მასალების მიხედვით. სასამართლოს არ შეუძლია დაკითხოს მოწმები, დაზა-

¹¹ იბ. ა. ფალიაშვილი, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ზოგიერთი საკითხი, „სახელმწიფო და სამართლი“, 1990, № 3, გვ. 30.

რალებულები, ჩატაროს ექსპერტიზა და სხვა სასამართლო მოქმედებანი, მოიპოვოს ახალი მტკიცებულებები. ყოველივე აღნიშნული გარკვეულ შემთხვევაში იწვევს ამ ინსტანციის განხორციელების ფორმალურ ხასიათს.

აღნიშნული ხარვეზების დაძლევის მიზნით თანამედროვე პროცესუალურ ღიტერატურაში სამართლიანად დაისვა საკითხი სისხლის სამართლის საქმის საპელაციო წესით განხილვის შემოღების შესახებ, ისე როგორც ეს არის კაპიტალისტურ ქვეყნებში.

სააპელაციო წესით საქმის განხილვისათვის დამახასიათებელია ის, რომ ზემდგომი სასამართლო საქმეს იხილავს არსებითად, ისე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო. სასამართლო პროცესზე გამოიძახება განსაჯელი, დაზარალებული, მოწმები, სამოქალაქო მოსარჩევე, სამოქალაქო მოპასუხე. საჭიროების შემთხვევაში გამოიძახება დამცველი, ექსპერტი, ტარდება სასამართლო მოქმედებანი, გამოთხოვილ იქნება საჭირო დოკუმენტები და სხვ. სასამართლში მთლიანი მოცულობით ხორციელდება შეჯიბრებითობის პრინციპი და სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს ხელახალი განაჩენი.

სააპელაციო ინსტანციის შემოღების საკითხი მოითხოვს ყოველმხრივ შესწავლასა და განხილვას. იგი უნდა იყოს შეფასებული, როგორც პროგრესიული მოვლენა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის საფუძველს წარმოადგენს იმ პირთა საჩივარი (პროტესტი), ვინც უფლებამოსილია საკასაციო წესით გაასაჩივროს ან გააპროტესტოს პირველი ინსტანციის განაჩენი. საჩივრის (პროტესტის) შეტანისათვის დაწესებულ უნდა იყოს ისეთივე ვადა, როგორც ეს არის საკასაციო წესით გასაჩივრებისათვის.

საქმის განხილვის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს გამომიებასა და სასამართლოში საქმის განხილვის ცალმხრივობა და არასისრულებ; სასამართლოს დასკნების შეუსაბამობა განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან; საკასაციო წესით საქმის განხილვის დროს მოსამართლეთა გადაწყვეტილება, რომ საქმე განხილულ იყოს სააპელაციო წესით.

სააპელაციო წესით საქმის განხილვისათვის უნდა შეიქმნას, როგორც ამის შესახებ აღნიშნულია ღიტერატურაში, სპეციალური სააპელაციო კოლეგია ან საქმე უნდა განიხილოს საკასაციო კოლეგია¹².

სააპელაციო წესით საქმის განხილვის შედეგად შეიძლება გაძლიერდეს პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მოტივით განაჩენი იყო გასაჩივრებული დაზარალებულის მიერ ან პროკვერორის პროტესტის საფუძველზე. ასეთი წესის დადგენა იმით არის ნაკარანახვი, რომ სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავს ხელახლა და არსებითად აღგენს ახალ განაჩენს. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს (გაპროტესტდეს) საკასაციო წესით¹³.

8. ხედამჟღველობის წესით განაჩენის გადასინჯვა მოითხოვს გარკვეული ცვლილებებისა და დამატებების შეტანას მოქმედ საპროცესო კოდექსში. ამ წესით განაჩენის გადასინჯვისათვის საჩივრის შეტანის უფლება უნდა პქონდეს

¹² См. Бойков А., К проекту УПК Российской Федерации, «Законность», 1192, № 2, с. 10.

¹³ აღნიშნულ საკითხზე, ა. კობახიძე, ზოგიერთი მოსაზრება სასამართლო რეფორმისათვის, „სამართლალი“, 1992, № 6-7, გვ. 3-4; იხ. კონნიერებისა და მართლწესრიგის გამტკაცების პრობლემების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მომზადებული რსესრ-ის სსს კოდექსის პროექტი, მუხლები 391-397; Бобров М., Становление судебной власти, «Вестник Верховного Суда СССР», 1991, № 7, с. 20—21; Скловский К., Взгляд на правосудие из провинции, «Советская юстиция», 1992, № 2, с. 1.

არა მარტო იმ პირებს, ვინც უფლებამოსილია საკასაციო წესით გაასაჩივროს განაჩენი, არამედ საზოგადოებრივ დამცველს, საზოგადოებრივ ბრალმდებულობა, შრომითი კოლექტივის წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობას დებულობენ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დროს და აგრძივე განსასჯელის ახლო ნათესავებს. ასეთი გარემოება იმით არის ნაკარნაჟევი, რომ უფრო გაძლიერდეს დაინტერესებულ პირთა გარანტიები და იმითაც, რომ საჩივრის შეტანა არ იწვევს განაჩენის გადასინჯვის აუცილებლობას.

იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილი პირი არ ჩათვლის საჭიროდ განაჩენის გაპროტესტებას, იგი ადგენს დასაბუთებულ დასკვნას, რომლის პირიც აუცილებლად უნდა გადაეცეს საჩივრის შემტანს. ამის შესახებ სასურველია, რომ პირდაპირ აღინიშნოს ახალ საპროცესო კოდექსში.

ყველა ის პირი, ვისაც აქვს განაჩენის გასაჩივრების უფლება და ვისი საჩივრის საფუძველზეც იხილება საქმე ზედამზედველობის წესით, დაშვებული უნდა იყოს საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად და ახსნა-განმარტების მისაცემად. განსასჯელი, თუ იგი პატიმრობაშია და სურვილს გამოთქვას, ყველა შემთხვევაში უნდა იყოს წარმოდგენილი საზედამზედველო წესით საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

საპროცესო კოდექსის პროექტში იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ პროტესტის პირი ყველა შემთხვევაში და დროზე უნდა ჩაბარდეს პროცესის იქ მონაწილეს, ვისი საჩივრის საფუძველზეც იხილება საქმე ზედამზედველობის წესით.

საზედამზედველო წესით საქმის განხილვის დროს კანონმა უნდა გაითვალისწინოს უფრო დაწვრილებითი პროცედურული წესი: სასამართლო სხდომის გახსნა, გამოცხადებულ პირთა შემოწმება და მათი დასახელება, სასამართლო შემადგენლობის გამოცხადება და აცილების საკითხის გადაწყვეტა, აღმრული შუამდგომლობის განხილვისა და გადაწყვეტის წესი და სხვ¹⁴.

ზედამზედველობის წესით საქმის განხილვის დროსაც არ უნდა დავუშვათ მსჯავრდებულის პროცესუალური მდგომარეობის გაუარესება (უარესობისაკენ შემობრუნება).

9. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საქმის განახლების დროს ახალმა კანონმა უნდა შეიტანოს დამატებები საქართველოს რესპუბლიკის სსს კოდექსის 394-ე მუხლში (1 პუნქტი) იმ მხრივ, რომ ამ მოტივით საქმის გადასინჯვა დაიშვას აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ დაზარალებულმა მისცა ყალბი ჩვენება, თარჯიმანმა განზრას არასწორად თარგმნა, როდესაც გაყალბებულია დოკუმენტები, საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმები. ყოველივე ეს დადგენილი უნდა იყოს სასამართლოს განაჩენით.

კანონმი აგრეთვე უნდა მიეთითოს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის საკითხის დაყენება შეუძლია აგრეთვე პროკურორსაც, როდესაც მისთვის ცნობილი გახდება საქმის გადასინჯვის საფუძველი. მოქმედ კანონში (მუხლი 396-ე) ამის შესახებ არ არის ნათქვამი. პროკურორს (რომლის დავალებითაც ტარდება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამოძიება) კანონით უნდა მიენიჭოს უფლება შეაჩეროს განაჩენის აღსრულება იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიების მასალები აშკარად მიუთითებენ მსჯავრდებულის უდანაშაულობაზე.

14 აღნიშნულ საკითხზე იხ. ა. ფალიაშვილი, სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება ზედამზედველობის წესით, „საბჭოთა სამართლი“, 1989, № 9, გვ. 47-48; კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების პროცედურების საკითხით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ რსესრ სსს კოდექსის პროექტის 425-ე მუხლი.

მოქმედ სსს კოდექსის 394-ე მუხლის მე-3 პუნქტში საქმის გადასინჯვას საფუძველს უნდა დაემატოს აგრეთვე გამომძიებლის მიერ ჩადენილი ბოროტმოქ-მედებანიც. კანონში ნათქვამია მხოლოდ მომკვლევზე და არა გამომძიებელზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლებით შეიძლება დამძიმდეს მსჯავრდებულის მდგომარეობა (იხ. მუხლი 395), კანონი ადგენს ერთი წლის ვადას, მაგრამ მასში მითეთებული არ არის, თუ როდის იწყება ამ ვადის დინება. მიგაჩნია, რომ ერთწლიანი ვადის დინება უნდა დაიწყოს არა გამოძიების დაწყების მომენტიდან (394-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში), არამედ იმ დღიდან, როდესაც პროკურორი შეადგენს დასკვნას საქმის სასამართლოში გასაგზავნად. სხვა შემთხვევაში კი (394-ე მუხლის 1, 2 და 3 პუნქტები) განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

კანონპროექტში სასურველია აღინიშნოს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვის შედეგად სასამართლოს მიენიჭოს განაჩენში ისეთი ცვლილებების შეტანის უფლება, რომლებიც აუმჯობესებენ მსჯავრდებულის პროცესუალურ მდგომარეობას ან ასწორებენ დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომას¹⁵.

10. განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით საქართველოს მომავალ საპროცესო კოდექსში შეტანილ უნდა იყოს მთელი რივი ცვლილებები, რაც გარკვეულად სრულყოფს სისხლის სამართლის პროცესის ამ სტადიას.

მეტად სასურველია, რომ 368-ე ძუხლში კონკრეტულად მოყვანილი იყოს შევლა ის შემთხვევა, როდესაც განსასჯელის განთავისუფლება ზდება სასამართლო სხდომის დარბაზიდან, რის შესახებაც სამართლიანად არის აღინიშნული პროცესუალურ ლიტერატურაში. ამ შემთხვევებს მიეკუთვნება: როდესაც განსასჯელი გამართლებულია, მსჯავრდებულია სასჯელის დაწინაშენის გარეშე, მსჯავრდებულია სასჯელიდან განთავისუფლებით, როდესაც წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ვადა დაგემთხვა სასჯელის ზომას თავისუფლების აღკვეთის სახით, როდესაც მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა პირობითად ან გადაედო განაჩენის აღსრულება, როდესაც სასჯელი არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამამართლებული განაჩენის პირი ყველა შემთხვევაში უნდა გადაეგზავნოს გამართლებულის სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელ აღგილზე. ეს საჭიროა მისი რეაბილიტაციის მიზნით საზოგადოების და ახლობლების თვალში.

მომავალ საპროცესო კოდექსში უნდა მიეთითოს აგრეთვე, თუ ვის აქვს უფლება იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე განაჩენის აღსრულების გადადების შესახებ. კერძოდ, უნდა მიეთითოს, რომ ვე უფლებით სარგებლობენ განსასჯელი, მისი წარმომადგენელი, ახლო ნათესავები, დამცველი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები. აღნიშნული სა-

¹⁵ მოქმედი კანონის სრულყოფის საკითხებზე იხ. ა. ფალიაშვილი, სისხლის სამართლის საქმის განხსნება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, „საბჭოთა სამართლა“, 1989, № 3, გვ. 19—24; Шурыгин А., Громов Н., Полномочия суда при рассмотрении дела по вновь открывшимся обстоятельствам, «Советская юстиция» 1989, № 19, с. 18—19; Уголовно-процессуальное Законодательство Союза ССР и РСФСР (теоретическая модель), М., 1989, с. 278—281; Филиппов П., Громов Н., Шурыгин А., Основания возобновления уголовных дел по вновь открывшимся обстоятельствам, «Советская юстиция», 1992, № 9—10, с. 13—15.

զուտեա Շեշմլօա աշրետաց դապահնու პրոցեսորմա და თագուսայլեბու աճքըթու աջակալեბու ազմոնու պրակարա.

Իմամդենաճապ ցանահենու աղևրուլեբու ցադալեბա ցանիենլեբա րոցորու քամանուրու այլու, կանոննու սենդա մուտուտու, ռոմ օգու առ ցամուսցենեբա ցանեացաւրեց ծամունու ըշուազուստեբու, սահելմիոյու დա նեցա մմոմե ցանամայլու համ-լեն մեշացրելեթուլու մոմարու.

Առջմեզու սապրուցեսու կուզեյսու 373-յ մուխլու սենդա մուտուտու, ռոմ ցա-նահենու աղևրուլեբու ցադալեբու սայումեցելու դագաստուրեթուլու օյու սատանաճու քամումենիուտ. մացալուտագ, մմոմե աշամպուցունու յաշիու - սահելմիոյու սամե-դուցունու դաշեցեթուլեբու դակցունու; ռուսուլունու շեսաեք - սահելմիոյու սա-մելուցունու դաշեցեթուլեբու ցունուտ. մուրուվուրուցուն նաշշեցենու պուլա - դագալե-բու մումունուտ. մմոմե շելեցու դագումա ռջահիսատուն (եանձարու, սփոյուրու շեց-դուրեց, մմոմե աշամպուցունու, ռջահիս յերտագուրու մուրունունարունու բաշրուն), անցա սենդա դագաստուրեթու շեսամամունու սահելմիոյու դաշեցեթուլեբու մո-ւր ցապեմելու քամումենիուտ.

Ոմ շեմուշեցեց, ռուգուսապ շերմալեբա ցադաօւու ցանահենու աղևրուլեբա, սե-նդա դայմաբունու սամեցրու մուսամսաեւրու մմոմարու ցանահենու աղևրուլեբու ցադա-լեբա յուրունիչ ցաշեցացունու ռուսուն դամտացրեամբ.

Կանոննու եածու սենդա ցաշեցան մմ ցարեմունեբա, ռոմ ցանահենու աղևրուլեբու սապրուցեմու բամուշրուն սակուտենիչ մեշացրեթուլու շեշմլօա ցանեաթուրույլուն տացունու սյուլենիչ ռոցորու პուրագագ, օյե դամցեցլուն մեթզերունուտ. կանոննու անցա սենդա աղոնունու մեշացրեթուլու սյուլենիչ նու շեսաեք ցանահենու աղևրուլեբու սապրուցեմու բարու, կերմուն: օյշամձցումլուն ցանահենու աղևրուլեբու ցադալեբուն, աշամ-պուցունուսա դա օնցալուգունուն ցամու ցանտացուսյուլեբուն, პուրագունու - զագամց ցան-տացուսյուլեբուն ան սյուրու մեշացրեթու բամուցենեబուն շեսաեք, դայսիրուն սա-սամարուլուն սեգուման, ռուգուսապ օնուլեբա մուսու սայմե, մուսցու հցենեբա, բարագո-նուն մթիուցեթուլեբանու, աղմունա մշամձցումլուն, ցանացեալուն ապուլեբա, ցացենուն սայմուն մասալուն, ցասահիօրուն տացուսյուլեբուն աղցալեցուն աժցուլեբուն աժմոնուն-պրացունու, սասամարուլուն դա პրոցեսորունու սցանոննու մույմեցեբանու. սապրուցեսու ցանոննու անցա ւըլուլեբուն շերմանու շեսաեք սկազ մուտուեթուլու օյու պրու-սյալլուր լութերաբուրամուն.

Առջմեզու սապրուցեսու կուզեյսու 380-յ մուխլու սենդա մուտուտու, ռոմ մեշաց-րեթուլուն մոնաթուլեբա սասամարուլուն այցուլեթելու (մոյմեզ կանոննու աղ-նունունու, ռոմ սասամարուլու, ռոցորու բայսու, քանօնարեն մեշացրեթուլուն). սասա-մարուլուն դամցելուն մոնաթուլեբա անցա այցուլեթելու սենդա օյուն, ռուգուսապ մեշացրեթուլու արասրուլմիոյունու, յոնիուցուրու դա յոսիոյուրու նազլուն ցամու առ շեշմլօա մույլու մուցուլունուտ ցանեաթուրույլուն և ապուն սյուլենիչ ռուգուսապ օյու առ յուրուն սամարուլմիարմունուն ցենան. սայմուն ցանենուլուն շելեցագ սասամարուլուն ցամույն ցանհինենա.

Սայմարուցելուն բայսաթեթու ամյամագ և պայնեթուլուն սակուտենու օմուն շեսա-եք, ռոմ ցանահենու աղևրուլեբու սապրուցեմու բամուշրուն սակուտենիչ ցանիենլուն դա ցադանիցութուն արա սասամարուլու (մուսամարուլու դա ռու մեշացրելու), արամեզ մուսամարուլու յերտանուրունուլագ. սակուտենու ամցարու ցադանիցութուն մուութուն ցալ-լասմուն անալուն, պրուցեսյալլուր լութերաբուրամուն ցամութմելու մուսաթրունա շե-սիազլան. սակուտենու ելալացենուտ սցանուցունու ան դագենուտ ցադանիցութուն ցամուն-քեցուն սենդա օյուն.

ავთანდილ კახიძიაზვილი

პრეზენცია: უდანაშაულობის თუ არაგადაულობის?

ქართველ სამართლმცოდნეთა შორის დღემდე არ არის ერთსულოვნება უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზენციის¹ არა თუ არსის, არამედ დასახელების თაობაზეც. მეცნიეროთა უმრავლესობა მას „უდანაშაულობის პრეზენციიას“ უწოდებს და სამეცნიერო ნაშრომებსა თუ ნორმატიულ აქტებშიც ასე იხსენიებენ. ტოგიერთი მკალევარნი, განსაკუთრებით კი სამოქალაქო სამართლის სპეციალისტები, „არაბრალეულობის პრეზენციიას“ ხმარობენ, რაც, ჩვენი აზრით, განსახილველი პრინციპის არსის განსხვავებული გაებით უნდა იყოს გამოწვეული, ამდენად, უდანაშაულობის პრეზენციის დასახელების საკითხის დაზუსტება უცილებლობით არის ნაკარნახევი და პირდაპირ კავშირშია ცნების ძირითადი არსის გარკვევასთან: კანონს პირი უდანაშაულოდ მიაჩნია, თუ არ მიაჩნია ბრალეულად.

სწორედ ამ პრობლემას შეეხებოდა გ. ნაჭეებიას უურნალ „სამართლის“ გასული წლის 8-9 ნომერში გამოქვეყნებული სტატია: „დანაშაულის შემადგენლობა, როგორც არაბრალეულობის პრეზენციის საფუძველი“, რომელშიც ავტორი განსახილველ პრინციპს „არაბრალეულობის პრეზენციად“ მოხსენიებს და მიაჩნია, რომ იგი „ეხება პირის ბრალეულად გულვებას იქამდე, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო“.

არ ვიზიარებთ ავტორის ამ პოზიციას და ვეცდებით დავასაბუთოთ მისი მცდარობა.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ „არაბრალეულობის პრეზენცია“ უდანაშაულობის პრეზენციის აღმნიშვნელი ტერმინის – „პრეზენცია ნევინოვნობისტი“-ს ზუსტი თარგმანია, გაგვიჩნდება გარკვეული უკმარისობის გრძნობა, რადგან სიტყვა „არაბრალეულობა“ არც ერთ ლექსიკონში არ გვხვდება. მაგალითად, ცნობარში „იურიდიული ტერმინოლოგია“ „პრეზენცია ნევინოვნობისტი“ განმარტებულია როგორც „უდანაშაულობის, უბრალობის პრეზენციი“, ხოლო ნ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში „ნევინოვი“ თარგმნილია როგორც „უდანაშაულო ჭრალო“, იქვე კი მითითებულია რომ „ნევინოვნოსტ პოდსუდომოგო“ „განსახჯელის უდანაშაულობას“ ნიშნავს².

ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნულ პრინციპში „უდანაშაულობის“ ნაცვლად „არაბრალეულობის“ ხმარებას შინაარსობრივ

¹ დასახელების დაზუსტებამდე განსახილველი პრინციპის აღსანიშნავად ვიხმართ ტერმინს „უდანაშაულობის პრეზენციას“ და ორივე მნიშვნელობას ვიგულისხმებთ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თაობებულ მათგანზე ცალქმ გვექნება მსჯელობა.

² „იურიდიული ტერმინოლოგია“, 1963.

³ „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, ნ. ჩუბინიშვილის რედაქციით, თბ., 1983 წ.

მხარეს უკავშირებს. მათ მიაჩნიათ, რომ რუსულში „დანაშაულობის პრეზუმუცია“ მხოლოდ „ბრალეულობის“ საკითხს განსაზღვრავს და შესაბამისად „ქარის თულშიც ასე უნდა იყოს. ბრალეულობის არარსებობის გაგებით „არაბრალეულობის“ შემოტანით ხახს უსვამენ იმ გარემობას, რომ განსახილველი პრინციპი უშუალოდ „ბრალეულობას“ ეხება.

მიუხედავად იმისა, რომ სალიტერატურო ქართულში „დამნაშავე“ და „ბრალეული“ სინონიმებია და „ბრალეულობა“ ბრალიანს, დამნაშავეს ნიშავეს⁴, სისხლის სამართლის პროცესის ოფიციალური აღიარებულია, რომ ბრალეულობა ანუ პირის ბრალიანი (განხრახი ან გაუფრთხილებელი) ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა) დანაშაულის ერთ-ერთი განმსაზღვრული ნიშანია და მხოლოდ საზოგადოებრივ საშიძროებასთან, მართლწინააღმდეგობასთან და დასჯადობასთან ერთობლიობაში ქმნის დანაშაულს. ამასთან, ვიცით, რომ „ბრალი“ ფსიქიკური დამოკიდებულებაა ჩადენილი ქმედობისადმი. ამდენად, იურიდიული მნიშვნელობით, ბრალეულობა-ბრალი და დამნაშავე-დანაშაული განსაზღვრული ტერმინების „ვინოვნოსტ-ვინა“-ს და „პრესტუპნიკ-პრესტუპლენიე“-ს შესატყვისად უნდა ვიხაროთ⁵.

ამასთან, სავსებით მისაღებად მიგვაჩნია ცნება „დამნაშავის“ ხმარება იურიდიული ტერმინის სახით, მისი დღეს უკვე ფართოდ დამკიდრებული სალიტერატურო მნიშვნელობით (დამნაშავე-დანაშაულის ჩადენი, პირი, რომელსაც დანაშაული მოუძღვის). მითუმეტებ, რომ სულ ახლახან გამოცემული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი (ცვლილებებით და დამტებებით 1992 წლის 21 ოქტომბრამდე) „აწესებს სახელს, რომელიც გამოეწება დანაშაულის ჩადენ პირთა მიმართ“. (იხ. მუხლი 1).

საკითხის გარევევისათვის აუცილებლად მიგვაჩნია გავაანალიზოთ უდანაშაულობის პრეზუმუციის ფორმულირება და შინაარსობრივი მხარე რუსულენოვან სპეციალურ ლიტერატურაში. პრინციპის ძირითადი არსი მოცემული იყო ყოფილი სსრკ კონსტიტუციაში და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამის მუხლებში:

«НИКТО НЕ МОЖЕТ БЫТЬ ПРИЗНАН ВИНОВНЫМ В СОВЕРШЕНИИ ПРЕСТУПЛЕНИЯ...»

როგორც ვხედავთ, აქ ხაზგასმულადაა ლაპარაკი „დანაშაულის ჩადენაში ბრალეულობაზე“ და არა მხოლოდ ბრალეულობაზე. იგივე კონსტრუქცია აქვთ გამოყენებული რუსულენოვან ძეკლევართა უმრავლესობას უდანაშაულობის პრეზუმუციის სხვა ფორმულირებებში.

სისხლის სამართლის პროცესის ოფიციალური განსახილველი პრინციპის განმსაზღვრავ დებულებად მიჩნეულია ყოფილი საბჭოთა კავშირის უძალლები სასამართლოს პლენურისეული განსაზღვრება:

«Обвиняемый (подсудимый) считается невиновным до тех пор, пока его вина не будет доказана в предусмотренном законом порядке и установлена вступившим в законную силу приговором суда»⁶.

სწორედ „ეს მკაფიო დებულება იწოდება დღეს სისხლის სამართლის პროცესის ოფიციაში უდანაშაულობის პრეზუმუციის პრინციპად“⁷. მიუხედავად იმი-

⁴ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკიინი“, ვ.ბ., 1990.

⁵ სასურველია ჩამოთვლილი ცნებები დექსიცინგებშიც ცალსახა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი და შესაბამისად დაზუსტდეს მათი მნიშვნელობანი.

⁶ Бюллетень Верховного суда СССР № 4 1978, стр. 9.

⁷ Чангули Г. И. «Презумпция невиновности в свете требований Конституции СССР», «Совершенствование уголовно-процессуального законодательства и охрана прав личности», АН УССР, Киев, 1983, стр. 85.

სა, რომ ზემოთ მოყვანილი ფორმულირებაც განიცდის შემდგომ დაზუსტებას მეცნიერთა მხრიდან, ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ ამ ფორმულირებაში შემოღვდებალობის საკითხი არ წყდება და „კანონიერ ძალაში შესული განჩენით“ პირის დანაშაულის ჩამდენად ცნობაც ხდება, ანუ — დანაშაულის ფაქტიც დგინდება⁹.

აქე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიყვანოთ უდანაშაულობის პრეზუმფციის ერთ-ერთი თანამედროვე მკვლევარის ჩ. კასუმოვის მოსაზრება, რომელიც, ჩვენი აზრით, მართებულად შენიშნავს, რომ პლენუმისეულ განმარტებაში სიტყვა „ბრალი“ („ვინა“) უნდა შეიცვალოს „ბრალეულობით“ („ვინოვნოსტი“), რადგან „ბრალი“, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება, წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთ ინგრედიენტს, ხოლო დანაშაულის დადგენისათვის საჭიროა ოთხივე ელემენტის დადგენა. შესაბამისად, სასამართლოს მიერ საჭიროა არა „ბრალის“, არამედ ბრალეულობის დამტკიცება, რაც ჩიშნავს შერაცხადი, გარკვეულ ასაკს მიღწეული ადამიანის მიერ განზრას ან გაუფრთხილებლობით ჩადენილ საზოგადოებრივად საშიშ, მართლსაწინააღმდეგი და დასჯადი ქმედობის დადგენას¹⁰. ჩ. კასუმოვის არგუმენტაციაში ფაქტობრივად დანაშაულის ნიშნების ჩამოთვლა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ავტორი „ბრალეულობაში“ „დანაშაულის ჩადენაში ბრალეულობას“, ანუ დანაშაულის დადგენას გულისხმობს და რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი პირის მხოლოდ ბრალეულობას კი არ განსაზღვრავს, არამედ „დანაშაულის ჩადენაში ბრალეულობის“ საკითხს და ამდენად, ამ პრინციპის არსიდან გამომდინარე სრული დასახელება რუსულ ენაზე უნდა იყოს:

«Презумпция невиновности в совершении преступления»,

რაც ნათელს გახდიდა, რომ ბრალეულობასთან ერთად დანაშაულის ცნობის პირობებიც დგინდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ დანაშაულის დადგენა ფაქტობრივად ბრალეულობის დადგენაცა და რომ „უდანაშაულო — ვისაც დანაშაული არ აქვს“¹¹ ნიშნავს, რუსულიდან თარგმანში გვექნებოდა „დანაშაულის ჩადენაში უბრალობის (ბრალის არ ქონის) პრეზუმფცია“ ანუ „დანაშაულის არ ქონის პრეზუმფცია“ — „უდანაშაულობის პრეზუმფცია“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსულენოვანი მკვლევარი იძულებულია სიტყვათა ზემოთმოყვანილი წყობა გამოიყენოს, რადგან ქართულისაგან განსხვავებით მას არ შეუძლია „უდანაშაულო“ — დანაშაულის არმქონე (ვისაც დანაშაული არ ჩაუდენია) ერთი სიტყვით გამოსახოს. აქვე ჩაზი უნდა გავუსვათ იმ გარემობას, რომ რუსულ ენაზე, „უდანაშაულობის პრეზუმფცია“ მიზანშეწონილია იხმარებოდეს ზემოთმოყვანილი სრული დასახელებით.

ხოლო შემოკლების შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს მისი სწორი არსი¹².

ჩვენი აზრით, სწორედ იმ მიზეზით, რომ რუსულენოვან იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული პრინციპი ე. წ. შემოკლებული სახითაც იხმარება და

⁸ სსრკ უმაღლესი სასამართლოს სასხლის სამართლის საქმების კოლეგიის განმარტებათ „სახელმწიფოს არც ერთ სხვა ორგანოს სასამართლოს გარდა არა აქვთ უფლება დაადგინოს დანაშაულის ჩადენის „ფაქტი“ იხ. სსრკ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, № 2, 1979 წ. გვ. 43.

⁹ Կասумով Ч. С. «Презумпция невиновности в советском праве», Баку, 1984.

¹⁰ „ქართული ენის განმარტებითი დექსიკონი“, 1960, ტ. VI, არნ. ჩიქობავას რედაქციით.

¹¹ რუსულენოვან იურიდიულ ლიტერატურაში „ბრალეული დანაშაულის ჩადენაში“, რომ „დანაშაულის ჩამდენის — დამაშავეს“ ნიშნავს დასტურდება იმ ფაქტითაც, რომ შესაბამისად შეიცვალა რუსეთის უელრაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლი.

დღემდე არ არის შეტანილი სიცხადე „უდანაშაულობის პრეზუმფციის“ არსის ვა-
გბაში, კერძოდ, რის „უდანაშაულობის“ ოუ „არაბრალეულობის“ საკითხი წყდე-
ბა, ზოგიერთი ავტორი „უდანაშაულობის პრეზუმფციას“ პირის ბრალის არ ქრის-
(უბრალობის) ანუ „არაბრალეულობის“ საკითხს უკავშირებს, რის შედეგადაც
მათ ნაშრომებში მრავალ ლოგიკურ შეუსაბამობასა და წინააღმდეგობას ვაწყ-
დებით.

ნათქვამის საილუსტრაციოდ ბოლო წლებში გამოცემული შრომებიდან მოყ-
ვანილი მაგალითებიც იქმარებს.

ჩ. კასუმოვი თვის ნაშრომში აცხადებს რომ „უდანაშაულობის (არაბრა-
ლეულობის) პრეზუმფცია სისხლის სამართლის პროცესის ამა თუ იმ მონაწი-
ლის სებიექტური ვარაუდი კი არ არის ბრალდებულის ბრალეულობასთან და-
კავშირებით, არამედ ობიექტური სამართლებრივი დებულებაა, რომლის ძალითაც
კანონი თვლის ბრალდებულს არაბრალეულად და იგივეს ითხოვს ყველა დაწე-
სებულებისაგან, ორგანიზაციისაგან, თანამდებობის პირისა და მოქალაქისაგან“¹².
რამდენადაც ავტორი, როგორც ჩანს, აღნიშნულ პრინციპს ბრალეულობას უკავ-
შირებს და მასზე მხჯელობს, იქვე იძულებული ხდება მოყვანილი სიიდან გამო-
აკლოს გამომძიებული და პროკურორი, რასაც რატომდაც „ბუნებრივად“ მიიჩნევს.
რადგან „ხომ არ შეუძლია გამომძიებელს მისცეს პირი პასუხისმგებაში ბრალდე-
ბულის სახით და იმავე დროს თვლილებს მას არაბრალეულად. ზესტად ასევე არ
შეუძლია პროკურორს, რომელიც დაამტკიცებს საბრალდებო დასკვნას და მივა-
სასამართლოზე ბრალდების მხარდასაჭრეად, ჩათვალოს განსახული არაბრალე-
ულად“¹³.

თავად ავტორის მიერ შენიშნული ეს შეუსაბამობა (გამონაკლისიანი კანონი)
საკმაოდ იოლად გადაწყდებოდა „არაბრალეულობის“ ნაცვლად თუნდაც სრული
დასახელება რომ ებმარა (დანაშაულის ჩადენაში არაბრალეულობა) და მოვანი-
ლი ფორმულირება არაბრალეულობის ნაცვლად უდანაშაულობისადმი დაეკავში-
რებინა. ამ შემთხვევაში ცხადი გახდებოდა, რომ კანონი ბრალდებულს უდანა-
შაულოდ თვლის ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე, ხოლო გამომძიებელს
და პროკურორს სასებით ლოგიკურად შეუძლიათ მისცეს პირი სისხლის სამარ-
თლის პასუხისმგებაში ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სახით და ამავე დროს
კანონის მოთხოვნით ძალით ჩათვალოს ის უდანაშაულოდ, რადგან სებიექტურად,
შინაგანი რწმენის საფუძველზე ისინი იყენებენ ბრალეულობის წმინდა სამართ-
ლებრივ პრეზუმფციის და პირი ბრალეულად მიაჩნიათ. ამასთან, ბრალეულად
არა დანაშაულში, რომლის არსებობა მხოლოდ სასამართლომ შეიძლება დაადგი-
ნოს, არამედ სამართლდარღვევში, ქმედებაში, რომელიც სამართლწარმოების
ამ სტადიაზე ჰგავს დანაშაულს, შეიცავს დააშაულის ნიშნებს.

მეორე, ასევე უკანასკნელ პერიოდში გასრუქენებულ ნაშრომში, რომელშიც
საფუძვლიანადაა შესწავლილი უდანაშაულობის პრეზუმფციის განხორციელების
გარანტიები, ჯ. მაჟინიანი, ჩვენი აზრით, ს კავებით ლოგიკურად იზიარებს მო-
სახრებას, რომ „უდანაშაულობის პრეზუმფცია ა მოიქმებურ ხასიათს ატარებს“¹⁴ და
კანონს მიაჩნია პირი უდანაშაულოდ (არამედ ალეულად), მაგრამ აწყდება წინააღ-
მდეგობას ჩ. კასუმოვის ზემოთმოვანილ ფრმულირებაში და იძულებული ხდე-
ბა მხოლოდ „ნაწილობრივ“ დაეთანხმოს კი ლეგას და სცადოს აღმოფხვრის შე-
ნიშნული შეუსაბამობა. მისი აზრით „გამო მძიებელიც და პროკურორიც ბრა-

12 კასუმოვი ჩ. ს. დასახელებული ნაშრომი, გვ. 7.

13 იქვე, გვ. 8.

14 Дж. Р. Мажинян, Презумпция невиновности и гарантии ее осуществле-
ния, Ереван, 1989, стр. 13.

დულობის მტკიცებისას უნდა გამოდიოდნენ უდანაშაულობის (არაბრალეულოც უკუკი
ბის) პრეზუმეციის მოთხოვნიდან, რომ ბრალდებული შეიძლება ცნობილი ფქ
ნას ბრალეულად მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გამამტებუნებელი განაჩე-
ნით... მათი შინაგანი რწმენა ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ შეიძლება
წარმოადგენდეს საფუძველს მხოლოდ გამოძიების დასრულებულად ცნობი-
სათვის“¹⁵.

როგორც ვხედავთ, მაჟინიანი თავადვე აღმოჩნდა კასუმოვის მდგომარეო-
ბაში, როდესაც დასაშვებად მიიჩნია ბრალდებულის ბრალეულად ცნობა. მეცნი-
ერს თავისი მოსაზრების არგუმენტირებისათვის მოქავეს აღნიშნულ საკითხზე
ა. კობლიკოვის განმარტება: „გამომძიებელი, მომკვლევი ორგანო, როცა პირს
აძლევს პასუხისმგებაში ბრალდებულის სახით, ამით კი არ ცნობს მას ბრალეუ-
ლად დანაშაულის ჩადენაში (კანონი მას არ ანიჭებს ამ უფლებას), არამედ
მხოლოდ ბრალს დებს მის ჩადენაში“¹⁶, სადაც თავის მხრივ უდანაშაულობის პრე-
ზუმულციის მოთხოვნიდან გამომდინარე პრინციპული უზუსტობაა დაშვებული,
რადგან გამომძიებელი და მომკვლევი ორგანო ამ ეტაპზე ვერც ბრალეულად ცნო-
ბენ დანაშაულის ჩადენაში, ვერც ბრალს დასხებენ (ბრალდებულად ცნობენ) და-
ნაშაულის ჩადენაში, ვინაიდან თვით დანაშაულის ფაქტი მხოლოდ სასამართლო-
ზე შეიძლება დადგინდეს.

სწორედ „უდანაშაულობის პრეზუმულციის“ „ბრალეულობასთან“ დაკავშირე-
ბას მიჰყავს ჯ. მაჟინიანი ისეთ აშკარად ურთიერთგამომრიცხავ ფორმულირებამ-
დე, რასაც ვაწყდებით მის ნაშრომში.

ერთგან ის აცხადებს, რომ „ვფიქრობ, არ არის არსებითი სხვაობა პირს
უუწოდოთ ბრალეული დანაშაულის ჩადენაში ან დანაშაულებრივ ქმედებაში,
რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. ქმედება, რომელიც შეიცავს დანაშა-
ულის ნიშნებს, შეიცავს იმ ნიშნებს, რომლებიც მოცემულია სისხლის სამართლის
კოდექსის მოცემულ მუხლში“¹⁷. ხოლო მეორეგან იძულებული ხდება საწინააღ-
მდევო ამტკიცოს: „რომ ჩადენილია არა დანაშაული, არამედ ქმედება, რომელიც
შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. სასამართლო წარმოების ამ სტადიაზე არ შეიძ-
ლება ლაპარაკი დანაშაულზე და მისი კველა ნიშნის არსებობაზე, როგორც
უდავოდ დაღვენილ ფაქტზე“¹⁸.

ვინაიდან საუზნალო სტატია არ იძლევა უდანაშაულობის პრეზუმულციის
არსის „ბრალეულობის“ საკითხთან დაკავშირების მიზნით რუსულენოვან იუ-
რიდიულ ლიტერატურაში არსებულ შეუსაბამობათა ჩამოთვლის შესაძლებლობას,
შემოვიტარებულებით რუსულის გავლენით ქართულ გამოცემებში დამკითხულებული
უზუსტობების რამდენიმე მაგალითით.

სამწუხაროდ, უდანაშაულობის პრეზუმულციის პრინციპი ქართულ იურიდი-
ულ ლიტერატურაში რუსულიდან არის კალკირებული, რის შედეგადაც შესაბა-
მისად დამახინჯებული სახით აისახა საქართველოს წინა კონსტიტუციისა და
მთელ რივ საკანონმდებლო აქტებში¹⁹. ამასთან, თუ თავდაპირველი ფორმული-
რება კონსტიტუციაში და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სათანადო

15 იქვე, გვ. 33.

16 კობლიკოვ ა. ს. Осуществление правосудия только судом — конститу-
ционный принцип уголовного судопроизводства, «Советская юстиция», 1980,
№ 23, стр. 7.

17 ჯ. მაჟინიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 76.

18 იქვე, გვ. 46.

19 ცალკე მსჯელობის საგანია დღეს მოქმედ კონსტიტუციისა და ნორმატიულ აქტებში ას
პრინციპის ფორმულირების საკითხი.

მუხლში მოცემული იყო ასეთი სახით — „არავინ არ შეიძლება ცნობილი იქნება დანაშავედ დანაშაულის ჩადენაში და დაისაჯოს სისხლის სამართლის, წესით თუ არა სასამართლოს მიერ“²⁰. და სიტყვათა გარკვეულად უაზრო თანწყობას ქმნიდა (თუ გავიხსენებთ რომ დანაშავე დანაშაულის ჩამდენს ნიშნავს, გამოდიოდა, რომ „არავინ არ შეიძლება ცნობილი იქნეს დანაშაულის ჩადენაში“. მის ნაცვლად საკმარისი იქნებოდა დაგვეწერა „არავინ არ შეიძლება ცნობილი იქნეს დანაშავედ“), ზემოთ მოყვანილი კონსტრუქციიდან მაინც ჩანდა, რომ აღნიშნული პრინციპი უდანაშაულობას ეცნოდა.

შემდეგში ეს ფორმულირება, ჩვენი აზრით, რუსულისავე გავლენით, დღემდე უმეტესად ასეთი სახით იხმარება — „არავინ არ შეიძლება ცნობილი იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განჩენით და კანონის შესაბამისად“ . ამასთან, სამწუხაროდ, დღემდე ვხვდებით პრინციპთან დაკავშირებით „ბრალეულობა — დანაშაულში“ გაურკვევლობის შემთხვევებს. მაგალითად, 1989 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა „სასამართლო წყობილების შესახებ საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები“, რომლის მე-14 მუხლში ჩამოყალიბებული იქნა უდანაშაულობის პრეზუმუცია როგორც

«Обвиняемый считается невиновным пока его виновость...»²¹. რაც რესპუბლიკურ პრესაში ასე იქნა გადმოთარებული: „ბრალეული უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი დანაშაული არ დამტკიცდება...“²² ამის შემდეგ მიღებულ იქნა „საქართველოს რესპუბლიკის კანონი სასამართლო წყობილების შესახებ“, რომლის მე-15 მუხლში „უდანაშაულობის პრეზუმუცია“ მოცემულ იქნა შემდეგი სახეშეცვლილი ფორმულირებით: „ბრალეული უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განჩენით“²³.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა კრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწევებებში გამოქვეყნებული კოფილი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის დასკვნის ქართულ გარიანტში კონსტიტუციის 161-ე მუხლი ასე იყო გადმოცემული: „არავინ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, სანამ მისი დანაშაული...“ ხოლო «виновный в совершении преступления»

ერთ შემთხვევაში თარგმნილი იყო როგორც „დანაშავე დანაშაულის ჩადენაში“, მეორეგან კი „ბრალეული დანაშაულის ჩადენაში“. ასევე გაუგებარია «виновность лица в совершении деяния»-ს გადმოქართულება, როგორც „პირის დანაშაული ქმედობის ჩადენაში“²⁴.

აღნიშნულ თემაზე პოლემიკის აუცილებლობაზე, საკითხის დღემდე მოუგვარებლობაზე ნათლად მიგვანიშნებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ზოგადი დებულებების მე-3 მუხლით „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს,

²⁰ „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, 1971, მე-11 მუხლი.

²¹ Газ. «Известия», 15 ноября 1989 г.

²² იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1989 წლის 17 ნოემბერი, ანალოგიური სახით უურნ., „საბჭოთა მართალი“, 1989, № 12.

²³ იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1990 წლის 28 დეკემბერი.

²⁴ „სსრ სახალხო დეპუტატთა კრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწევები“, № 39 1990 წლის 26 სექტემბერი.

ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში“. განსახილველი პრინციპის პრინციპის სი მომდევნო მუხლში ძველი ფორმულირებითა მოცემული; „არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში...“ ხოლო მუხლის დასათაურებაში რატომდაც მხოლოდ ბრალეულობაა ნახსენები: „პირის ცნობა ბრალეულად და მისთვის სასჯელის დადება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად“.

თუმცა აღნიშნული კონსტრუქცია, ბრალეულობისა და სასჯელის დადების გაერთიანებით, ნათელყოფს, რომ ფორმულირება დამაშავედ ცნობის პირობებს გულისხმობს, მაგრამ არ იძლევა ცალკე ბრალეულობის საკითხის განსაზღვრის საშუალებას.

უდანაშაულობის პრეზუმეციის ქართულ ენაში დამკვიდრებულ ფორმულირებაში სიტყვების „დამნაშავე-დანაშაულის“ შეცვლა „ბრალეული-ბრალეულობით“ სალიტერატურო ქართულის მოთხოვნებით რომ იყოს განპირობებული და ორივე ტერმინი სინონიმებად იყოს გაცემული (ბრალეული-ბრალიანი, დამაშავე)²⁵ ამ შემთხვევაში ავტორები სტატიაში მოყვანილი არგუმენტების საფუძვლზე „ბრალეულს დანაშაულის ჩადენაში“ ისევე „დამნაშავეს“ ამჯობინებდნენ. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ პრინციპის ფორმულირების კონსტრუქციაში აღნიშნული ცვლილებები ტერმინთა შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებით არის გამოწვეული და „ბრალეულობა“ აქ იურიდიული მნიშვნელობით არის ნახმარი, რასაც ადასტურებს კიდევაც რიგ შეცნიერთა მიერ „უდანაშაულობის პრეზუმეციის“ პრინციპის ბრალეულობის საკითხთან დაკავშირება და მისი შესაბამისად მოხსენიება „არაბრალეულობის პრეზუმეციად“. მაგალითად, ა. შუმანაშვილის სტატიაში ვკითხულობთ, რომ „ამ დებულების (გულისხმობს და უწოდებს „არაბრალეულობის პრეზუმეციას“ – ა. კ.) თანახმად დანაშაულის ჩადენაში ბრალეულად ცნობა მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა“²⁶. იქვე კი ავტორი უნდა ხაზს უსვამს „დანაშაულის ჩადენაში ბრალეულსა“ და „დამნაშავის“ ცნებების იდენტურობას, როდესაც განმარტავს, რომ „თავდებქვეშ შეიძლება გადაეცეს მხოლოდ დამაშავე, დანაშაულის ჩადენაში ბრალეულად ცნობილი პირი“. იგივე ავტორი ბოლო დროს განსახილველ პრინციპს უკვე „უდანაშაულობის პრეზუმეციად“ მოიხსენიებს²⁷, მაგრამ ჩანს, რომ კვლავინდებურად პრინციპის არს ბრალეულობის საკითხს უკავშირებს, რის შედეგადაც ტექსტში ზოგჯერ ორივე ტერმინს ერთდროულად ხმარობს, ხანაც მხოლოდ „ბრალეულობას“ სჯერდება: „ბრალეული, ეს იგი ის, ვისაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში, ვინც კანონით დადგენილი წესით მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე დანაშაულის ჩადენაში მისი მონაწილეობა და ბრალეულობა არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით“; „სახელს უტეხს პიროვნებას, რომლის ბრალეულობა სასამართლოს არ დაუდგენია“; „არ ამტეიცოს ბრალეულობა თუ უდანაშაულობა“; „საბოლოოდ დაადგინოს და გადაწყვიტოს ბრალდებულის ბრალეულობის საკითხი, შეუფარდოს დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი სასჯელი“.

25 „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, თბ., 1986.

26 ა. შუმანაშვილი, აქტუალური პრობლემები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიხედვით; უკრ. „საბჭოთა სამართლია“, 1980, № 2, გვ. 34-35.

27 ა. შუმანაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმეცია, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 24 ივლისი.

ამრიგად, ა. შემანაშვილი განსახილველ პრინციპთან დაკავშირებით ცდილობს ორივე პოზიციის შერიგებას, მაგრამ პრეზუმუციას რომ „ბრალეულობას“ უკავშირებს, ამ გარემოებას ავტორი მრავალ წინააღმდეგობამდე მიჰყავს, რაზეც ამჯერად არ შევჩერდებით.

სხვა სტატიაში გ. ნაჭელებია მსჯელობას საფუძვლად უდებს, ჩვენი აზრით, სადაც ფორმულირებას: „არაბრალეულობის პრეზუმუციის თანახმად (სხვ კავშირის კონსტიტუციის 160-ე მუხლი) დანაშაულის ჩამდენი პირი ვალდებულია პასუხი აკოს არა დანაშაულის ჩადენის, არამედ ამ პირის მიმართ გამამტკუნებელი განახენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. უფრო მეტიც, დანაშაულის სუბიექტს სრული უფლება აქვს მიაჩნდეს თავი არაბრალეულია იქმდე, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მოქალაქის ეს კონსტიტუციური უფლება“²⁸. ამ ფორმულირებაში საკამათო ბევრია, მაგრამ ამჯერად ერთს შევნიშნავთ: ავტორს „არაბრალეულობის“ ნაცვლად „უდანაშაულობა“ რომ ეგულისხმა, შენიშნავდა, რომ სახელმწიფო სულაც არ არის ვალდებული დაიცვას „არაბრალეულობა“ და არც აკეთებს ამას, როდესაც პირს აძლევს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში ბრალდებულის სახით, ამასთან იცავს მის კონსტიტუციურ უფლებებს და პირს უდანაშაულოდ მიიჩნევს.

„უდანაშაულობის პრეზუმუციის“ პრინციპის ცნებისა და არსის უზუსტო გაგების შედეგად ავტორი მოყვანილ ნაშრომში მთელ რიგ წინააღმდეგობებს აწევდება. მაგალითად: „თუ სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია პირი, რომლის ბრალეულობა დადგენილია კანონიერი წესით, მაშინ სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა არა დანაშაულის ჩადენის მომენტიდან, არამედ გამამტკუნებელი განახენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან“, „თუ სისხლის სამართლში მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმუცია, ხოლო სისხლის სამართლის პროცესში – პირიეთ, არაბრალეულობის პრინციპი, მაშინ რანაირად შეიძლება მათ შორის ფორმა-შინაარსის დამოკიდებულება?“, „მაშასადამე, სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა დანაშაულის ფაქტიდანვე წარმოიშობა და მაშინ ამ ურთიერთობების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელმაც დანაშაული ნამდვილად ჩაიდინა და არა ის პირი, რომლის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში დადგენილია კანონიერი წესით“²⁹. (?—ა. კ.)

საკუთარ შეხედულებებს უდანაშაულობის პრეზუმუციის პრინციპის დასახელებისა და არსის თაობაზე გ. ნაჭელებია ავითარებს აღრე დასახელებულ ნაშრომშიც, სად ც ავტორი განსახილველი პრინციპის არს ბრალეულობას უკავშირებს. თუმცა მ ავალჯერ მხოლოდ „ბრალეულობა“ კი არა, „ბრალეულობა დანაშაულის ჩად ენაში“ აქვს მშედველობაში.

ჩვენი აზრით, არამართებულია ავტორის დასკვნები იმის თაობაზე, რომ „სასამართლო შეფასების სტადიამდე ბრალეულობაზე ლაპარაკი შეუძლებელია“ და „რაკი ამ ეტაპზე ბრალეულობაზე ლაპარაკი არ არის, მაშასადამე, არც არაბრალეულობის პრეზუმუცია ირღვევა“. როგორც უკვე ითქვა, სისხლის სამართლის საქმის წარმოების სასამართლომდელ სტადიაბზე სახელმწიფოს მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები (იყენებენ რა წმინდა სამართლებრივ ბრალეულობის პრეზუმუციას), ვარაუდობენ პირს ბრალეულად და აძლევენ მას სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, მაგრამ უდანაშაულობის პრეზუმუციის თანახმად ვალდებული არიან ჩათვალონ იგი უდანაშაულოდ.

²⁸ გ. ნაჭელებია, გაგების მეტოდის ზოგიერთი ასპექტი სისხლის სამართლის მეცნიერებაში, უკრნ. „საბჭოთა სამართლი“, 1989, № 10, გვ. 74.

²⁹ გ. ნაჭელებია, დასახელებული სტატია, გვ. 75-76.

ვერც დანაშაულის შემადგენლობას მივიჩნევთ უდანაშაულობის პრეზუმეციას საფუძვლად, ვინაიდან აღნიშნული პრინციპი უნდა მოქმედებდეს დანაშაულის არარსებობის შემთხვევაშიც, როდესაც რაიმე ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. უფრო მეტიც, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, უდანაშაულობას პრეზუმეცია ზოგჯერ ძალაში შედის სისხლის სემართლის საქმის აღძრამდეც, მაგალითად, სათანადო ორგანოში საჩივრის შესვლის მოქმედიდა.

ამრიგად, ვაჩვენეთ, რომ ქართულენოვანი, ისევე როგორც რუსულოვანი იურიდიულ ლიტერატურაში, განსახილველი პრინციპი უდანაშაულობის საკითხს განსაზღვრავს და მისი ბრალეულობასთან დაკავშირება მრავალ უზუსტობას იწვევს. ამდენად, მართებული იქნებოდა განსახილველი პრინციპის გამოსახატავად ტერმინი „უდანაშაულობის პრეზუმეცია“ გვეხმარა.

აღნიშნული პრინციპის „არაბრალეულობის პრეზუმეციის“ სახით მოხსენიება გაუმართლებელია შემდეგი გარემოებითაც: ერთი შეხედვით, თეორიაში აღიარებული დებულებიდან, რომ ბრალეულობა დანაშაულის შემადგენელი ნიშანია, რომ ბრალის გარეშე არ არსებობს დანაშაული და ბრალეულობაც საბოლოოდ სასამართლომ უნდა დაადგინოს, თითქოსდა უნდა გამომდინარეობდეს, რომ უდანაშაულობის პრეზუმეციის (რუსულიდან სიტყვა-სიტყვით თარგმანში „დანაშაულის ჩადენაში უბრალობის (ბრალის არ ქონის, არაბრალეულობის) პრეზუმეცია“) პრინციპი უდანაშაულობასთან ერთად პირის ბრალეულობაზეც ვრცელდება და პირი კანონის მიერ არა მარტო უდანაშაულობა, არამედ არაბრალეულადაც უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება „არაბრალეულობას დანაშაულის ჩადენაში“ ეს ასეც არის, მაგრამ მხოლოდ „ბრალეულობასთან“ დაკავშირებით საკითხი სრულიად განსხვავებულად წყდება.

მოქმედი კანონმდებლობით, სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ თანამდებობის პირებს (მოქვევი როგორი, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე) სუბიექტურად შინაგანი რწმენის საფუძველზე თვლიან რა, რომ კონკრეტულ პირს ბრალეულად ამდევენ სისხლის სამართლის პასუხისებაში ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსახულების სახით და ამდენად, ვერ ვიტყვით, რომ „არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნა ბრალეულად“ ან რომ პირი ითვლება „არაბრალეულად“.

ასევე არ შეიძლება მოქმედებდეს „არაბრალეულობის პრეზუმეცია“, როგორც სამოქალაქო სამართლის პროცესის ზოგჯერ, მაგალითად, ზიანის მიერნებით წარმოშობილ ვალდებულებებში, „ზიანის მიმდევნებელი თავისუფლდება ანაზღაურებისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის მიერნებაში მას ბრალი არ მიუძღვის“³⁰. ე. ი. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს სამართლებრივი გაგებით „ბრალეულობის პრეზუმეცია“ (ისევე როგორც ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში).

ამრიგად „არაბრალეულობის პრეზუმეცია“ არ შეიძლება იყოს არც სისხლის სამართლის პროცესში და არც სამოქალაქო სამართლის პროცესში მოქმედი ზოგადი პრინციპი, შესაბამისად ვერ იქნება აღიარებული, როგორც კონსტიტუციური პრინციპი, როგორადაც მას გ. ნაჭერისა და ა. შუშანაშვილი მიიჩნევენ.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ განსახილველი პრინციპის აღსანიშნავად ერთად-ერთ მართებულ ფორმად შეიძლება ვიზმართ ტერმინი „უდანაშაულობის პრეზუმეცია“.

30 „საქართველოს რესუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი“, თბ., 1977, გვ. 154, 457-ე მუხლი.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სიტყვა „პრეზუმუფიის“ (ვარაუდი) ხმარება მისი სამართლებრივი მნიშვნელობით (რაიმე ფაქტის დაშვება (ვარაუდი), სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო) თანაბარი უფლებით შეიძლება სამართლის სხვადასხვა დარგებში როგორც ბრალეულობის, ასევე არაბრალეულობის პრეზუმუფიის (ვარაუდის) სახით.

ხოლო რაც შეეხება უდანაშაულობის პრეზუმუფიას, თუმცა ზოგიერთი, მეცნიერი, მაგალითად, ნ. პოლიანსკი, მას სამართლებრივ პრეზუმუფიიად მიიჩნევს და ფორმულირებაში „ვარაუდს“ ამჯობინებს, ამ საკითხში ვიზიარებთ მეცნიერთა უმრავლესობის ფართოდ დამკიდრებულ პოზიციას, რომ უდანაშაულობის პრეზუმუფია არ წარმოადგენს სამართლებრივ პრეზუმუფიას, „ის ვარაუდი კი არა-სამართლებრივი დებულებაა“³¹. უდანაშაულობის პრეზუმუფია საყოველთაოდ აღიარებული, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობად ქცეული, მხოლოდ სისხლის სამართლის პოლცესში მოქმედი პრინციპია და სიტყვა პრეზუმუფია მასში „ვარაუდის“ მნიშვნელობით კი არ იხმარება, არამედ როგორც სიტყვა „თვლის“ (კანონი „თვლის“ და არა ვარაუდობს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემულ პირს უდანაშაულოდ).

ცალკე მსჯელობის საგანს შეადგენს ამ საკითხზე გ. ნაჭებიასა და ა. შუშანაშვილის პოზიცია, რადგან თუ პირველი სიტყვა „გულვებს“ ხმარობს, მეორე აცხადებს, რომ „სამართლებრივი პრეზუმუფია არის ნორმატიული დებულება, რომელიც არსებულად, დადგენილად მიიჩნევს ამა თუ იმ ფაქტს, ვიდრე არ დამტკიცდება საწინააღმდეგო და უდანაშაულობის პრეზუმუფიას ამ კონტექსტში განიხილავს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ტერმინი „უდანაშაულობის პრეზუმუფია“ განსახილველი პრინციპის აღსანიშნავად დამკიდრდა, როგორც რომის სამართლიდან ინკვიტორულ პოლცესებსა და ლიქტატორულ, არადემოკრატიულ სისტემებში დანერგილი „დანაშაულობის პრეზუმუფიის“ საპირისპირო პრინციპის დასახელება და სწორედ „დანაშაულობის პრეზუმუფია“, „დამნაშავე“ იყო პირველადი და არა როგორც გ. ნაჭებია თვლის, რომ „ტერმინი „უდანაშაულობის პრეზუმუფია“ ლოგიკურად მოითხოვს ტერმინი „დამნაშავეს“, რაც სავსებით ლოგიკურად ჩანს“³².

ამგვარად, წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად ვცადეთ გამოვეძებნა საფუძვლები „უდანაშაულობის პრეზუმუფიის“ ცნებასთან დაკავშირებით ქართველ სამართალდცოდნეთა შორის სერთო აზრის გამოსამუშავებლად.

³¹ გ. ჩანგული, დასახელებული ნაშრომი, გვ. 93.

³² გ. ნაჭებია, აღნიშნული სტატია, გვ. 38.

ნაზი არონია

სასჯელთა სახეები ქველ ქართულ სამართალში

სასჯელი, როგორც სახელმწიფოს იმულებითი ღონისძიება, კლასობრივი საზოგადოებრივი წყობილების დროს წარმოიშვა და ჩამოყალიბდა, როგორც წესი, იგი ყოველთვის იყო რეპრესიული ხასიათისა და გამოიყენებოდა იმ პირთა მიმართ, რომლებიც ხელყოფნები არსებული საზოგადოების ინტერესებს. სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში, სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა პერიოდში, სასჯელის არსი და მიზანი იყო დაშინება ან ჩადენილი დანაშაულისათვის სამაგიეროს გადახდა. კერძოდ: ბრალის გამოსყიდვა ან სახელმწიფოსათვის მიუღებელი ელემენტების დათრგუნვა, იზოლაცია და სხვა. სასჯელთა პრინციპი დღესც თითქმის ასეთივე.

სისხლის სამართლის მიხედვით სასჯელი თავისი შინაარსით დამნაშავე-სათვის გარკვეული ტანჯვის მიყენება, მისი პირადი და ქონებრივი უფლებების შეზღუდვა, რომელიც განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით და ბრალეულის პიროვნების გათვალისწინებით თუმცა, ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან ადამიანის ღირსების შეღავა სასჯელის მიზანს არ წარმოადგენს. დაახ, სასჯელის მიზანი არ არის სამაგიეროს მიზღვა ჩადენილი დანაშაული-სათვის, სასჯელის მთავარი ამოცანაა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია (აღზრდა-გამოსწორება) და მისგან რაიმე ახალი დანაშაულის აცდენა (ზოგადი ან კერძო პრევენცია).

სიტყვა „სასჯელი“ ძველ ქართულში ნიშნავდა სამართალს, ბჭობას (გასასამართლებრელ, განსასჯელ საქმეს) და ეს ტერმინი რამდენიმე მნიშვნელობით იხმარებოდა. იგი აღნიშნავდა სამსჯავროს, სატანჯველს, განაჩენს და დასჯასაც. ადრეული ქართული სამართლის წიგნში (ბაგრატ კურაბალატის სამართლი) სასჯელი დანაშაულის, შეცოდების ცნებასთან იყო გათანაბრებული. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა იგი XIII-XIV საუკუნის უპირველეს სამართლის ძეგლში (ბექა-ალბურდას სამართლის წიგნი), სადაც სასჯელის მნიშვნელობით იხმარებოდა სიტყვები „პატიჟი“, „საპატიჟო“, „დასაურვებელი პატიჟი“, „საუპატიო“.

სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „საშჯელი-სამართალი. საშჯელი უკუ არს სიტყვა მოვლინებული არაქმნისათვის ქმნადთა, პატივითა ვიღრე მსმენელთათვის, ხოლო პატივთა ბრძანებულთა წარმსმენელთათვის“. ე. ი. სასჯელი ანუ სამართალი გაჩენილია ჩასადენელთა არჩადენისათვის; იგი პატიჟია — თუ უსმენ, ხოლო, პატიჟია (სასჯელი) თუ უგულებელყოფ დადგენილ

წესსო. მაშასალამე, „სასჯელი“ ქველ ქართულში სამართალს ნიშნავს, სახული კი აღინიშნება სიტყვით „პატიჟი“.

ქართული ფეოდალური სამართლის სასჯელთა სისტემა, როგორც ადრეული, ისე გვიანდელი პერიოდისა, საკმაოდ შეუსწავლელია, სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული არ არის სასჯელთა მთელი რიგი სახეები, მათი წარმოშობის საფუძვლები, გაუშუქებელია მათი შინაარსი და ქართული თანამედროვე სისხლის სამართლის სასჯელთა სისტემის და სასჯელთა ზოგიერთა სახეების ორგანული კავშირი იმ საწყისებთან, რომელიც ჩაისახა ადრე თუ გვიანდელი ურთიერთობებში ადრე დამკვიდრებული პრიმიტიული და განუვითარებელი სამართლისათვის დამახასიათებელი შერისძიების ანუ ტალიონის პრინციპი — „თვალი, — თვალის წილი, კბილი — კბილის წილ“.

ჩვენი პუბლიკაცია წარმოადგენს მოკრძალებულ ცდას შეძლებისდაგვარად გავაშუქროთ აღნიშნული საკითხი.

ფეოდალურმა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ თანდათან განდევნა სამართლებრივ ურთიერთობებში ადრე დამკვიდრებული პრიმიტიული და განუვითარებელი სამართლისათვის დამახასიათებელი შერისძიების ანუ ტალიონის პრინციპი — „თვალი, — თვალის წილი, კბილი — კბილის წილ“.

ამ პერიოდის კანონმდებელი შერისძიებას უკევ დანაშაულებრივ მოქმედებად თვლის და სამართლებრივ სანქციას აწესებს მისთვის. მართლია იგი დანაშაულს ჯერ კიდევ განიხილავს, როგორც დაზარალებულის მიმართ ჩადენილ კერძო ბოროტებას, მაგრამ ის გარემოება, რომ ამ ბოროტებისათვის სამაგიეროს მიზღვას, დასჯას უკვე თვით ხელისუფლება (სამეფო თუ საგვარეულო) იღებს ხელთ, მიუთითებს შურისძიების პრინციპის დათრგუნვასა და სასჯელის საჯარო პრინციპის განმტკიცებაზე.

ადრეულდალური ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით (თამარ მეფის წინახანის კანონიკური სამართალი, XI საუკუნის ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი, XIII-XIV საუკუნეების ათაბაგთა ერისთავების ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი, XIV საუკუნის სამართლის წიგნი — გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“, გვიანდელი პერიოდის — XVIII საუკუნის სამართლის კოდექსი — ვახტანგ VI სამართალი) სასჯელები ძირითადად ქონებრივი ხასიათისაა. სისხლის სამართლის დანაშაულისათვის სასჯელებად დაწესებულია ქონებრივი საზღაური, რასაც დამნაშავე უხდის დაზარალებულს. ეს საზღაური განისაზღვრება, როგორც ჩანადენის ხასიათითა და სიმძიმით, ასევე დაზარალებულის წოდებრივი-ქონებრივი მდგომარეობით.

ძეგლი ქართული სამართლის მიხედვით დაწესებულ ძირითად სასჯელს სისხლის სამართლის დანაშაულისათვის „სისხლი“ ეწოდებოდა.

„სისხლი“ არის ქონებრივი საზღაური, რომლის დაურვება (მიზღვა, გამოსყიდვა) ხდებოდა ფულადი ან ქონებრივი სახით ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით. იგი სასჯელის ძირითადი სახეა. „თვით დანაშაულებისათვის დამნაშავეს კანონით თავისი სასჯელი პერინდა დანიშნული, რომელიც აუცილებლად უნდა მოქადა“ (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი). ყველა დანაშაულისათვის სასჯელის ძირითად და საყოველთაო სახეს „სისხლი“ წარმოადგენდა. ყველა დამნაშავეს სისხლი უნდა ეზღო, მაგრამ გარდა სისხლის დაურვებისა, რაც კლასიფიცირებული იყო ჩანადენის ხასიათის, მისი სიმძიმის, დაზარალებულის უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ქართული სამართალი იცნობდა სასჯელის სხვა სახეებსაც: „პატიჟი“, „გერში“, „სანახშირო“, „მამულის დაჭირვა“, „შეჩვენება-შერისხვა“, „გარდახვეწა“, გა-

შაწილებული სასჯელებისა და სიკვდილით დასჯის სხვადასხვა სახეები ჰქონია გრძელებული სხვა.

სისხლის დაურვება გულისხმობს „სისხლის“ ანუ საზღაურის წინასწარ დაწესებულ ტარიფს, რომელიც ადგენს თუ რამდენი უნდა დაუურვოს დამნაშავემ დაზარალებულს ჩადენილი დანაშაულისათვის. რაც უფრო მაღლა იდგა დაზარალებული წოდებრივად და ქონებრივად, მით უფრო მეტი სისხლი იყო დაწესებული. გადასახდელი საზღაურის ოდენობა განისაზღვრებოდა ძირითადად ფულით. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი სისხლის ოდენობას განსაზღვრავდა „ოფრით“ ანუ ვერცხლის ფულით.

როგორც ბექა-აღბუღას სამართლის, ასევე ვახტანგ VI სამართლის წიგნის მიხედვით (გარდა მცირეოდენი ცვლილებებისა), სისხლის დაურვება ასეთი ფორმულით წარმოებდა: დიდებულის სისხლი უდრიდა 40 ათას თეთრს, პირველი აზნაურისა — 20 ათასს, მცირე რიგის აზნაურისა — 12 ათასს, საპატიო ვაჭრისა — 6 ათასს, მსახურისა და სიკეთებული ცნობილი გლეხისა — ათასს და ყმა გლეხისა — ოთხასს.

როგორც აღვნიშნეთ, „სისხლის“ ანუ სასჯელის კლასიფიცირება ხდებოდა არა მხოლოდ დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით, არამედ ჩანადენის ხასიათის, მისი სიმძიმის — ხარისხის და განსაკუთრებით დანაშაულის ჩადენის ადგილის გათვალისწინებით, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აღნიშნული გარემოებანი მიუთითებს სამართალშემოქმედებით საქმიანობის მაღალ კულტურაზე.

✓ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი საზღაურს აწესებს უპირველესად დაზარალებული პირის გვარისა და ღიასების მიხედვით, მაგრამ ამასთან ერთად კანონმდებელს მხედველობაში აქვს ისც, თუ რამდენად გამოიხატა დამნაშავეს მოქმედებაში ბოროტი განზრახვა. იგი განასხვავებს ერთიმეორისაგან დანაშაულებებს, რომლებიც ჩადენილია „მტრობით“, „ღალატით“ ან „ბედითითა ხელით“ ე. ი. ნებით, განზრახვათ, ასევე დანაშაულის ჩადენას „უბედოთ“ ე. ი. უნებლიერ და ა. შ. რამდენადაც უფრო აშკარაა დამნაშავის ბოროტი განზრახვა, მიღენად უფრო მძიმეა მისი სასჯელი.

ასე მაგალითად: ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით ერთნახევარი „სისხლის“ გადახდაა დაწესებული, როცა დანაშაული ჩადენილია ბოროტი განზრახვით („ბედითითა ხელითა დამართებიაო“). ხოლო იმ შემთხვევებში, როცა დანაშაულის ჩადენას ახლავს („ზედა დასხმა“) — თავდასხმა და ღალატი, სასჯელად დაწესებულია ორგეც „სისხლი“.

ჯერ კიდევ XI საუკუნის ქართულ სამართალში არსებობდა დღემდე საყველთაოდ მიღებული პრინციპი — სასჯელის განსაზღვრა ჩანადენის სიმძიმისა და ხასიათის გათვალისწინებით, რაც თავისთვალი მიუთითებს ქართული სამართლის განვითარების მაღალ დონეზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბექა-აღბუღას სამართლი, „კათალიკოზის სამართლა“-ის მსგავსად აწესებს ორგეც „სისხლს“ იმ შემთხვევებში, როცა დანაშაულს თან ახლავს დამამძიმებელი გარემოებანი — თავდასხმა, ღალატი, მრუშობა, მკვლელობა გამარცვის მიზნით, ასევე მძიმე მიერ მძიმე მოკვლა ან ნათესავის მკვლელობა და ა. შ. დანაშაულის ისეთ არაკვალიფიციურ შემთხვევებში კი, როცა იგი ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე, კანონმდებლობა აწესებს სრულ (ერთჯერად) „სისხლს“. საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლისათვის (მკვლელობის საფასურად) დადგენილი იყო შესაბამისი სრული „სისხლი“ — დიდებულისა, აზნაურისა, ვაჭრისა, მსახურისა და ყმა გლეხისა. სრული „სისხლის“ დაურვებას ითვალისწინებდა ის შემთხვევაც, თუ თავდასხმის დროს ფეხმძიმე ქალს

ბავშვი მოწყდებოდა; ასევე ისჯებოდა ის „თუ ვინც ეპლესიას გასტეს“ და პატრონს სცემს“ (ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი მუხ. 109-ე, სავანც ვისმე უსამართლოდ დასმენს“ (მუხ. 132-ე), „სხვისი ცოლის მოტაცებისათვის“ (მუხ. 133-ე) და სხვა.

შედარებით მსუბუქი ხასიათის დანაშაულისა და დანაშაულის მცდელობისათვის კი დაწესებული იყო ნახევარი „სისხლი“. „გაცი რომ კაცას ომში სძლებეს გამარჯვება ეყოფის, მაგრამ თუ გაძარცვას და სახლში წაიყვანს, სისხლის ნახევარი დაუურვოს და აბჯარ-ნაძარცვი დაუბრუნოს“.

ბაგრატ კურაპალატის სამართლი იცნობს აგრეთვე მესამედ „სისხლს“. იგი წესდებოდა უფრო მცირე მნიშვნელობის დანაშაულისათვის. მაგ. მღვდლის გინებით შეურაცხყოფა, ეკლესიის „ზღუდეს გარეთ“ თავდასხმა და რაიმე ქონების გატაცება და სხვა.

„სისხლის“ ზღვა ანუ ქონებრივი საზღაურის გადახდა დაშვებული იყო როგორც ფულით, ასევე სხვა საქონლით. შესაძლებელი იყო აგრეთვე საზღაურში ადამიანის მიცემაც. ასეა დაშვებული ბექა-აღუბლას სამართლში და ვახტანგ VI სამართლის წიგნში. ამ უკანასკენელში კანონმდებელი აღნიშნავს რა ფულის სიმცირეს ქართლში, შესაძლებლად სცნობს „სისხლის“ ანაზღაურებას საქონლით. ასეთ შემთხვევაში ქონებრივი საზღაურის უმთავრეს ფორმას, ჩვენი ქვეყნის ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლებით, პირუტყვი მიიჩნეოდა, რომლის ფასი განსაზღვრული იყო კანონით. „სისხლის“ დაურვება შეიძლებოდა აგრეთვე ნივთებითაც — იარაღით, რკინით, რგალით და სხვა (ვახტანგ VI სამართლის წიგნი — მუხ. 18-ე, 19-ე, 22-ე).

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის მიხედვით (113-ე, 114-ე, 116-ე, 130-ე, 148-ე, 149-ე, მუხლები) „სისხლის“ დაურვების ანგარიშში დაიშვებოდა აგრეთვე ადამიანის მიცემა. ხშირად დაწესებული იყო თვით დამნაშავის გადაცემა, „ხელთ მიცემა“ დაზარალებულისათვის. მეკობრე-მტაცებელი, რომელმაც ეკლესია გატეხა, დაზარალებულს უნდა გადასცემოდა დამნაშავის პატრონის მიერ — „სისხლის“ საფასურში. ცხენის ჯოგის წასხმის შემთხვევაში დამნაშავეს თორმეტი გლეხი უნდა დაეურვებინა. „თუ პატრონი თავის ვასალს (ანუ ქმას) თვითნებურად გაძარცვას — უნდა თორმეტი გლეხი დაურვოს“.

როგორც ადრეული პერიოდის სამართლის კრებულები (ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი, ბექა-აღუბლას სამართლის წიგნი, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“) ასევე უფრო გვიანდელი — ვახტანგ VI სამართლის წიგნი, სისხლისსამართლებრივი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გვერდით ცნობენ კოლექტიურ პასუხისმგებლობასაც. კერძოდ: „სისხლი მესისხლესთვის“ დამნაშავეს უნდა ეზღო, მაგრამ თუკი მას არ შეეძლო დაწესებული ნიჩრის, წესის, ნირმის მიხედვით „სისხლის“ გადახდა, მაშინ ეს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მის ოჯახს, ნათესავებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია ის გარემოება, რომ როგორც ადრე-ფულიდალურ, ასევე გვიანდელი პერიოდის სამართლის ძეგლებშიც დანაშაული განიხილებოდა კერძო ხასიათის ბოროტმოქმედებად და ამდენად დამნაშავის მიერ დაზარალებულისათვის „სისხლის“ დაურვების შემდეგ სასჯელი აღსრულებულად და საქმე დამთავრებულად ითვლებოდა.

როგორც ჩანს, საუკუნეთა განმავლობაში ეს პრინციპი მკვეთრად განვითარდა და მტკიცებ ჩაჯდა ჩვენი ხალხის მართლშეგნებასა და ფსიქოლოგიაში, რამდენადაც დღესაც, როცა დასჯის პროცესში უმთავრესია სასჯელის საჯარო (სახელმწიფო) დანიშნულება, (როცა საქმე გვაქვს პიროვნების წინააღმ

დეგ მიმართულ დანაშაულთან) დამნაშავე და მისი ახლო ნათესაობა ძირი-
თად მომენტად მაინც დაზარალებულის პოზიციას თვლიან და დიდი სიჭრო
ხილით ცდილობენ მასთან შერიცხას და მისთვის რაიმე საზღაურის გადაცემას.

ძველი ქართული სამართლი გარდა „სისხლის“ იცნობს სასჯელის გან-
საკუთრებულ სახეს, რომელსაც „პატიჟი“ ეწოდება.

„პატიჟი“, როგორც სასჯელის სახე — არის ქონებრივი საზღაური და
ჯარიმა (ისევე „სისხლი“), რომელიც დაწესებული იყო მეფის, ხელისუფლე-
ბის, პატრონის სასარგებლოდ იმ „საუპატიო“ საქმეთა გამო, რომელმაც შე-
ურაცხეო საჯარო ხელისუფალთა წარმომადგენლები ან როცა დანაშაული ჩა-
დენილი იყო განსაკუთრებულად საპატიო ადგილას — ეკლესიაში, ხაზინაში,
ჯოგში და ა. შ.

ბექას სამართლის წიგნის 33-ე მუხლის თანახმად თუ პატრონის მფარვე-
ლობაში მყოფი კაცი — „მინდობილი კაცი“, — დალატით ვინმეს ციხესა და
სახლ-კარს წაართმევდა და ამას პატრონი ან მაწყვერელი (მაწყვერის ეპისკო-
პოსი) გაიგებდა, დამნაშავეს წაღებული ქონებაც უნდა დაებრუნებინა და ორი
იმ უთავადესი კაცის „სისხლიც“ დაუურვებინა დაზარალებულისათვის, რომე-
ლიც შემთხვევის ადგილს ესწრებოდა და ამასთან, პატრონისა და მაწყვერ-
ელისათვის „საპატიჟო“ უნდა გადაეხადა.

როგორც უკვე აღვნიშეთ, ქართული სამართლი მკაცრად იცავდა საზო-
გადო თავშეყრის ადგილების — ეკლესის, ხატობის, ხაზინის, ასევე ჯოგის ავ-
ტორიტეტს, ღირსებასა და სიწმინდეს. ამ საპატიო ადგილებში დანაშაულის
ჩადენისათვის „სისხლის“ ე. ი. სასჯელის ოდენობა გაცილებით მაღალი იყო.
ასე მაგ: სასაფლაოზე თავდასხმისათვის ვახტანგ VI სამართლის კოდექსი სამ
„სისხლს“ აწესებს: „ერთი საფლავისათვის, ერთი სიკვდილისათვის და ერთი
მიხდომისათვის. და წანაღები უკლებლივ, ჭრილობისა აგრეთვე“ (მუხ. 50-ე).

ბაგრატ კურაპალატის სამართლის მიხედვით „საპატიჟო“ (მოსარიდებე-
ლი) ობიექტების ხელყოფისათვის სპეციალური, ზუსტად განსაზღვრული ჯა-
რიმა „საუპატიო“ იყო დაწესებული — (115-ე, 121-ე, 141-ე, მუხლები). 141-ე
მუხლის თანახმად — თუ ბოროტმოქმედი ჯოგს წაასხამს, „რაზომისაცა სუ-
ლისა იყო, მამაცისა — ორი ათასი, დაცისა — სამი ათასი და ჯოგი უკლებ-
ლივ შეექცეს“. ე. ი. დაზარალებულს ჯოგი მთლიანად უნდა დაბრუნებოდა,
ხოლო დამნაშავეს დადგენილი ჯარიმა უნდა გადაეხადა.

„საუპატიო“, როგორც საჯარო ხელისუფლებისათვის განკუთვნილი ჯა-
რიმა, გათვალისწინებულია ვახტანგ VI სამართლის წიგნშიც. თუ სასამართლო-
ში საქმის გარჩევის დროს მომჩინევანი მოპასუხეს ფიზიკურ შეურაცხყოფას, მია-
ყენებდა, დამნაშავეს დაზარალებულისათვის კანონით დადგენილი „სისხლი“
უნდა დაუურვებინა და გარდა ამისა მოსამართლისათვის „საუპატიო“ უნდა მი-
ერთმია — „რომე ურიგო უკადრებია“ (267-ე მუხ.).

მას მერე, რაც დამნაშავე დაწესებულ სისხლს დაუურვებდა — ე. ი. ქო-
ნებრივ საზღაურს გადაუხდიდა დაზარალებულს, მასვე უნდა გადაეხადა „საპი-
რო“, რაც იყო საჯარო (საერო) ხელისუფლებისათვის განკუთვნილი ჯარიმა
და იმავდროულად დამნაშავეს მხრიდან მონაბიების, დაზარალებულთან შერიგე-
ბის სურვილს გამოხატავდა. კველაფერი ეს მომდინარეობდა მოკლულის სუ-
ლის შემორიგების, შესანდობრის გამოთხოვის რიტუალიდან.

ცნობილია, რომ მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, „სისხლის“ დაგროვებამ-
დე დაწესებული იყო ქონებრივი გადასახდელი, რომელიც ნიშნავდა მხარეთა
მორიგებას, დაზავებას, რასაც „სანახშირო“ ეწოდებოდა, სულხან-საბა ორბე-
ლიანის განმარტებით — „სანახშირე ესე არს — რა მესისხლენი დაზავდნენ,

პირველად სანდო რამე მისცენ სისხლის გადახდამდე“ დაზარალებული თუ მის
იღებდა „სანახშიროს“ — ეს ნიშნავდა, რომ ის აღარ იძიებდა შეს და მა
იღებდა დამნაშავისაგან დაწესებულ საზღაურს ანუ „სისხლს“.

სასჯელის ეს სახე ძირითადად გვხვდება სამართლის აღრეულ ქავლებ-
ში — ბექა-აღბუღას სამართალსა და კანონიკურ სამართალში. კანონიკური სა-
მართლის 162-ე მუხლი მიუთითებს ისეთ მძიმე დანაშაულზე, როგორიცაა ძმის
ძიერ ძმის აშკარად ან ფარულად თვალის დაწვა, ან „რაიმეს ასოს მოკუეთა“.
ასეთ შემთხვევაში დამნაშავემ დაზარალებულს „სისხლის სრული და სანახში-
რო დაურვოს“. ა

ამრიგად „სანახშირო“ მოქიშპე მხარეთა შერიგების აქტი იყო, რამდენა-
დაც მოპირდაპირე მხარეთა ასეთი დაზავება მძიმე დანაშაულის დროს ხდებო-
და. ეს კი შურისძიებისა და სისხლის აღების წინააღმდეგ იყო მიმართული.
ისიც ცხადია, რომ „სანახშიროს“ წარმოშობა ძევლი გვაროვნული ადათის
გაქრობისა და კომპოზიციების, ანუ დაურვების სისტემის შემოღების პერი-
ოდს უკავშირდება. ა

ქართული სამართალი იცნობს აგრეთვე სასჯელთა ისეთ სახეს, რასაც
„გერში“ ეწოდებოდა. სიტყვა „გერში“ ნიშნავდა ჭრილობას, დაჭრას, და-
კოდვას.

სულხან-საბა ორბელიანი „გერშის“ მნიშვნელობას ასე განმარტავდა: „გერ-
ში — ნაკოდთა მცირე სისხლია“. ე. ი. ეს არის ქონებრივი საზღაური, „სის-
ხლი“. დაჭრისათვის „გერში“ ეკისრებოდა დამნაშავეს დაზარალებულის სასარ-
გებლოდ „სისხლთან“ ანუ ძირითად სასჯელთან ერთად.

„გერშის“ ოდენობა დამოკიდებული იყო „სისხლის“ ანუ ძირითადი სას-
ჯელის ზომაზე, რაც თავისთვად გამომდინარეობდა, როგორც უკვე ზემოთ აღ-
ვნიშნეთ, მიყენებული ზიანის ხარისხისაგან, დაზარალებულის წოდებრივ-ქო-
ნებრივი მდგომარეობიდან.

„გერში“ ანუ სასჯელი სხეულებრივი დაზიანებისათვის, მკაცრად და ზუს-
ტად იყო განსაზღვრული თითქმის სათითაოდ სხეულის ყველა ნაწილის და-
ზიანებისათვის. ასე მაგ: ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედივთ ხელის
ან ფეხის მოკვეთისათვის დამნაშავის — „სისხლის“ მესამედი უნდა გადაეხადა,
ხოლო თვალის წამოგდებისათვის — „სისხლის“ მეოთხედი.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის მიხედვით დაწესებული „გერ-
ში“ ანსხვავებდა „წაპარვით“ სხეულის დაზიანებას, იგი უფრო მძიმე დანა-
შაულად ითვლებოდა და რა სიმძიმისაც არ უნდა ყოფილიყო მიყენებული და-
ზიანება, „გერში“ უფრო მძიმე იყო, ვიდრე ახლით მიყენებული ჭრილობის დროს
ასე მაგ: „წაპარვითა თუალისა ცურა, ხელ-ფეხისა დაგემა, პირისა დადი —
ესე სამი — სისხლისა ნახევარი არს“. (მუხ. 124-ე), მაგრამ თუ ეს ჭრილო-
ბანი „წაპარვით“ არ იყო მიყენებული — „გერში“ შესამჩნევად კლებულობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის ძეგლებში (ბაგრატ კურაპალატის სა-
მართლის წიგნი, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“, ბექა-აღბუღას სამა-
რთლის წიგნი) სიტყვა „გერში“ იხმარებოდა არა მხოლოდ ჭრილობისათვის
დადგენილი სასჯელის მნიშვნელობით, არამედ თვით მიყენებული ჭრილობის,
ჩადენილი სხეულებრივი დაზიანების, ჩადენილი დანაშაულის მნიშვნელობითაც.

ასე მაგ: ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში ასეა ნათქვამი: „გერში
როგორიცა აჩნდეს“, „დაკოდილთა საგერშო აჩნდეს“. ასეა გიორგი ბრწყინვა-
ლის „ძეგლის დებაშიც“ — „ვისაც პირსა ზედა გერში აჩნდეს ანუ ცხვირი მო-
ეკუეთნეს“, „თუ გერში სად საჩინოდ იყოს“. ა

ის გარემოება, რომ გარდა „სისხლისა“, სამართლის ეს კოდიფიცირებული ქრებულები ანსხვავებენ სასჯელებს სხეულებრივი დაზიანებისათვის და მათ-თვის დაწესებულია ჩანადენის შესაბამისად იმ დროისათვის აღექვატური სასჯელი, მიუთითებს კანონმდებლობის განვითარების მაღალ კულტურაზეა გარდა ძირითადი ქონებრივი სასჯელისა, ქართული სამართალი იცნობდა დამატებითი სასჯელის სახეებს. ესენი იყო: ნაპარევის ორგეცი საზღაური, ექ-სორია-გაძევება, შეჩვენება-შერისხვა და სხვადასხვა გამაწბილებელი სას-ჯელები.

აღნიშნული სახეები და მათი წარმოშობის ისტორია მოითხოვს ღრმა მეც-ნიერულ შესწავლა-გაშუქებას, რაც ჩვენი შემდგომი კვლევის საგანია.

კამატ ფულიანი

სოლომონ დოდაშვილი და ქართული ჩვეულებითი სამართალი

დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური, სამართლებრივი, ეროვნული, ქულტურული, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა იმას გვავალებს, რომ განსაკუთრებული ყურადღებით შევისწავლოთ თავისი შინაარსით ქართული ეროვნული პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ისტორია. ქართული ეროვნული პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ისტორიის ახლებურად გააზრება და გათვითცნობიერება კი იმის სამუალებას მოგვცემს, რომ უფრო ადგილად დავძლიოთ ის წინააღმდეგობები, რაც შეიმჩნევა დღევანდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქართულ სამართლებრივ აზროვნებაში. თუ გვინდა სწორი გზით ვიაროო, ალბათ, გამოჩენილი ქართველი ფილოსოფისების, იურისტებისა და ისტორიკოსების ფასდაუდებელი ნაშრომების ახალი კუთხით შესწავლა და გამოქვეყნება უნდა გახდეს ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერების წარმომადგენელთა უპირველესი საზრუნავი.

ჩვენი ცდაც, წარმოვადგინოთ მე-19 საუკუნის ცნობილი ქართველი მოაზროვნის, განმანათლებისა და ფილოსოფოსის სოლომონ ლოდაშვილის სამართლებრივი შეხედულებები ქართულ ჩვეულებით (აღათობრივ) სამართალზე, სწორედ ამ კეთილშობილურ მიზანს ემსახურება.

ცნობილია სოლომონ დოდაშვილის უადრესად საინტერესო მოსახრებები ფილოსოფიურ პრობლემებზე, რელიგიაზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე, სამართალზე, სოციალურ ყოფაზე და ამდენად ზედმეტი არ იქნება თუ აქვე ზოგადად ჩამოვთვლით მის ფილოსოფიურ, ლიტერატურულ და სამართლებრივ მემკვიდრეობას. მათგან უპირველესად უნდა აღინიშნოს: „ლოგიკა“, „ქართული გრამატიკა“; „რიტორიკა“; მოთხრობები — „უინვრა“, „ელენა“, „ანეკდოტი ანუ ღირსახსოვარი შემთხვეულება“, „ჰარუნ-ალ-რაშიდი და მოხუცი“, „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა“ ანუ სიტყვიერებისა“.

„ქართული ისტორია“, „შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოისათა“. ჩვენს ხელთა აკრეთვე შეგობრებისადმი, თანმომაზრებისადმი მიწერილი მრავალი ბარათი, ჩვენებები საგამოძიებო კომისიისადმი როდესაც იგი დაპატიმრებული იყო როგორც 1832 წლის შეთქმულების აქტი-ური წევრი და სხვ.

ამ მასალების გაცნობით ცხადი ხდება, რომ სოლომონ დოდაშვილი შემთხვევით არ არის მიჩნეული მე-19 საუკუნის პირველ ქართველ განმანათლებლად. ამის საფუძველს იძლევა მისი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა, ნაყოფიერი მუშაობა 1828 წელს დაარსებულ გაზეთ „ტფილისის უწყებებში“, მისივე ინიციატივით 1932 წელს შურნალ „სალიტერატურო ნაწილი ტფილის უწყებათანი“-ს გამოცემა და საერთოდ, ქართული ეროვნული სულის გამოვიძება. ურადსალებია ისიც, რომ ქართველი სამოციანელები სწორედ მის იდეურ მემკვიდრეობაზე აღიზარდნენ.

სოლომონ დოდაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა დღესაც გრძელდება, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა მის ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ მსოფლმხედველობას. მართალია ქართულ მეცნიერებაში სოლომონ დოდაშვილი უპირველესად ცნობილია, როგორც ფილოსოფოსი და განმანათლებელი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის აქტიურად ჩაბმულიყო მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეესწავლა ქართული სამართლის ძეგლები, ეზრუნა ძველი ქართული წეს-ჩვეულებების შეკრება-გამოცემაზე და ამით ღირსახსოვარი კვალი დაეტოვებინა ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში. ამ მხრივ ჩვენ ის შეგვიძლია შევადაროთ მსოფლიო მეცნიერებაში საყოველთაო აღიარებულ ფილოსოფოსებს – პითაგორას, დემოკრიტეს, სოკრატეს, არისტოტელეს, პლატონს, ეპიკურეს, თომა აქვინეს, ლოკს, კანტს, პეგელსა და სხვებს, რომლებიც კაციბრიბითვის ცნობილნი არიან როგორც დიდი მოაზროვნები და თვალსაჩინო იურისტები.

ჩვენ ჟკვე ვთქვით, რომ მეცნიერული თვალსაზრისით საყურადღებოა სოლომონ დოდაშვილის შეხედულება ქართულ ჩვეულებით (ადათობრივ) სამართლზე და წინამდებარე წერილში სწორედ ამ საკითხის ირგვლივ გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

როგორც ქართველი ხალხის სამართლის ისტორიის შესწავლა გვიჩვენებს, იურიდიულ შემოქმედებით მოღვაწეობას ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება, ეძეოდა. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა ერიოზული სამართლის მრავალი ძეგლი, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც სხვა ქვეყნებში, ისე საქართველოშიც, სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვანა წყაროდ, დაუწერელი, ჩვეულებითი (ადათობრივი) სამართლის ნორმები გვევლინებან. საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირება სამართლის ამ ნორმებით ქართულ ტომებში წინა სახელმწიფო ბრინჯაობრივი პერიოდიდან იღებს სათავეს. ჩვეულებით სამართლის არც შემდვომში, ქართული სახელმწიფო ბრიობის წარმოშობისა და ქვეყნის ცხოვრებაში საერო თუ საეკლესიო დაწერილი სამართლის ნორმების შემოღვისას, დაუკარგავს თავისი როლი და მნიშვნელობა. გამომდინარე ქართველი ხალხის ისტორიიდან და ხასიათიდან, სამართლის ეს ნორმები უკვე ჩვენი ხალხის კულტურის შემადგენელ ნაწილად იყო ქცეული.

ცხადია, გარკვეულწილად ჩვეულებითი სამართლის ნორმებით ხდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგება (განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოს მთიანეთზე) მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოშიც. ამ დროს ჩვენში

უკვე მყარად მოიკიდა ფეხი რუსეთმა და გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით შეუდგა კიდეც რუსული კანონმდებლობის დაწერვას.

ისტორიული ფაქტია, რომ რუსეთის საქართველოში შემოსვლა-დაშემდებლობის პერიოდში არ არსებობდა ერთიანი ქართული სახელმწიფო. აქედან გამომდინარე კი თავისთავად არ გვითხდა საერთო ქართული სახელმწიფო კარიბობით საგანონმდებლობა, საერთო-ზოგადი ეროვნული ქართული სამართალი, წერილობითი საგანონმდებლო აქტების ერთიანობა, თავისი სისტემატიზირებული და კოდიფიცირებული ფორმით, რომელსაც ექნებოდა სავალდებულო ძალა ქართულ სამეცნიერებასა და სამთავროებში. გამოიყენა რა ეს მდგომარეობა, რუსეთის იმპერიულმა სულისკვეთებამ მოახდინა ქართული სამართლის სრული იგნორირება და შემოიღო მმართველობის რუსული წესები და რუსული კანონები. ყველაფერი ეს დროის მოკლე მონაკვეთში დაინერგა ძალისმიერი მეთოდებით და, ბუნებრივია, ამან აშკარად გამოიწვია უარყოფითი პროცესები ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სოლომონ დოდაშვილს განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული, იგი ზედმიწევნით იცნობდა რუსეთის იმპერიის მმართველობის მძიმე წესს და ცხადია არ გამოეპარებოდა რუსული კანონმდებლობის აშკარა დაპირისპირება ქართულ ჩვეულებით სამართალთან, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფა-დობის შემანარჩუნებელ ფაქტორთან. მისთვის, როგორც დიდი ეროვნული სულის მატარებელი პიროვნებისათვის, ადვილი არ იყო შორიდან ეცქირა საკუთარი ქვეყნისა და ზალხის მძიმე პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობისათვის. ალბათ, ამანაც განაპირობა სოლომონ დოდაშვილის მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში, რომლის დროსაც საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის საკითხებზე იდეურ-პოლიტიკური შეუთანხმებლობა ჰქონდა შეთქმულების სხვა წევრებთან. სოლომონ დოდაშვილი, რომელიც დეკაბრისტთა პოლიტიკურ იდეალებზე იყო აღზრდილი, მეხოტებე იყო სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური ფორმისა, ხოლო მმართველობის მონარქიული ფორმა მის სიმათიებს არ იმსახურებდა, ამ საკითხში მას სხვა შეთქმულები არ ეთანხმებოდნენ.

„სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური იდეალის განხორციელება, კერძოდ რუსეთის იმპერიის ფარგლებში ქართული ეროვნული სახელმწიფო ბრიობის აღ-დგენა რესპუბლიკის ფორმით, მოათხოვდა მრავალი სამართლებრივი საკითხის გადაჭრას. პირველ ყოვლისა იმის გარკვევას, თუ რა პრინციპების მიხედვით უნდა მომხდარიყო რესპუბლიკური საქართველოს ტერიტორიაზე რუსული კანონმდებლობისა და ქართული ეროვნული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირება, მათი მოქმედების საზღვრების გამიჯვნა“¹.

სწორედ ამით უნდა იყოს ნაკარნახევი სოლომონ დოდაშვილის დაინტერესება, რუსული კანონების ქართულად თარგმნით და ქართული ჩვეულებითი სამართლის საკითხებით. როგორც ირკვევა, იგი დიდი მონდომებით შესდგომია მთავრობის დავალების შესრულებას რუსული სასამართლო კანონების ქართულად თარგმნის შესახებ და ამას სიხარულით ატყობინებს თავის სულიერ მოძღვარს იონა ხელაშვილს: „ვსთარგმნე რწმუნებისამებრ მთავრობის სჯული ვალდებულებანი სასამართლოებისანი“². როგორც აქედან ირკვევა, მისი მთარგმნელობითი მუშაობა განპირობებული იყო ზალხის მძიმე პირობების შესამსუბუქებლად, რომელიც ვერ ეგუებოდა მეფის მთავრობის მიერ დაწესებულ მმართველო-

1 ვ. აბაშაძე, „ქართული ინტელექტუალური ფენომენები“, 1992 წ. გვ. 176.

2 სოლომონ დოდაშვილი, თხზ., გვ. 300.

ბის რუსულ წესს, სახელმწიფო და სასამართლო ორგანოებში რუსული კანონების გამოყენებას და ისიც მხოლოდ რუსულად ანუ რუსული ენის მეშვეობის

რუსული ენის არცოდნას, ეროვნული წეს-ჩვეულებების უარყოფას და ხალხის ეროვნულ-სოციალურ ჩაგვრას თან ერთვიდა ზოგიერთი რუსი მოხელის ბიუროკრატობა-მექრთამეობა. ყოველავე ეს კი ხალხის სამართლიან აღშფოთებას იწვევდა. მიაქცევს რა მევის მთავრობის უკრალებას ამ მტკიცნეულ საკითხე, სოლომონ დოდაშვილი 1833 წ. 23 იანვარს, როდესაც ის დაპატიმრებული იყო როგორც შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური წევრი, საგამოძიებო კომისიას ასეთ ჩვენებას აძლევს:

„1. სახელმწიფო დაწესებულებებში საქმეებს ძალიან ნელა არჩევენ, არ უყურებენ ხალხის ხასიათსა და ადათს, ზეს-ჩვეულებებს, კანონებს უკუღმართად მარტავენ და საქმეები უსამართლოდ წყდება; 2. ამ დაწესებულებებში საქმეები წყდება მხოლოდ ქადალდზე და ამას საქმის გადაწყვეტას ეძახიან, მაგრან იშვიათად თუ ვინმე კამაოფილი დარჩეს; 3. წუთიერი და უმნიშვნელო საქმის დაწერაც სალერბო ქადალდზე ნაბრძანები; 4. საქმე, რომელიც შეიძლება სიტყვიერად გადაწყდეს და ძალიან სწრაფადაც, ნაბრძანებია მაიც სასამართლოში შეიტანონ, სადაც დიდხანს ჭიათურდება; 5. მომჩივანთან, როგორც მართალი ისე მტყუანი მხარე ხარჯავს კაცილებით იმაზე მეტს, რაც საქმე უღირს, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საქმეს არავინ მოისმებს და არ გაარჩევს. ძალიან პატიოსანი და ყველასაგან პატიოცემული კაცი ზშირად ისჯება თუ როგორმე მოუხდა დანაშაულის ჩადენა, ეს კი ძალიან ზშირად ხდება გულუბრყვილობით, კანონების უცოდინარობით და ქართველი კაცის მხიარული ბუნებით, რომელსაც უყვარს თავისუფლად ლაპარაკი, რითაც შეიძლება არავის ზიანს არ აყენებს, მაგრამ კანონით ეს აკრძალულია და დანაშაულად ითვლება, რასაც სასჯელი მოსდევს, უკეთუ შეწყალება მიიღო, საზოგადოების მიერ მისი არჩევა აკრძალულია, აი, რა არის მთავარი საჩივარი, ზშირად უდანაშაულოდაც ისჯება კაცი“³.

აქედან აშკარად ჩანს ს. დოდაშვილის უარყოფითი დამოკიდებულება რუსული სასამართლო კანონებისადმი. უშუალოდ რუსული კანონებით საზოგადოებრივი ყოფაცხოვრების ყველა სუუროს დარეგულირება ეწინააღმდეგება ქართველი კაცის ბუნებასა და წეს-ჩვეულებებს. ხალხი თავისი წარსულით ვერ ეგუება მხოლოდ და მხოლოდ რუსული მმართველობის წესებს, რადგან მას საუცხოების განმავლობაში პქონდა ეროვნელი სახელმწიფოებრივა და გააჩნდა ეროვნულ წეს-ჩვეულებებზე დაფუძნებული საკუთარი ეროვნული სამართალი. დოდაშვილის აზრით, საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი გზით მოწესრიგბისას კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს ხალხის ისტორია, კულტურა, ფსიქიკა და ასე შემდეგ. სამოქმედოდ არ უნდა იყოს დაშვებული ისეთი კანონები, რომელთა შესრულება ხალხს არ შეუძლია. აქ ნაგულისხმევა რუსეთის მიერ უარყოფილი ქართული ჩვეულებითი სამართლის ნორმების სამოქმედოდ შემოღების აუცილებლობა, რომელიც არ გამორიცხავდა მის გვერდით რუსული კანონმდებლობის ვამოყენებასაც.

თუ როგორ იყო სოლომონ დოდაშვილი დაინტერესებული ქართული ჩვეულებითი სამართლის ნორმების საფუძველზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებით, ამაზე ნათელ წარმოლგენას იძლევა ი. ხელაშვილისათვის მიწერილი ერთ-ერთი ბარათი, რომელიც დათარიღებულია 1831 წ. 19 ივნისით, მასში კვითხულობთ: „ორი კვირა მგზავრად გახლდით გორსა და დუშეთს. ამასთან

³ სოლომონ დოდაშვილი, ობზ., გვ. 176-177,

მთიულეთს, სადაც ვიხილე მთიულნი, ვცან თვისება მათი, ზნე და მდგომარეობა და აღვწერე გაზეთებისათვის⁴.

ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა მისგან 1833 წლის 7 მარტს საგამოძიებო კომისიისათვის მიცემული ჩვენება, სადაც აღნიშნავს: „ბიბლიოთეკარ კოტოვის დავალებით ვაგროვებდი ცნობებს სოფლად არსებული ძველი ზნე-ჩვეულებათა შესახებ, საქართველოს სხვადასხვა სიძველეებზე და ერეპლეს მეფობაში მომხდარი ამბების შესახებ კოტოვის მიერ გამოცემული აღმანახისათვის⁵.

ეს ორი მეტად საყურადღებო მასალა მნიშვნელოვანია თავისი შინაარსით. სავარაუდოა, რომ სოლომონ დოდაშვილის მიერ შეკრებილი ცნობები ქართველი ხალხის ძველი წეს-ჩვეულებების შესახებ დაიბეჭდა კიდეც იმ ხანებში გამომავალ რომელიმე პერიოდულ გამოცემაში. შევისწავლე თბილისში რუსულ ენაზე 1828-32 წლებში გამომავალი გაზეთი „ტფილისის უწყებები“, ასევე 1832 წელს უშუალოდ სოლომონ დოდაშვილის მიერ დაარსებული ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანის“ ხუთივე ნომერი. სამწუხაროდ, ამ გამოცემებში ჩვენთვის საინტერესო ეს მასალები არ აღმოჩნდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კვლევა-ძიება ამ ცნობებისა უპერსპექტივოა, საჭიროა შემდგომი მუშაობა ამ მხრივ.

სოლომონ დოდაშვილი გაბედულად იცავდა საქართველოს წარსულს, მის ისტორიას, ძველ წეს-ჩვეულებებს. ამას ადასტურებს მისი ისტორიული მოთხოვა ერეპლე მეორეზე, ასევე წერილი „შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოისათა, რომლიც დაბეჭდილ იყო პირველსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთისა 1832-სა ამასა წელსა“, რომელშიც მან გააკრიტიკა გაზეთის თანამშრომლის გრ. გორგევის წერილი – „უკანასკნელ ქართველ მეფეთა დამარხვის წესები“ – სადაც დამაზიჯებულად იყო აღწერილი ზოგიერთი ძველი ქართული წეს-ჩვეულებანი. მისი თქმით: „უფალი დარდევი არა მცირდნე ქართულისა ენისა, ჰსწერს მრავალსა ტყუილსა და გამოჩენილსა სიცრუესა, ხოლო მკითხველნი ჰგონებენ ყოველსა ამას ჭეშმარიტად⁶“.

მეტად საინტერესოა სოლომონ დოდაშვილის ზოგად-იურიდიული შეხედულებები საოჯახო-საქორწინო სამართლის, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის შესახებ. ყველა ამ საკითხზე მისეული სამართლებრივი მიდგომა აშკარად ჩანს მოთხოვაში „ელენა“. ჩვენ აქ გარკვეული მოსაზრებით არ შევუდგებით ამ ნაწარმოების საფუძვლიან განხილვას, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ მასში აშკარად იგრძნობა სოლომონ დოდაშვილის დიდი სამართლებრივი განსწავლულობა და პუმანისტი მოაზროვნის მსოფლმხედველობა.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ სოლომონ დოდაშვილს, როგორც განათლებულ და სამშობლოზე უანგაროდ შეყვარებულ პიროვნებას დიდად აწუხებდა თავისი ქვეენის მძიმე პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობა, მისი დაცემა ეროვნული კულტურის თვალსაზრისით. ითვალისწინებდა რა რუსული მმართველობის წესების სიმბიმესა და

⁴ სოლომონ დოდაშვილი, „თხზ“, გვ. 309.

⁵ იქვე, „თხზ“, გვ. 380.

⁶ იქვე, „თხზ“, გვ. 213.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში რუსული კანონმდებლობის ძალისმიერი ხერხებით დამკვიდრებას, რასაც საგალალო შედეგები მოსდევდა ქართველი საზოგადოებისათვის, მას ერთადერთ გამოსავალად ესახებოდა ეროვნული ჩვეულებითი სამართლის ნორმების ე. ი. (ძველი წეს-ჩვეულებები, ადათები) საფუძველზე საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული სფეროს მოწესრიგება, რუსული კანონმდებლობის მოქმედების საზღვრების შეზღუდვა ქართული სამართლის სასარგებლოდ. ასევე იყო საჭირო ზრუნვა ქართველი ახალგაზრდების განათლებისათვის, რომელთა ცოდნაზე, შრომაზე და ბრძოლაზე ბევრად იყო დამოკიდებული საქართველოს უკეთესი მომავალი.

სოლომონ დოდაშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობას არაერთი ნაშრომი მაუძღვნეს ქართველმა ისტორიკოსებმა, ფილოსოფოსებმა, ფილოლოგებმა, იურისტებმა. იურიდიული ოვალსაზრისით საყურადღებოა პროფესორ ვახტანგ აბაშმაძის საიუბილეო კრებული „სოლომონ დოდაშვილის სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი“ და მისივე შარშან გამოქვეყნებული გამოკვლევა სოლომონ დოდაშვილზე. ჩვენი ეს წერილიც ერთ-ერთი მოკრძალებული ცდაა იმისა, რომ ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ისტორიით დაინტერესებული მკითხველის წინაშე კვლავ წარმოვაჩინოთ სოლომონ დოდაშვილის დამსახურება ქართულ ეროვნულ მეცნიერებაში, მისი წვლილი ქართული ეურისპრუდენციის განვითარებაში.

კონტაქტები უცხოელ იურისტებთან

სამუშავ პ. პალიგორიძე

დემოკრატიის მასახ ტალღა

1974-1990 წლებში არანაკლებ 30 ქვეყანაში გეზი აიღო დემოკრატიისაკენ, რითაც მსოფლიოში გაორმაგდა დემოკრატიულ მთავრობათა რიცხვი. იყო კი ეს დემოკრატიზაცია გაგრძელება და საბოლოო „გლობალური დემოკრატიული რევოლუცია“, რომელსაც მიაღწია თითქმის ყველა ქვეყანაში მსოფლიოში? თუ იგი არის დემოკრატიის შეზღუდული გაფართოება, რაც უმეტესწილად დაკავშირებულია მის აღორძინებასთან იმ ქვეყნებში, რომლებსაც წარსულში ამის გამოცდილება ჰქონდა?

ყველა შემთხვევაში, დემოკრატიული ცვლილებების მიმღინარე ერა აყალიბებს დემოკრატიზაციის მესამე ტალღას თანამედროვე მსოფლიოს ისტორიაში. დემოკრატიზაციის პირველი „გრძელი“ ტალღა დაიწყო 1820 წელს, როდესაც საარჩევნო უფლება მიენიჭა მოსახლეობის დიდ პროცენტს შეერთებულ შტატებში და გაგრძელდა 1922 წლამდე. 1922 წელს იტალიაში ხელისუფლებაში მუსოლინის მოსვლით აღინიშნა პირველი „უკუ ტალღა“, რამაც 1942 წლამდე პერიოდში გავლენა იქონია მსოფლიოში დემოკრატიულ სახელმწიფოთა რიცხვის 12-მდე შემცირებაზე, მოკავშირეთა ტრიუმფმა მეორე მსოფლიო ომში გამოიწვია დემოკრატიზაციის მეორე ტალღა, რამაც თავის პიკს მიაღწია 1962 წელს 36 ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრების შედეგად, მაგრამ მას კვლავ მოჰყევა უკუ ტალღა 1960-1975 წლებში, როცა დემოკრატიული სახელმწიფოები 30-მდე შემცირდა.

მესამე ტალღის რა საფეხურზე ვიმყოფებით ჩვენ? დასაწყისში თუ დასასრულამდე ცოტადა დაგვრჩა? ანდა თუ მესამე ტალღა გაიშალა, მაშინ მოჰყვება თუ არა ამას მესამე უკუტალღა, რაც კვლავ გამოიწვევს დემოკრატიული ქვეყნების შემცირებას. სოციალურმა მეცნიერებამ ვერ გასცა ზუსტი პასუხი ამ კითხვებს, ისევე როგორც სოციოლოგებმა. ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია თუ დადგინდება რამდენიმე ფაქტორი, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს დემოკრატიის გაფართოებასა და ჩამოყალიბებაზე მსოფლიოში. დადგება საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნება დემოკრატიის მომავლისათვის.

ერთი გზა გამოკვლევის დასაწყებად არის იმ მიზეზების დადგენა, რომლებმაც გამოიწვიეს მესამე ტალღის ზრდის გაძლიერება ან შესუსტება ან დემოკრატიზაციის პროცესში ახალი ძალების ჩართვა. ხუთი უმთავრესი ფაქტორი

1 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი არის ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი, მართვის მეცნიერების პროფესიონალი, ჰარვარდის უნივერსიტეტის არსებული სტრატეგიულ სწავლებათა ინსტიტუტის დირექტორი. ნაშრომი დაიბეჭდა ოკლაჰომის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ 1992 წელს.

ჩყო ჩართული დემოკრატიზაციის მესამე ტალღის გაფართოებასა და გაფრთხევაში:

1. სამართლებრივი პრობლემების გადრმავება მსოფლიოს ავტორიტარულ რეჟიმებში, რის გამოც დემოკრატიული ღირებულებები მათ მიერ ფართოდ იქნა მიღებული;

2. უპრეცედენტო გლობალური ეკონომიკური აღმავლობა 60-იანი წლების დამდეგს, რამაც გაზარდა საარსებო მინიმუმი, ასწია განათლების დონე და გაამრავლა საშუალო კლასი ბევრ ქვეყანაში;

3. კათოლიკური ეკლესიის მოძღვრებისა და საქმიანობის მკვეთრი აღმავლობა და ეროვნული კათოლიკური ეკლესიების გადანაცვლება ავტორიტარიზმის დამცველთაგან მის ოპონენტთა რიგაბში;

4. ცელილებები ცნობილ მოღვაწეთა პოლიტიკაში, განსაკუთრებით ევროპული გაერთიანების, შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირიდან;

5. „გუნდაობამ“ ანუ გარდაქმნის ეფექტის დემონსტრირებამ მესამე ტალღაში ხელი შეუწყო დემოკრატიზაციისაკენ შემდგომ ძალისხმევას.

თავდაპირველად შევუდგები ბოლო სამი ფაქტორის ანალიზს, მომავალში კი დავუძრუნდები პირველ ორს.

ისტორიულად არსებობდა მკაცრი ურთიერთდამოკიდებულება დასავლურ ქრისტიანობასა და დემოკრატიას შორის. 70-იანი წლებამდე მსოფლიოს პროტესტანტული ქვეყნების უმრავლესობა უკვე გახდა დემოკრატიული. 70-იანი და 80-იანი წლების მესამე ტალღა იყო უმთავრესად კათოლიკური ტალღა. დაიწყო იგი პორტუგალიასა და ესპანეთში, შემდეგ გაიარა ექვსი სამხრეთ ამერიკის და სამი ცენტრალური ამერიკის ქვეყანა. გააგრძელა გზა ფილიპინებისაკენ, ორმაგად გაძლიერებული დაბრუნდა შექსიკასა და ჩილეში, შემდეგ — აღმოსავლეთ ევროპის ორ კათოლიკურ ქვეყანაში — პოლონეთსა და უნგრეთში. თითქმის სამი მეოთხედი ქვეყნებისა, რომლებიც გახდენ დემოკრატიული 1975-90 წლებში, უპირატესად კათოლიკურნი იყვნენ.

1990 წლისათვის კათოლიკურმა „ბიძგმა“ დემოკრატიზაციისაკენ მთლიანად ამოწურა თავისი თავი. კათოლიკური ქვეყნების უმრავლესობა უკვე დემოკრატიზირებული, ხოლო მექსიკის შემთხვევაში ლიბერალურებული გახდა. კათოლიკის უნარი, რათა მხარი დაუჭიროს დემოკრატიის შემდგომ გაფართოებას, შეზღუდულია პარაგვაიში, კუბაში და ზოგიერთ ფრანგულენოვან აფრიკულ ქვეყანაში. 90-იანი წლებისათვის სუმსახარის აფრიკა იყო მსოფლიოში ერთადერთი რეგიონი, სადაც კათოლიკებისა და პროტესტანტების არსებითი ნაწილი ცხოვრობდა ავტორიტარული რეჟიმის ქვეშ.

უცხოეთის ზეგავლენის ორღი

მესამე ტალღის განმავლობაში ევროპულმა გაერთიანებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ევროპის სამსახურში: საბერძნეთში, ესპანეთში და პორტუგალიაში. დემოკრატიის ჩამოყალიბება იყო ევროპული თანამეგობრობის წევრების ეკონომიკური კეთილდღეობის აუცილებელი მამოძრავებელი ძალა, ისევე როგორც თანამეგობრობის წევრობა იყო დემოკრატიის სტაბილობის გარანტია.

1987 წლის აპრილში თურქეთი მიღებული იქნა ეეს-ის სრულუფლებინ წევრად. ერთ-ერთი ინიციატივა იყო თურქეთის ლიდერების სურვილი განემტკიცებინათ და განევითარებინათ დემოკრატიული ტენდენციები თურქეთში და მოქადაცინათ ისლამური ფუნდამენტალიზმის მხარდამჭერი ძალების იზოლაცია.

გაერთიანების შიგნით, რა თქმა უნდა, თურქეთის წევრობის პერსექტივას შეხედნენ ნაკლები ენთუზიაზმით და ნაწილობრივ მტრულადაც (საბერძნეთის მშროდან). 1990 წელს აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლებამ ასევე წარმოქმნა უნგრეთის, ჩეხია-სლოვაკიის და პოლონეთის გაწევრიანების შესაძლებლობა. ამიერიდან გაერთიანება ორი მოთხოვნის წინაშე დგას. პირველი, მიენაჭება თუ არა პრიორიტეტი მის წევრთა გაფართოებას, თუ არსებული გაერთიანების გაღრმავება ხელს შეუწყობს შემდგომ ეკონომიკურ და პოლიტიკურ შეკავშირებას? მეორე, თუ გადაწყდება მის წევრთა გაფართოება, პრიორიტეტი ზომ არ გადაინაცვლებს ევროპის თავისუფალი მრომის ასოციაციის წევრებიდან (ავსტრია, ნორვეგია და შვეცია) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე ან თურქეთზე? ევროპულ გაერთიანებას, რა თქმა უნდა, შეუძლია აითვისოს ქვეყნების შეზღუდული რაოდენობა დროის მოცემულ პერიოდში. ამ კითხვებზე პასუხს ექნება მნიშვნელოვანი გავლენა თურქეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დემოკრატიის სტაბილიზაციაზე.

საბჭოთა კავშირის დაშლამ შესაძლებელი გახადა დემოკრატიზაცია აღმოსავლეთ ევროპაში. თუ რუსეთმა მთლიანად დასრულა კასტროს რეჟიმის მხარდაჭერა, დემოკრატიისაკენ მოძრაობა კუბაში სრულიად შესაძლებელია. ამის მიუხედავად, ნაკლებად შესაძლებელია, რომ რუსეთს შეეძლოს ან განწყობილი იყოს მხარი დაუჭიროს დემოკრატიას თავის საზღვრებს გარეთ. გადამწყვეტია ის თუ რა მოხდება თვით რუსეთის შიგნით. თუ რუსეთის კონტროლი არსებითად შესუსტდა, დემოკრატია სრულიად შეიძლება აღდგეს ბალტიის ქვეყნებში, მოძრაობა დემოკრატიისაკენ ასევე არსებობს ყოფილ სხვა რესპუბლიკებშიც. უმნიშვნელოვანებია, რა თქმა უნდა, თავად რუსეთი. რუსეთის რესპუბლიკაში დემოკრატიის დამკვიდრება და დემოკრატიულ ძალთა კონსოლიდაცია იქნება ერთ-ერთი დრამატული საჩქარი მსოფლიოსათვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დემოკრატიული გარდაქმნები მნიშვნელოვან წილად რთულდება ეთნიკური სიჭრელისა და მგვიდრი ერის არამშადყოფნის გამო მისცეს თანასწორი უფლებები ეთნიკურ უმცირესობებს. როგორც ეს სერ აივორ ჯენინგსმა აღნიშნა: „ხალხს არ შეუძლია გადაწყვიტოს, ვიდრე ვინმე არ გადაწყვეტს თუ ვინ არის ხალხი“. დასჭირდება წლები, ათეული წლები თუ არა ამ საკითხის გადაწყვეტას ყოფილ საბჭოთა კავშირში?

70-იან და 80-იან წლებში შეერთებული შტატები იყო და დღესაც რჩება დემოკრატიზაციის უმთავრესი გამტარებელი. რამდენ წანს გააგრძელებს შეერთებული შტატები ამ როლის შესრულებას, დამოკიდებულია მის ნებაზე, უნარზე და მისი მოდელის მიმზიდველობაზე სხვა ქვეყნებისათვის. 70-იანი წლების პირველ ნახევრამდე დემოკრატიული ორიენტაცია ყოველთვის არ იყო ამერიკის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი. ცივი ომისა და რუსეთთან იდეოლოგიური შეჯიბრების დასსრულმა შესძლო უკანა პლანზე გადაეწია ანტიკომუნისტი დიქტატორებიც, მაგრამ მანვე ასევე შესძლო შეემცირებინა მესამე მსოფლიოში ამერიკის სუბსტანციური შეღწევა.

ამერიკელთა სურვილს, წინ წასწიონ დემოკრატია, შეიძლება მხარი დაუჭიროთ ან არ დაუჭიროთ. ამერიკელთა ეს უნარი, მეორე მხრივ, შეზღუდულია. ფინანსური და საბიუჯეტო დეფიციტი ახალ შეზღუდვებს უქმნის იმ რესურსებს, რითაც შეერთებულ შტატებს შეეძლო გავლენა მოეხდინა უცხო სახელმწიფოებზე ამ მიმართულებით. და მაინც უფრო მნიშვნელოვანია შეერთებული შტატების უნარი მხარი დაუჭიროს დემოკრატიულ გარდაქმნებს იმ გზით, რა გზითაც ის მიემართება. ლათინური ამერიკის, კარიბის, ევროპის და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, მიუხედავად მათი განაწყენებისა ამერიკული გავლენის გამო, ზოგი-

ერთი გამონაკლისის გარდა, მაინც გახდნენ დემოკრატიულნი. ერთადერთი ქვეყანა, სადაც შეერთებულ შტატებს შეუძლია კველაზე უფრო მნიშვნელოვანი გამოლენა იქონიონ დემოკრატიის ჩამოყალიბებაში, არის მექსიკა. არადემოკრატიული ქვეყნები აფრიკაში, თუ აზიაში და საერთოდ; აზიის კონტინენტზე, ნაკლებ მორმნობიარენი არიან ამერიკული გავლენისადმი.

თუ არ ჩავთვლით ცენტრალურ ამერიკას და კარიბის ქვეყნებს, უმთავრესი სივრცე, სადაც შეერთებულ შტატებს გააჩნიათ საარსებო მნიშვნელობის ინტერესები, არის სპარსეთის ყურე. ომმა სპარსეთის ყურეში და 500.000 ამერიკელის გადასვლაში ამ რეგიონში ხელი შეუწყო დემოკრატიისაკენ მოძრაობას კუვეიტში და საუდის არაბეთში, ამასთან მოხდა ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დელეგიტიმირება...

საერთოდ, 80-იან წლებში შეერთებული შტატების მოდელის ღვაწლი დემოკრატიზაციის გავრცელების საქმეში უფრო საგრძნობი და სანიმუშოა, ვადრე ამერიკელთა ძალისა და გავლენისა. მთელ მსოფლიოში დემოკრატიული მოძრაობა ინსპირირებული და შთაგონებული იყო ამერიკული მაგალითით. რა შეიძლება მოხდეს თუ ამერიკული მოდელი მომავალში ამოწურავს თავის ძალებს და წარმატებულ სვლას და აღარ მოგვეჩევება როგორც გამარჯვებული მოდელი? 80-იანი წლების ბოლოს ბევრი ამტკიცებდა, რომ „ამერიკული დაცემა“ ჭეშმარიტი რეალობაა.

გულერა

დემოკრატიზაციით გუნდაობის შედეგები ნათლად გამოჩნდა ბულგარეთში, რუმინეთში, მონღოლეთში, ნეპალსა და ალბანეთში. ლიბერალიზაციისაკენ მოძრაობაზე მან ასევე იმოქმედა ზოგიერთ არაბულ და აფრიკულ ქვეყანაში. 1990 წელს, მაგალითად, „გარდაქმნილმა აღმოსავლეთ ევროპამ“ მოითხოვა ცელილება არაბულ სამყროში და „წააქეზა“ ეგვიპტის, იორდანის, ტანზანიის და აღვირის ლიდერები გაეფართოვებინათ მათ მიმართ უკმაყოფილების სივრცე.

აღმოსავლეთ ევროპის მაგალითმა იქონია პრინციპული ეჯექტი ავტორიტარული რეჟიმების ლიდერებზე, მაგრამ არაიმდენად მათი მართვის ქვეშ მყოფ სალხზე. პრეზიდენტტმა მობუტუ სესე სოხეომ, სხვათა შორის, შოკირბული შიშით უპასუხა მისი მეგობრის დაწვით დასჯის შესახებ სატელევიზიო გადაცემაზე. რუმინეთის დიქტატორმა ნიკოლაი ჩაუშესკუმ, რამდენიმე თვის შემდეგ კომენტარი გაუკეთა რა შეკითხვას: „თქვენ იცით რა ხდება მსოფლიოში“, განაცხადა, რომ მან ნება დართო ორ პარტიას, მათ შორის თავისას, მოახდინონ ბალანსირება 1993 წლის არჩევნებზე. ტანზანიაში იულიუს ნიერემ აღნიშნა, რომ „თუ კი ცელილები მოხდება აღმოსავლეთ ვერთაპაში ვიდრე ერთპარტიული სისტემის მქონე სხვა ქვეყნებში, იგი ირწმუნებს სოციალიზმის ეფექტიანობას“. მისმა ქვეყანამ, დასძინა მან, უნდა ისწავლოს აღმოსავლეთ ევროპის მაგალითზე.

თუ კი ქვეყანას აკლია სათანაბო შინაგანი პირობები, რა თქმა უნდა, მარტო „გუნდაობა“ არ გამოიღებს არსებით შედეგებს დემოკრატიზაციის განსახორციელებლად. „ა“ და „ბ“ ქვეყნებში დემოკრატიზაცია არ იწვევს დემოკრატიზაციას „გ“ ქვეყანაში, თუნდაც იმ ქვეყნებში არსებული პირობები ამ უკანასკნელისათვის მისაღები იყოს. თუმცა დემოკრატიული მთავრობების ლეგიტიმურობამ მიიღო ფართო მასშტაბი 80-იანი წლების მსოფლიოში, მაგრამ ამისათვის ეკონომიკური და სოციალური პირობები ყველა ქვეყანაში არ არსებობდა. „მსოფლი დემოკრატიულ რევოლუციას“ შეუძლია უცხოეთში შექმნას დემოკრა-

ტიზაციისათვის საჭირო გარემო, მაგრამ არ შეუძლია აწარმოოს დემოკრატიზაციისათვის აუცილებელი პირობები კონკრეტული ქვეყნის შიგნით.

აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიზაციის უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო საბჭოების კონტროლი: ერთხელაც იყო და ის მოიხსნა და მოძრაობა დემოკრატიისაგან განხორციელდა სწრაფად. ახლო აღმოსავლეთში, შუა აზიაში და აფრიკაში არ არსებობს დემოკრატიზაციის ხელშემშლელი საგარეო დაბრკოლება. თუ კი ამ რეგიონების ლიდერებმა აირჩიეს ავტორიტარიზმი 1989 წლის დეკემბრამდე, რატომ არ შეუძლიათ მათ გააკრძელონ ეს არჩევანი ამის შემდეგაც? გუნდაობის ეფექტი რეალური გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი იწმუნებენ დემოკრატიზაციის სასურველობას და აუცილებლობას. აღმოსავლეთ ევროპაში 1989 წლის მოვლენებმა რამდენადმე შეაგულიანა დემოკრატიული ოპოზიცია და ავტორიტარული ლიდერები ყველგან დააშინა.

1990 წლისათვის მესამე ტალღის ბევრმა ამოსავალმა და ხელშემწყობმა მიზეზმა შესუსტება იწყო, უფრო მეტიც, ზოგიერთს გადაჭარბებული მნიშვნელობა მიეცა თავის დროზე. არც თეთრ სახლს, კრემლს, ევროპულ გაერთიანებას, და არც ვატიკანს არ გააჩნდა მტკიცე პოზიცია მხარი დაეჭირათ დემოკრატიზაციისათვის იმ ადგილებში, სადაც ის ჯერ კიდევ არ არსებობდა (უპირატესად აზიაში, აფრიკაში და შუა აზიაში). ახალ ძალებს, რა თქმა უნდა, შესაძლებლობა რჩებათ, მხარი დაუჭირონ დემოკრატიზაციის აქტივიზირებას. და საერთოდ, 1985 წელს ვის შეეძლო ეწინასწარმეტყველა, რომ მიხეილ გორბაჩოვი შეძლებდა ხელი შეეწყო დემოკრატიზაციისათვის აღმოსავლეთ ევროპაში?

1990 წელს საერთაშორისო სამანეთო უონდმა და მსოფლიო ბანკმა შესძლეს გამხდარიყვნენ გაცილებით უფრო ძლიერნი (ვიდრე ისინი იყვნენ ადრე), ზეგავლენა მოეხდინათ პოლიტიკური დემოკრატიზაციის პროცესზე, ისევე როგორც ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე. საფრანგეთმა შეძლო უფრო აქტიურად შეეწყო ხელი დემოკრატიზაციისათვის თავის იმ ყოფილ კოლონიებში, სადაც მისი გავლენა ჯერ კიდევ არსებითია. მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეძლო ძლიერი ზეგავლენა მოეხდინა დემოკრატიზაციის პროცესზე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და საბჭოთა კავშირში. „გლოსონსტის“ ჩინელ მომხრეს შესაძლებლობა მიეცა ხელისუფლებაში მოსულიყო ბირმაში, ისევე როგორც ჯეფრი ნასერმა შეძლო განეხორციელებინა დემოკრატიის პანარაბული ვერსია შუა აზიაში. იაპონიამ შეძლო წამოეყნებინა დიდი ეკონომიკური პოტენციალი დემოკრატიზაციისა და აღამიანის უფლებათა დასაცავად დარიბ ქვეყნებში, რომლებსაც ის აძლევს სესხს, მათ შორის, უსაფიდლო სესხსაც.

გვესავა ჰვაზტალდა?

1990 წელს მესამე ტალღიდან არანაკლებ ორი ქვეყანა, სუდანი და ნიგერია დაუბრუნდნენ ავტორიტარულ მმართველობას. სიძნელეებმა ეროვნულ კონსოლიდაციაში ხელი შეუწყეს დემოკრატიზაციის პროცესის შეჩერებას არახელსაყრელ პირობებიან ქვეყნებში. თუ კი დემოკრატიის მესამე ტალღა ჩაიშლება ან შევერხდება, რა ფაქტორები განაპირობებენ მესამე უკუტალღას?

პირველი და მეორე უკუტალღების პერიოდში დემოკრატიის შემზღვეველი ფაქტორები იყო:

1. დემოკრატიულ ლირებულებათა სიმწირე ელიტარულ ჯგუფებში და საჯარო ხელისუფლებაში;

2. ზოგიერთი ეკონომიკური ჩავარდნა, რომლებმაც ხელი შეუწყეს სოციალური კონფლიქტების ინტენსიფიკაციას და გაზარდეს მკურნალობის მართველობა;

3. სოციალური და პოლიტიკური პოლარიზაცია, რაც წარმოშვეს იმ მე-მარცხენე მთავრობებმა, რომლებმაც დაიწყეს მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური რეფორმების ნაჩერევი დანერგვა;

4. კონსერვატული საშუალო კლასისა და მაღალი კლასის ჯგუფების გადა-წყვეტილება ჩამოაშორონ ხელისუფლებას პოპულისტური და მემარცხენე მოძ-რაობის წარმომადგენლები;

5. მართლწესრიგის დამხობა ტერორიზმის ან აჯანყების შედეგად;

6. ინტერენცია ან ხელისუფლების დამხობა არადემოკრატიული საგარეო ძალით;

7. „უკუგუნდაობა“, რაც გამოიწვია სხვა ქვეყნებში დემოკრატიული სისტე-მების დამხობამ ან დამარცხებამ.

ერთი ან ორი გამონაკლისის გარდა, დემოკრატიულ სისტემებს არ შეუწყე-ვეტით არსებობა სახალხო კენჭისყრის ან სახალხო აჯანყების შედეგად. გერ-მანიასა და იტალიაში პირველი უკუტალღის დროს, ანტიდემოკრატიული მოძ-რაობა მნიშვნელოვანი სახალხო მხარდაჭერით მოვიდა ხელისუფლებაში და დაამყარა ფაშისტური დიქტატურა. ესპანეთში პირველი უკუტალღის, ხოლო ლიბანში მეორე უკუტალღის დროს დემოკრატია დასრულდა სამოქალაქო ომით.

დემოკრატიისაგან უკუქცევის პროცესი ჩამოყალიბდა ისე, რომ დემოკრატი-ულად არჩეული იქნენ მილიტარისტული ხუნტები, ან მათმა ლიდერებმა ეფექ-ტუანად შეაჩერეს დემოკრატიზაციის პროცესი ძალაუფლების თავის ხელში კონ-ცენტრაციის გზით განსაკუთრებული მდგომარეობის ან საკომენდანტო საათის მუდმივი გამოცხადებით. პირველ უკუტალღაში მილიტარისტულმა ხუნტამ შეა-ჩერა დემოკრატიული სისტემები აღმოსავლეთ ევროპის ახალ ქვეყნებში და სა-ბერძნეთში, პორტუგალიაში, არგენტინაში, იაპონიაში. მეორე უკუტალღაში მილიტარისტული ხუნტა წარმოიშვა ინდონეზიაში, პაკისტანში, საბერძნეთში, ნიგერიაში, თურქეთში და ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში, აგრეთვე კო-რეაში, ინდოეთში და ფილიპინებშე. ურუგვაიში სამოქალაქო და სამხედრო ლი-დერებმა ერთობლივად შეაჩერეს დემოკრატია შერეული სამხედრო გადატრია-ლებით.

ორიგე, პირველ და მეორე უკუტალღებში დემოკრატიული სისტემები შე-იცვალა ბევრ შემთხვევაში ავტორიტარული მმართველობის ახალი ფორმებით. ფაშიზმი ავტორიტარიზმის აღრეული ფორმებისაგან განსხვავდებოდა თავისი მასობრივი საფუძვლით, იდეოლოგიით, პარტიული ორგანიზაციით და საზოგა-დოების ფართე კონტროლის ფორმებით. ბიუროკრატიული ავტორიტარიზმი გან-სხვავდებოდა მლიტარისტული მმართველობის აღრინდელი ფორმებისაგან ლა-თინურ ამერიკაში მისი ინსტიტუციური ხასიათით, მისი ხანგრძლივობის გა-ნუსაზღვრელობის პრეზუმეციით და მისი ეკონომიკური პოლიტიკით. იტალია და გერმანია 20-იან და 30-იან წლებში იყვნენ ის წამყვანი ქვეყნები, რომლებიც წარმოადგენენ არადემოკრატიული მმართველობის ამ ახალ ფორმებს.

ცხადია, პირველი ორი უკუტალღის მიზეზებმა და ფორმებმა არ შეიძლება წარმოშვან პროგნოზები მესამე უკუტალღის მიზეზებზე და ფორმებზე, მაგრამ წინამორბედმა გამოცდილებამ შეიძლება მიგვანიშნოს ახალი უკუტალღის პო-ტენციურ მიზეზებზე:

1. დემოკრატიული რეჟიმების სისტემატურმა უუნარობამ იმოქმედონ ეფექტუად, შეიძლება შეარყიოს მათი ლეგიტიმურობა. XX საუკუნის დამლეპს, კანონიერების არადემოკრატიული იდეოლოგიური წყაროები (ყველაზე მეტად მარქსიზმ-ლენინიზმი) დისკრედიტირებული აღმოჩნდნენ. დემოკრატიის ნორმების ზოგადი მიღება გამოიხატა იმაში, რომ დემოკრატიული მთავრობები ნაკლებად დამოკიდებული გახდნენ კანონიერების პრინციპებისაგან, ვიდრე ისინი წარსულში იყვნენ. კეთილდღეობის, წარმატების, სამართლიანობის, წესრიგის და საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პერმანენტულმა უუნარობამ შეიძლება შეარყიოს დემოკრატიულ მთავრობათა კანონიერებაც კი. უფრო მეტიც, 1929-30 წწ. ანალოგიურმა საყოველოათ საერთაშორისო ეკონომიკურმა კოლაპსმა შეარყია დემოკრატიის კანონიერება ბევრ ქვეყანაში;

2. ავტორიტარიზმის შეცვლას დემოკრატიული თუ გადემოკრატიერებული ძალაუფლებით შეუძლია მოახდინოს უკუდენდაობა. ავტორიტარიზმის აღდგენამ რუსეთში შეიძლება იქნიოს უმართავი ეფექტი დემოკრატიზაციის პროცესზე ყოფილ რესპუბლიკებში, აგრეთვე ბულგარეთში, რუმინეთში და მონღოლეთში, და შესაძლოა პოლონეთში, უნგრეთში და ასევე ჩეხოსლოვაკიაში. ეს მისცემს ცნობას დესპოტებს: „შენც შეგიძლია დაუბრუნდე საქმეს“. ცხადია, ინდოეთში ავტორიტარული რეჟიმის დამყარებამ შეიძლება იქნიოს დემონსტრაციული ეფექტი მესამე მსოფლიოს სხვა ქვეყნებშე. თუნდაც რომ დიდი ქვეყანა არ დაუბრუნდეს ავტორიტარიზმს, ახალი პატარა დემოკრატიული ქვეყნების დიქტატურისაკენ გადახრამ (ამ ქვეყნებში დემოკრატიზაციისათვის საჭირო პირობების დაკარგვის გამო) შეიძლება იქნიოს განშტოებული ეფექტი იმ სხვა ქვეყნებზეც კი, სადაც ეს პირობები სუსტია.

თუ არადემოკრატიულმა სახელმწიფოებმა უფრო განამტკიცეს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება და დაიწყეს მისი გაფართოება საზღვარს იქით, ამან შეიძლება ასევე ხელი შეუწყოს სხვა ქვეყნებში ავტორიტარულ მოძრაობას. თუ ჩინეთი განვითარდება ეკონომიკურად ავტორიტარული მმართველობის ზეგავლენით უახლოეს მომავალში და გააფართოებს თავის ზეგავლენას და კონტროლს აღმოსავლეთ აზიაში, დემოკრატიული რეჟიმები ამ რეგიონში მნიშვნელოვნად შესუსტდებიან.

დაბოლოს, 20-იან და 60-იან წლებში ავტორიტარიზმის ძველი და ახალი ფორმები, რომლებიც ღროის მოთხოვნებს შესაბმებოდნენ, განმტკიცდნენ. ავტორიტარულმა ნაციონალიზმმა შესძლო დაემკვიდრებინა ადგილი მესამე მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში და აგრეთვე აღმოსავლეთ ეკროპაში. რელიგიურმა ფუნდამენტალიზმა, რომელიც დრამატულად პრევალირებს ირანში, შესძლო მოსულიყო ძალაუფლებაში სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით ისლამურ სამყაროში. ოლიგარქიულმა ავტორიტარიზმმა შესძლო განვითარება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებში როგორც საპასუხო რეაქცია დემოკრატიის გაფართოების ტენდენციაზე. პოპულისტმა დიქტატორებმა იწყეს გაძლიერება, ისევე როგორც წარსულში სხვადასხვა ეკონომიკური პრივილეგიების საპასუხო, კერძოდ, იმ ქვეყნებში, სადაც საიჯარო მიწების მოთხოვნილება არსებობდა. დაბოლოს, თემების დიქტატორებმა შესძლეს დემოკრატიით მოეტყუებინათ სხვადასხვა ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური ჯგუფები, და ერთი ჯგუფის მეოხებით დღეს ცდილობენ დამყარონ კონტროლი მთლიანად საზოგადოებაზე.

ავტორიტარიზმის ყველა ამ ფორმამ იარსება წარსულში. ეს სულაც არ ნიშნავს იშას, რომ ადამიანებმა დაიწყონ ახალი ფორმების გამოგონება. მხოლოდ ერთი შესაძლებლობა მოსალოდნელი, ეს არის ტექნოკრატიული „ელექტრონული დიქტატორი“, რომლის დროსაც ავტორიტარული მმართველობა ქმნის შე-

საძლებლობას და ლეგიტიმურობას ანიჭებს რეჟიმის უნარს მთახდინოჲ იწყონა
მაციით, ინფორმაციის საშუალებებით და კომუნიკაციის დახვეწილი ფორმებით
მანიპულირება.

ავტორიტარიზმის ეს ძველი და ახლი ფორმები სრულიად შესაძლებელია,
მაგრამ ასევე ძნელი სათქმელია, რომ მათგან რომელიმე არის აბსოლუტურად
შეუძლებელი.

დემოკრატიზაციის დაბრკოლებაზე

დემოკრატიის პერსპექტივების შეფასების სხვა მიღვომა — განხილულ
იქნეს დემოკრატიზაციის დაბრკოლებანი და შესაძლებლობანი იქ, სადაც ის
არ დამკვიდრდა. 1990 წლისათვის ასზე მეტა სახელმწიფომ დაკარგა დემოკ-
რატიული რეჟიმი. ამ სახელმწიფოების უმრავლესობა იყოფა ოთხ, ხშირად
თანმთხვევ, გვოკულტურულ კატეგორიად:

1. მარქისტულ-ლენინური პოლიტიკური რეჟიმები, რომლებიც ჯერ კიდევ
ინარჩუნებენ ძალას რუსეთში და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში;

2. სუბ-სახარის აფრიკული ქვეყნები, რომლებშიც ზოგიერთი გამონაკლისის
გარდა, შერჩენ დიქტატორები, სამხედრო რეჟიმები, ერთპარტიული სისტემები
ან მათი კომბინაციები;

3. ისლამური ქვეყნები, დაწყებული მაროკოდან ინდონეზიამდე, თურქეთის
და აღბათ პაკისტანის გამოკლებით, რომლებსაც აქვთ არადემოკრატიული რე-
ჟიმები;

4. აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, რომიდან ჩინეთამდე და ჩრდილო კორე-
ამდე სამხრეთ აზიის გავლით, რომლებიც მოიცავენ კომუნისტურ სისტემებს,
სამხედრო რეჟიმებს, პირად დიქტატორებს და ორ ნახევრად — დემოკრატიას
(ტანზანიას და მალაიზიას).

ამ ქვეყნებში დემოკრატიზაციის დაბრკოლებანი პოლიტიკური, ეკონომიკუ-
რი და კულტურული ხასიათისაა. ერთი პოტენციურად მნიშვნელოვანი პოლი-
ტიკური დაბრკოლება მდგომარეობს დემოკრატიზაციის გამოცდილების უკმა-
რობაში იმ ქვეყნებში, რომლებიც 90-იანი წლების დამდგენისათვის დარჩენ
ავტორიტარულნი. 23 სახელმწიფოს 30-დან, რომლებიც გახდნენ დემოკრატი-
ულები 1974—1990 წწ., პერიოდი დემოკრატიის ისტორია, ხოლო რამდენიმე
ქვეყანამ ამ პერიოდში დამტკიცა ასეთი გამოცდილების არსებობა. მათ რიცხ-
ვში შევიდნენ რამდენიმე ჩამორჩენილი მესამე ტალღის ქვეყნები (სუდანი, ნი-
გერია, სურინამი და შესაძლებელია პაკისტანი) და ოთხი პირველი ტალღის
ჩამორჩენილი ქვეყანა, რომლებშიც არ მოხდა დემოკრატიის აღდგენა მესამე
ტალღაში (ლიბანი, შრი-ლანკა, ბირმა, ფიჯი), და სამი პირველტალღოვანი
დემოკრატიები, რომლებიც შეჩერებული იქნა საბჭოთა ოკუპაციის შედეგად
მეორე მსოფლიო ომის დასასრულს (ესტონეთი, ლატვია და ლიტვა). ოთხმოცდა-
ათივემ თუ მეტმა არადემოკრატიულმა ქვეყანამ 1990 წლისათვის დაკარგა დე-
მოკრატიული მმართველობისათვის მნიშვნელოვანი წარსული გამოცდილება. რა
თქმა უნდა, ეს გარემოება არ არის გადამწვეტი, მაგრამ ართულებს დემოკრა-
ტიზაციის პროცესს.

დემოკრატიზაციისაკენ სხვა დაბრკოლება არის აღბათ 1990 წლისათვის
ბევრ ქვეყანაში დემოკრატიის გაუქმება. ავტორიტარული რეჟიმების შემქმნელ-
მა ან მართველმა ლიდერებმა ჩამოაყალიბეს დემოკრატიის ერთგული მოწინა-
აღმდეგენი.

1974-1990 წწ. დემოკრატია ყალიბდებოდა პერსონალურ დიქტატურული კულტურული მილიტარისტულ და ერთა პარტიულ პოლიტიკურ სისტემებში. სრული დემოკრატიაცია მაინც ვერ დამყარდა კომუნისტურ ერთა პარტიულ სახელმწიფოებში, რომლებიც წარმოადგენენ შინაური რევოლუციის შედეგს, თუმცა ლიბერალიზაციამ საბჭოთა კავშირში გამოიწვია სრული დემოკრატიზაციის პროცესი რესეტში. დემოკრატიზაციის პროცესი დაიწყო სლოვენიაში და ხორვატიაში, მაგრამ სერბიაში დემოკრატიზაციის პერსპექტივები საეჭვოა, კამბოჯაში განსაკუთრებით მხეცური კომუნისტური რეჟიმი გარედან მხარდაჭერით შეიცვალა ნაკლებად მხეცური კომუნისტური რეჟიმით. 1990 წელს ალბანეთი გაიხსნა, მაგრამ ჩინეთში, ვიეტნამში, ლაოსში, კუბაში და ეთიოპიაში მარქსისტულენინური რეჟიმები, ერთდაიმავე დროს, ნაციონალისტურ და კომუნისტურ ქვეყნებად დარჩნენ.

ერთი სერიოზული დაბრკოლება დემოკრატიზაციისათვის მდგომარეობს აზიას, აფრიკის და შუა აღმოსავლეთის პოლიტიკურ ლიდერთა რეალურად პასუხისმგებლური დამოკიდებულების არარსებობაში ან სისუსტეში დემოკრატიული ღირებულებებისადმი. როდესაც ისინი ძალაუფლების გარეთ იმყოფებიან, მათ აქვთ კარგი საბაძი დაიცვან დემოკრატია, ხოლო დემოკრატიისადმი მათი პასუხისმგებლობა ვლინდება მაშინ, როდესაც ისინი იმყოფებიან სამსახურში. ლათინურ ამერიკაში დემოკრატიულმა რეჟიმებმა გადაინაცვლეს სამხედრო ხენტების ხელში. ეს მოხდა აზიასა და შუა აღმოსავლეთში, მაგრამ ამ რეგიონებში არჩეული ლიდერები თვით იყვნენ დემოკრატიის დასასრულზე პასუხისმგებელი: (ინგმან რეე და პაკ ჩანგ პი კორეები, აღნან მენდერესი თურქეთში, ფერდინანდ მარკოსი ფილიპინებში, ლი კვან იუვი სინგაპურში, ინდირა განდი ინდოეთში და სუკარნო ინდონეზიაში). იყვრეს რა ხელთ ძალაუფლება საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ამ ლიდერებმა შემდგომში გააუქმეს ეს სისტემა. ისინი დიდი პასუხისმგებლობით არ იყვნენ განწყობილი დემოკრატიული ღირებულებებისა და პრაქტიკის მიმართ.

აზიელი, აფრიკელი და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერი XX საუკუნის მეორე ნახევარში იყო დემოკრატიის მტკიცე და ერთგული დამცველი. მაგრამ, აზიასა და აფრიკის ქვეყნებმა მაინც ვერ „დაბადეს“ მთავრობის ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც ასევე იქნებოდნენ დემოკრატიის მიმღევარნი. ვინ იყო აზიაში, არაბეთში თუ აფრიკაში ეკვივალენტი რომელი ბეტანკურის, ალბერტო ლერა კამარგოს, ჟოზე ფიგუერეს, ედუარდო ფრეის, ფერანანდო ბელაუნდე ტერის, ჟუან ბოშის, ჟოზე ნაპოლეონ დუარტეს და რაულ ალფონსინის? მხოლოდ ჯავარპარლალ ნერუ და კორასონ აკინო და ზოგიერთი სხვა, მაგრამ ასეთი ძალზე ცოტა იყო. რატომ იყო ასე? საკითხს განუხრელად მივყავართ კულტურის პრობლემასთან.

თარგმანი თსუ საერთაშორისო ურთიერთობათა და საერთაშორისო სამართლის ფაქულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა სანდრო სავანელმა.

ი ი მუშა-მოსამსახურეთა სამსახურიდან დათხოვნის
შესახებ, რომელიც ვაღიანი შრომის ხალშეკრულება
გაფორმდა შრომის კანონთა კოდიქსის მე-19¹ მუხლის
საფუძვლზე.

1988 წლის 24 მარტს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სა-
ქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდიქსის 34-ე მუხლის, რომელიც განსაზღვრავს
აღმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მომლის საფუძვლებს, დაემატა 34-ე
მუხლის 11 პუნქტი, რომელიც აღმინისტრაციას უფლებას ანიჭებდა მოქმედა შრომის ხელშეკ-
რულება მოხუცებულობის გამის საპენსიო ასაკს მიღწეულ პირებთან და მე-19¹ მუხლი, რომლის
მიხედვითაც აღმინისტრაცია უფლებამოსილი იყო შრომით ურთიერთობა შეენარჩუნებინა საპენ-
სიო ასაკს მიღწეულ შეშებას და მოსამსახურებთან, მათთან ორ წლიმდე ვადიანი შრომის
ხელშეკრულების დადგით.

ამ კანონის მიღების აუცილებლობა დასაბუთებული იყო წარმოება-დაწესებულების მასშტა-
ბური რეკონსტრუქციის და ტექნიკური აღჭურვილობის აუცილებლობით, წარმოების სფეროს
მკეთრად გაშემოტესებით და შრომითი რეკრევების რაციონალურად გამოყენებით. მიუხედავად
ამ დასაბუთების მაღალფარდოვნებისა, იმთავოვე ცხადი იყო, რომ ეს კანონი მნიშვნელოვნად
ზღუდვადა საპენსიო ასაკს მიღწეული პირების კანონით უფლებებს და ინტერესებს, რომლებიც
წლების მანძილზე კეთილსინდისიერი შრომისა და დასახურების სანაცვლოდ თითქმის სოცია-
ლურად დაუცველი ხელადებით აღმოჩნდნენ უმუშევარო რიგებში.

შრომის კანონთა კოდიქსის 34-ე მუხლის 11 პუნქტი და მე-19¹ მუხლი გაუქმდებულია სა-
ქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით 1992 წლის 13 აგვისტოდან. ცხა-
დია, ამ დროიდან აღმინისტრაციას უფლება აღარ აქვს მუშა-მოსამსახურ დაითხოვოს მარტო-
ოდენ საპენსიო ასაკის გამო. მაგრამ შრომის კანონთა კოდიქსის მე-19¹ მუხლის გამოყენებასთან
დაკავშირებით წამოიქმნა პრაქტიკული და თეორიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი
საკითხი, კერძოდ, შეუძლია თუ არა აღმინისტრაციას სამსახურიდან დაითხოვოს მუშა-მოსამსა-
ხურები, რომლებთანც საპენსიო ასაკის გამო გაფორმდებული იყო ვაღიანი ხელშეკრულება და
ეს ვადა დამთავრდა ან უნდა დამთავრდეს. 1992 წლის 13 აგვისტოს შემდეგ (მას შემდეგ, რაც
შრომის კანონთა კოდიქსის მე-19¹ მუხლმა მოქმედება შეწყვიტა) ამ საკითხისადმი მიღომა
როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ისე რეაქტული თვალსაზრისით არაერთგარიგანია. ჩენი
აზრით, ამ საკითხის ხწორად გადაწყვეტისათვის გასათვალისწინებელია ზოგიერთი გარემოება.

კანონმდებლობა გადების თვალსაზრისით ითვალისწინებს შრომის ხელშეკრულების 3 სა-
ხეს: 1. განსაზღვრული ვაღიანი; 2. განსაზღვრული ვაღიანი (არა უმეტეს 3 წლისა); 3. გარკვეული
სამუშაოს შესრულების ვაღიანი (საქართველოს შრომის კანონთა კოდიქსის მე-18 მუხლი). ვა-
ღიანი ხელშეკრულების შინაგარის მდგრადარების იმაში, რომ განსაზღვრული ვაღიანი შრომის
ხელშეკრულება იღება განსაკუთრებულ შემთხვევებში და პირით, როგორც პირს სამუშაოზე
ღებულობენ დროებით (არა უმეტეს 3 წლისა) იმ მუშაკის ნაცვლად, რომელიც სამუშაოზე ვერ
ცხადდება სასატიო მიწეზით (ხანგრძლივი ავალგორითმი, დეპრეციული შემცირებების განვითარების
მივლინება და სხვ.), აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც ვაღიანი ხელშეკრულება ფორმდება
დროებით და სეზონურ სამუშაოსთან დაკავშირებით. სხვა შემთხვევებში დროებითი ხელშეკ-
რულების გაფორმებას კანონი არ ითვალისწინებს და, როგორც წესი, არ დაშვება დროებითი
ხელშეკრულების გაფორმება ისეთ საშტატო ერთეულზე, რომელიც ამ დაწესებულებისათვის
მოღმივია (იხ. „შრომის კანონმდებლობის კომიტეტის მიერ 1987 წელი 35; „შრომის კანონმდებლობა“, ი. კორსუნოვა, რ. ლივშიცი, გ. რუმაინცევი, მ., 1980.
გვ. 9; „რა უნდა იცოდნენ მუშებას და მოსამსახურებმა შრომის კანონმდებლობის შესახებ“,
ვ. კოროლევი, მ. გორგეტიანი, თბ., 1962, გვ. 15).

შრომის კანონთა კოდიქსის მე-19¹ და 34-ე მუხლის 11 პუნქტის გაუქმების შემდეგ ძალაში
რჩება და მოქმედებს ამავე კოდიქსის მე-18 და 34-ე მუხლების, რომელთა მიხედვითაც ვაღიანი
ხელშეკრულება სულ სხვა სამართლებრივი შინაგარისა, ვიღრე ეს მე-19¹ და 34-ე მუხლის 11
პუნქტით იყო გათვალისწინებული. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მე-19¹
მუხლი ითვალისწინებდა ვაღიანი შრომის ხელშეკრულების გაფორმებას იმ მუშა-მოსამსახურე-
ბითან, რომლებიც კეთილსინდისიერად, სრული ძალისხმევით მუშაობდნენ, ჰქონდათ შრომის

მაღალი შედეგები და კოლექტივში დამსახურებული აკტორიტეტი. ეს იყო ერთგვარი გამოსახვა-
ლი იმ უხერხული მდგომარეობიდან, რომელიც შეიქმნა საერთოდ და, განსაკუთრებით, ამ პატივ-
კორის მუშა-მოსამსახურეთა მიმართ.

ზოგიერთი სამინისტროს, წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელები სამსახურიდან ათა-
ვისუფლებენ იმ მუშა-მოსამსახურების, რომლებთანაც ვადიანი ხელშეკრულება დადებული იყო
შრომის კანონთა კოდექსის მე-191 მუხლის საფუძველზე და ხელშეკრულების ვადა დამთავრდა
ამ მუხლის გაუქმების შემდეგ. ვფიქრობ, ამგარა მოქმედება ეწინააღმდეგება კანონის ლოგიკას,
იგი არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს საპენსიო ასაკის მიღწეულ მუშა-მოსამსახურებთან შე-
დარებით იმ მუშა-მოსამსახურებს, რომლებთანაც საპენსიო ასაკის გამო ვადიანი ხელშეკრულება
გააფორმებს მათი განსაკუთრებული კეთილსინდისიერების, ავტოინტეტის და შრომის ნაფიციერე-
ბის გათვალისწინებით, მაშინ, როდესაც შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის 11 პარეტის
გაუქმების შემდეგ, საპენსიო ასაკით სამსახურიდან დათხოვნა შეუძლებელია. აღნიშნულის გამო,
ამ კატეგორიის მუშა-მოსამსახურებზე შრომის კანონთა კოდექსის მე-191 მუხლის გაუქმე-
ბის შემდეგ ამ მუხლის მოქმედების გამოყენება და მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნა ხელშეკრუ-
ლების ვადის დამთავრების გამო არამართებულად უნდა ჩაითვალოს, მითუმეტეს, რომ მუშა-
მოსამსახურეთა ინტერესების დაცვა შრომის კანონმდებლობის უმთავრესა პრინციპია.

გრიგოლ დევდარიანი,
საქართველოს რეპუბლიკის უზენაესი სასამარ-
თლოს თავმჯდომარის მოადგილე.

საპრეზიდენტო პრაქტიკა

მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ რეინიგზის წესდების 173-ე მუხლი

სატრანსპორტო კანონმდებლობის ნორმების თანახმად (რკინიგზის წესდე-
ბის 173-ე მუხლი, პრეტენზის წაყენებისა და განხილვის წესების 38-ე კარის
მე-12 პარაგრაფი) პრეტენზის წარმომდგენი ვალდებულია საპრეტენზიო გან-
ცხადებას თან დაურთოს ბანკის ანგარიში ან სათანადოდ დამოწმებული ცნო-
ბა ტვირთის ღირებულების გადახდის შესახებ.

საარბიტრაჟი მუშაობის ბოლოდროინდელი პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ
ასეთი დოკუმენტების წარდგენა დღისისათვის ძალიან ვაძნელებულია, რადგან
შეიცვალა პროცესუალისა და საქონლის განაწილების, აგრეთვე საბანკო ანგა-
რიშესწორების წესები.

ასე მაგალითად:

1. პროცესუალის (საქონლის) ურთიერთგაცვლის პირობებში (ბარტერული
გაცვლა) მხარეები ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებენ პროცესუალის
(საქონლის) გაცვლას საბანკო ანგარიშსწორების გარეშე, რაც ვამორიცხავს სა-
ბანკო ანგარიშის ან დამოწმებული ცნობის რკინიგზისადმი წარდგენის შესაძ-
ლებლობას.

2. არაერთხელ შეიცვალა საწარმოთა შორის ანგარიშსწორების წესი.

ა) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 16 ივნისის № 736 დადგენილებით შემოღებულია ანგარიშსწორება საგადასახადო დავალე-
ბის, მოთხოვნა-დავალების და აკრედიტივის მეშვეობით;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 1 სექტემბრის № 881 დადგენილებით აღდგენილია ანგარიშსწორების წესი საგადასახადო მო-
თხოვნებით 1993 წლის 1 იანვრამდე.

აღნიშნული მიზეზების გამო და სამთავრობათაშორისო შეთანხმებების
მიმდინარეობის პროცესში ხშირად ბანკი უარს აცხადებს ანგარიშის გასანად-

ჯებლად მიღებაზე, რაც გამორიცხავს ანგარიშის რკინიგზისათვის წარდგენის შესაძლებლობას.

პროდუქციის (საქონლის) მწარმოებლიდან მომხმარებლამდე მიმოქცევის ზემოთმოვანილ ორივე შემთხვევაში არაა გამორიცხული მისი დაკარგვა, დაზიანება, მიმღებისათვის დანაკლისით ჩაბარება. ამ დროს ტვირთის მიმღები პრეტენზით მიმართავს რკინიგზას ზარალის ანაზღაურების შესახებ, მაგრამ ტრანსპორტზე მოქმედი ნორმების თანახმად პრეტენზია განუხილველად უნდა იქნას დატოვებული ანგარიშის (სათანადო ცნობის) წარმოუდგენლობის გამო. ტვირთის მიმღების მოთხოვნა ვერც საარბატრაჟო სასამართლოს მიერ დაგმაყოფილდება, რადგან ასეთ დროს სასარჩელო განცხადება განუხილველად დაუბრუნდება განმცხადებელს.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკა ფუნქციონირებს სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებისა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ურთიერთშეხამების საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 14 სექტემბრის № 721 დადგენილების თანახმად საჭიროა რკინიგზის წესდების 173-ე მუხლის სათანადო რედაქტირება და მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მოვიყვანთ მაგალითს:

ტვირთის დაკარგვის გამო რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტისათვის პრეტენზის წაყვნებისას აუცილებელია პრეტენზის (პრეტენზის წარმომდგენის) მიერ დედანი ქვითრის წარმოდგენა

მაცივარკომბინატმა, რომელიც სარკინიგზო გადაზიდვის ხელშეკრულების თანახმად ტვირთის მიმღებია, რესპუბლიკის უზენას საარბიტრაჟო სასამართლოში შემთიტანა სარჩელი ტვირთის დაკარგვის გამო გადამზიდველისათვის 23578 მანეტის გადაზღვინების შესახებ.

საარბიტრაჟო სასამართლოს განჩინებით წარმოება საქმეზე შეწყვეტილ იქნა სამეცნიერ დაგების განხილვის წესების 74-ე მუხლის საფუძველზე იმ მოტივით, რომ პრეტენზის განმცხადებელმა საპრეტენზით წერილს დაურთო ტვირთის მიღების შესახებ ქვითრის ასლი და არა დედანი.

აღნიშნული საფუძვლით რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის მიერ პრეტენზია განუხილვად იყო დატოვებული.

საქმეზე მიღებული განჩინება გასაჩივრდა მამიებლის მიერ.

განცხადებაში განჩინების ზედამხედველობის წესით გადასინჯვის შესახებ მამიებლიმა მიუთითო, რომ დანიშნულების სადგურის მიერ ტვირთის ჩაუბარებლობის შესახებ აღნიშვნა გაეთვალისწინდება იყო ქვითრის ასლზე.

უზენას საარბიტრაჟო სასამართლოს ზედამხედველობის კოლეგის დადგენილებით საარბიტრაჟო სასამართლოს განჩინება ძალაში იქნა დატოვებული შემდეგი საფუძვლის გათვალისწინებით:

რკინიგზების წესდების 169-ე მუხლის თანახმად რკინიგზისადმი სარჩელის წარდგენამდე აუცილებელია მისთვის პრეტენზის წაყენება. აღნიშნულზე უფლება აქვს როგორც ტვირთის გამგზავნება, ასევე მიმღებს. ტვირთის მიმღებს პრეტენზის წაყენების უფლება აქვს, თუ მისგან წარმომდგენილი იქნება ტვირთის მიღების შესახებ ქვითრის დედანი. ამ ქვითრზე გაეთვალისწინდება იყოს დანიშნულების სადგურის აღნიშვნა სადგურში ტვირთის შემოუსვლელობის შესახებ. დანიშნულების სადგურის აღნიშვნა ქვითრის ასლზე (და არა დედანზე), შემდეგ კი ამ ასლის წარდგენა, საფუძვლი გახდა რკინიგზის პრეტენზის განუხილველად დატოვებისა, ხოლო საარბიტრაჟო სასამართლომ ეს საქმე წარმოებით შეწყვეტა.



P 76/3